

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა-სამართალი

ლილე ლუტიძე

საქონლის საბაჟო დამუშავების ოპერაციები და საქონლის  
დაბეგვრის მექანიზმების გამოყენება ეროვნული და  
საერთაშორისო კონვენციების მიხედვით

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ია ხარაზი, სამართლის დოქტორი

ქუთაისი

2023

## ანოტაცია

საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობები აყალიბებენ გლობალურ ეკონომიკას, რომელიც დადებითად აისახება ცალკეული ქვეყნების მოსახლეობის ცხოვრების ხარისხზე. საბაჟო ორგანოების ფუნქციები და პრიორიტეტები უზრუნველყოფს საბაჟო ოპერაციების გამარტივებას და საერთო სატარიფო სისტემის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს შიდა ბიზნეს სტრუქტურებით ლეგალური საერთაშორისო ვაჭრობის გააქტიურებას. ევროკავშირის საბაჟო სამართლის პრაქტიკა საბაჟო ადმინისტრაციების მუდმივი მოდერნიზაციის პარალელურად იქმნება, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ქვეყნებს, საბაჟო სამართლებრივი ურთიერთობები დაარეგულირონ საერთაშორისოდ აღიარებული საბაჟო პრინციპების საფუძველზე. ეროვნული მიზნების გათვალისწინება და საერთაშორისო სტანდარტების დაცვა კომპლექსურად ხორციელდება თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენებით, მოდერნისტული, საერთაშორისო საბაჟო კანონმდებლობის საფუძველზე, რომელიც ევროკავშირის წევრ და არაწევრ სახელმწიფოებს აკისრებს საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებით სავაჭრო ურთიერთობების რეგულირებას. ეფექტური საბაჟო სერვისების მიწოდება, ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ევროპული სტანდარტების დაცვით ხორციელდება. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, რომლებიც ახალ ბიზნეს მოდელებს თავაზობენ მომხმარებლებს, ეფუძნება ციფრული ეკონომიკის ეფექტური დაბეგვრის სისტემის ჩამოყალიბებასა და ერთიანი საბაჟო პროცედურების პოტენციური პრივილეგიების დამკვიდრებას. გლობალიზაციის პირობებში ფორმირებულმა ეკონომიკურმა რეალობამ ძირეულად შეცვალა საერთაშორისო ვაჭრობის არეალი, რომელშიც აღარ მოიაზრება, მხოლოდ ექსპორტი და იმპორტი. თანამედროვე საბაჟო სისტემა ჩამოყალიბდა საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების საფუძველზე, რომელიც უზრუნველყოფს ლეგიტიმური ვაჭრობის ხელშეწყობას, უსაფრთხო მიწოდებას, საბაჟო ფორმალობების გამარტივებას და ჰარმონიზაციას.

## **Annotation**

Customs processing operations of goods and use of mechanisms of taxation of goods according to national and international conventions

Lile Lutidze

International trade relations develop the global economy, which positively affects the quality of life the population of individual countries. The functions and priorities of the customs authorities are aimed at the simplification of customs operations and the creation of a common tariff system, which ensures the activation of legal international trade with internal business structures. The customs law practice of the European Union is created in parallel with the continuous modernization of customs administrations, which provides the opportunity for countries to regulate customs legal relations based on internationally recognized customs principles. Consideration of national goals and compliance with international standards is carried out in a complex manner using modern techniques and technologies, based on modernist international customs legislation, which obliges EU member and non-member states to regulate trade relations by fulfilling international obligations. Providing effective customs services, ensuring national security, is carried out in compliance with European standards. Information and communication technologies, which offer new business models to consumers, are based on the establishment of an effective taxation system of the digital economy and the establishment of potential privileges of unified customs procedures. The economic reality formed under the conditions of globalization has fundamentally changed the area of international trade, which no longer includes only export and import. The modern customs system was formed on the basis of international agreements and treaties, which ensure the promotion of legitimate trade, safe delivery, simplification and harmonization of customs formalities.

# სარჩევი

ანოტაცია.....	
Annotation.....	
შესავალი.....	1
თავი I საბაჟო სამართლის სისტემა და მისი როლი სახელმწიფო საბაჟო პოლიტიკაში...8	
1.1 საბაჟო სამართლის ჩამოყალიბების საფუძვლები ეროვნულ და საერთაშორისო საბაჟო სამართალში.....	8
1.2 ქართული საბაჟო კანონმდებლობის ჩამოყალიბება და მისი ადგილი საერთაშორისო საბაჟო სისტემაში .....	15
1.3 საერთაშორისო საბაჟო კანონმდებლობა და საქართველო .....	21
თავი II საქონლის საბაჟო დამუშავების პროცედურები ქართული და საერთაშორისო საბაჟო კანონმდებლობის მიხედვით.....	31
2.1 ევროკავშირის საბაჟო პროცედურები და მათი სამართლებრივი ბუნება.....	31
2.2 სპეციალური საბაჟო ოპერაციები და მათი რეგულირება ქართულ საბაჟო კანონმდებლობაში.....	34
2.3 საქართველოს და ევროკავშირის საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის მიმართ საბაჟო პროცედურების გამოყენება .....	43
თავი III საბაჟო დაბეგვრის სახეები და მათი როლი ეროვნული და საერთაშორისო ეკონომიკის ფუნქციონირებაში.....	64
3.1 საბაჟო საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება და მისი სამართლებრივი ბუნება.....	64
3.2 დამატებული ღირებულების გადასახადის არსი და მისი ადგილი ქართულ და ევროპულ საგადასახადო სისტემაში .....	72
3.3 აქციზით დაბეგვრა და მისი სამართლებრივი თავისებურებანი.....	82
3.4 იმპორტის გადასახადის სამართლებრივი ბუნება და მისი როლი ქართული და უცხოური ეკონომიკის განვითარებაში.....	89
დასკვნა.....	97
კვლევის შედეგები.....	100

რეკომენდაციები.....	101
ბიბლიოგრაფია.....	102

## შესავალი

**თემის აქტუალობა.** გლობალიზაციის პროცესი, ვაჭრობის ხელშეწყობის ინიციატივები და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით წარმოქმნილი გამოწვევები, 21-ე საუკუნეში საბაჟოების როლთან დაკავშირებით მოითხოვს, განახლებული, პროფესიონალური მიდგომების დანერგვას, საბაჟო ადმინისტრაციების მართვას და საბაჟო ოპერაციებთან დაკავშირებით ახალი სტანდარტების გაზიარებას მთელს მსოფლიოში. საერთაშორისო საბაჟო რეგულირების და ვაჭრობის განვითარების მიმართ დიდი ინტერესის არსებობა ემსახურება, ეროვნული მიზნებისა და საერთაშორისო სტანდარტების და ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას. ისეთი საკითხები, როგორცაა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის, ვაჭრობის ხელშეწყობის დღის წესრიგი, საერთაშორისო მიწოდების ჯაჭვის უსაფრთხოება, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა, შემოსავლების მართვა, თაღლითობის თავიდან აცილება, ეს ყოველივე საბაჟო სამუშაოების რუტინულ ფარგლებს მოიცავს. საბაჟო სისტემას სამყაროში მეტად რთული და ამავდროულად საპასუხისმგებლო მისია აკისრია, რომელიც გულისხმობს, გლობალიზაციის, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სავაჭრო ფაქტორების კარგად გააზრებას და მის პრაქტიკულ სტრატეგიებად გადაქცევას და ოპერატიულ პოლიტიკაში გამოყენებას. საბაჟო სისტემა თანდათან უფრო დიდი გამოწვევების წინაშე დგება, რაც მოითხოვს ნოვაციების დანერგვას, როგორცაა თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენება. ამიტომ თანამედროვე საბაჟო სისტემა მყარად დგას ცოდნის, უნარებისა და შესაძლებლობების ფართო კომპლექსის ერთ მთლიანობაზე, რომელიც მომდინარეობს მხოლოდ განვითარებისა და პროფესიონალური მიდგომების საჭიროებიდან. საერთაშორისო საბაჟო სისტემის წარმატებული ფუნქციონირება დამოკიდებულია კონკურენტუნარიან და დინამიურ ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის შექმნაზე. მიუხედავად პრაქტიკოსი და იურისტების მიერ აღიარებული საერთაშორისო საბაჟო სამართლის როლისა, დღესდღეობით მაინც არ არსებობს ერთიანი მიდგომები ამ სისტემის სტრუქტურისა და შინაარსის შესასწავლად. საერთაშორისო საბაჟო სისტემის გაგება, თანამედროვე

მიდგომების დანერგვას საჭიროებს, მის აღიარებას უნივერსალურ საშუალებად, მეგობრული ურთიერთობების, თანამშრომლობისა და საერთაშორისო მშვიდობის დამყარების კუთხით მთელს მსოფლიოში. ეს არის საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვას და პატივისცემას.

საერთაშორისო საბაჟო სამართლის არსისა და შინაარსის განსხვავებული ინტერპრეტაციების არსებობა ართულებს მისი სწორად აღქმის შესაძლებლობას. ეროვნული და საერთაშორისო საბაჟო სამართლის ნორმების ერთმანეთისგან გამიჯვნა, რომელსაც ხშირად მიმართავენ ქვეყნები, მხოლოდ სამეცნიერო კვლევებისა და საბაჟო სამართლის, როგორც საგნის სწავლებისას უნდა იყოს დასაშვები. საბაჟო დამუშავების ოპერაციები და დაბეგვრის მექანიზმები საბაჟო სისტემის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, ეროვნულ და საერთაშორისო კანონმდებლობაში მათი განსხვავებული ინტერპრეტაციები კი დიდ კოლაფსს გამოიწვევს.

ჰარმონიზაციის პროცესში მოიაზრება ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისო კანონმდებლობასთან დაახლოება. იგი მსგავს შეხედულებებს, იდეებს, პრინციპებს, ხედვებს და მისწრაფებებს უზიარებს სახელმწიფოებს. „საუკეთესო პრაქტიკის“ მქონე ქვეყნებთან საერთაშორისო ურთიერთობები, ასტიმულირებს ტექნიკურ პროგრესს, ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, შემცირებული ხარჯებით ზრდიან ვაჭრობის პროდუქტიულობას, წარმოშობენ სამრეწველო კონკურენტუნარიანობას, რაც დადებითად აისახება საზოგადოების კეთილდღეობაზე. ეფექტური საბაჟო სერვისების მიწოდება, ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ევროპული სტანდარტების დაცვით ხორციელდება. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, რომლებიც ახალ ბიზნესს მოდელს სთავაზობენ მომხმარებლებს, ეფუძნება ციფრული ეკონომიკის ეფექტური დაბეგვრის სისტემის ჩამოყალიბებასა და ერთიანი საბაჟო პროცედურების პოტენციური პრივილეგიების დამკვიდრებას. გლობალიზაციის პირობებში ფორმირებულმა ეკონომიკურმა რეალობამ ძირეულად შეცვალა საერთაშორისო ვაჭრობის არეალი, რომელშიც აღარ მოიაზრება, მხოლოდ ექსპორტი და იმპორტი.

თანამედროვე საბაჟო სისტემა ჩამოყალიბდა საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების საფუძველზე, რომელიც უზრუნველყოფს ლეგიტიმური ვაჭრობის ხელშეწყობას, უსაფრთხო მიწოდებას, საბაჟო ფორმალობების გამარტივებას და ჰარმონიზაციას.

**ნაშრომის მიზნები და ამოცანები.** ნაშრომში წარმოდგენილია ძირითადი ასპექტები, რომლებიც უკავშირდება ევროკავშირის საბაჟო კანონმდებლობის მოდერნიზებული მოდელის ქართულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას, სხვადასხვა საბაჟო რეფორმების განხორციელებით. ამ კონტექსტში, ქართული საბაჟო სისტემა უნდა შეესაბამებოდეს თავისი სტრატეგიებით ახალ საბაჟო კანონმდებლობას, რაც აუცილებელია კონკრეტული უპირატესობების მისაღწევად. მზარდ კონკურენტულ გლობალურ გარემოში, საბაჟო საქმიანობის მოდერნიზაცია და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა დადებით გავლენას ახდენს, როგორც საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებაზე, ასევე მომხმარებელთა უსაფრთხოებასა და დაცვაზე. საუკეთესო პრაქტიკის დანერგვისათვის მრავალი ინსტიტუტი და საერთაშორისო ორგანიზაცია არის შექმნილი და მობილიზებული, რომლებიც უზრუნველყოფენ ჯანსაღი კონკურენტუნარიანობის გაზრდას, და საბაჟო ტრანზაქციების გამარტივებას. საუბარია საბაჟო პროცედურების გამარტივებაზე, რაც მოითხოვს ნაკლებ დროსა და ნაკლებ ფინანსურ რესურსს თუმცა მისი ეფექტურობა თვალსაჩინოა არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე.

საბაჟო სისტემის როლი განსხვავდება ქვეყნიდან ქვეყანაში, იგი ხშირად ექვემდებარება რეგულარულ განხილვას და ცვლილებებს, რათა შესაბამისობაში მოვიდეს მუდმივად ცვალებად სამყაროსთან. საბაჟო ორგანოებს დიდი ხანია დაევალათ ისეთი საკითხების ადმინისტრირება, რომლებზეც პასუხისმგებლობა სხვა სამთავრობო სამინისტროებსა და უწყებებს ეკისრებათ, როგორცაა ჯანდაცვა, გარემოს დაცვა, სოფლის მეურნეობა, ვაჭრობის სტატისტიკა და ზოგჯერ იმიგრაცია. ეს როლი გამომდინარეობს მრავალფეროვანი სპექტრის განხორციელებით, სადაც საბაჟოს აკისრია მარეგულირებელი პასუხისმგებლობა იმპორტისა და ექსპორტის დროს. საზღვრის



მართვის პასუხისმგებლობა მომდინარეობს საერთაშორისო ვაჭრობისას საქონელზე გადასახადების აკრეფის ტრადიციული საბაჟო როლიდან, რომლის საერთო გაფართოებაა გადასახადის სხვა ფორმების შეგროვება, როგორცაა დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ) და აქციზი. საბაჟო ადმინისტრაცია წარმოადგენს ხაზინის ან ფინანსების შეგროვების ძირითად წყაროს. ანალოგიურად ის ადმინისტრაციები, რომლებიც ძირითადად საზღვრის დაცვის როლს ასრულებენ, სავარაუდოდ, შეესაბამება სხვა უწყებების პრეროგატივას, ისინი საზღვრის მართვაზე ფოკუსირდება, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ საბაჟოს ტრადიციული როლი მრავალფეროვანია, ბოლო დროს არსებობს ტენდენცია, მარეგულირებელი პასუხისმგებლობა საბაჟოს მიენიჭოს ისე, რომ ასახოს მთავრობის პრიორიტეტები და არა ტრადიცია.

მზარდად გლობალურ სამყაროში, სადაც, როგორც ლეგალური, ასევე არალეგალური ვაჭრობა ვითარდება, საბაჟო ადმინისტრაციებმა უნდა დაადგინონ ძირითადი საერთაშორისო, რეგიონალური და ეროვნული სტრატეგიული მამოძრავებელი ძალა, რათა სათანადო რეაგირება მოახდინონ არსებულ ცვლილებებზე . ეს მამოძრავებელი ძალა უნივერსალურია, რომელიც საბაჟოების როლს ცვლის და მათ მანდატებს აფართოებს. გლობალიზაცია, რომელიც სულ უფრო მეტად რთულ სამყაროს აყალიბებს, რაც აისახება, საქონლის, კაპიტალის, ინფორმაციისა და ტექნოლოგიების გაფართოებული ნაკადის გაჩენაზე, ართულებს საბაჟო ორგანოების როლის გაგებას, რა როლია აკისრია მას. საბაჟოების როლი საუკუნეების განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა, როგორც ევოლუციური ფაქტორების, მათ შორის ვაჭრობის მზარდი გლობალიზაციის, ასევე რევოლუციური ფაქტორების შედეგად. თუ საბაჟო ორგანოებს „კარიბჭის“ როლი ჰქონდათ მორგებული, რომლის არსი დღესდღეობით ტრადიციულ საბაჟო სიმბოლოში აისახება და იგი ქვეყნის პორტების სიმბოლოს წარმოადგენს, ეს როლი ძირითადად კომერციული გარიგებების ინტერვენციაში ვლინდებოდა. თუმცა დღესაც არავინ აყენებს ეჭვქვეშ საბაჟოს ამ უფლებამოსილებას, როდესაც ჩარევის ლეგიტიმური საჭიროება არსებობს, ინტერვენცია კი იდენტიფიცირებულ რისკს

ეფუძნება. მსოფლიოში არსებულმა ტერაქტებმა, ტერორისტულმა თავდასხმებმა და სამთავრობო პოლიტიკაში მომხდარმა ცვლილებებმა შეუძლებელი გახადეს ნათლად განვსაზღვროთ „საბაჟოს“ როლი. მიუხედავად იმისა, რომ საზღვრის მართვის პასუხისმგებლობა დღემდე არსებობს, იცვლება შესაბამისი სამთავრობო უწყებების ბუნება და ნაზავი.

საბაჟო აღარ განიხილება, როგორც მხოლოდ იმპორტის და ექსპორტის გადასახადების ამკრეფი. გლობალური ვაჭრობის სისტემის განუწყვეტელი გაფართოება, რომელიც ემყარება საერთაშორისო შეთანხმებებს, უსაფრთხოების მუდმივ საჭიროებასთან ერთად, განაპირობა საბაჟოს, როგორც ევროკავშირის ადმინისტრაციის არსებობის საჭიროება, რომელიც მოქმედებს, როგორც ევროკავშირის გარე საზღვრების მცველი. საბაჟოს მისია და როლი თავისუფალი ვაჭრობის მონიტორინგსა და მართვაში ადგენს მის ოთხ კონკრეტულ მიზანს: ფინანსური ინტერესების დაცვა, შიდა ბაზრის უსაფრთხოება, ეკონომიკურ ოპერატორებთან თანამშრომლობაზე ხელშეწყობა და შუამავლის ფუნქცია ცალკეულ სახელმწიფოებს შორის. საბაჟო სამართლის განახლებული მოდერნიზებული მოდელი მიზნად ისახავს ლეგიტიმური ვაჭრობის ხელშეწყობას, უსაფრთხოების მაღალი სტანდარტებით დაცვას და მიწოდების გაუმჯობესებას. ვაჭრობის ხელშეწყობის ღონისძიებები უზრუნველყოფს საბაჟო დავალიანებების, ვადების, და ფორმალობების გამარტივებას და ჰარმონიზაციას. ამ მიზნით საერთაშორისო საბაჟო კანონმდებლობა შეიმუშავებს მოდერნიზებულ საქონლის საბაჟო დამუშავების ოპერაციებს და შეღავათიან დაბეგვრის მექანიზმებს, რომლისკენაც სახელმწიფოები მუდმივად მიისწრაფვიან. საბაჟოების ფუნქციები, როგორცაა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებაზე ხელშეწყობა, ეკონომიკური ზრდისთვის პირობების შექმნა, განბაჟების კონტროლი და უსაფრთხოების პირობების დაცვა, მიიღწევა საბაჟო სისტემის და საბაჟო კანონმდებლობის გამარტივებით, რომელიც ხელმისაწვდომია, არა მხოლოდ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისათვის, არამედ არაწევრი ქვეყნებისთვის. მათ შორის არის საქართველო, რომელიც აქტიურად იზიარებს ყველა იმ ცვლილებას თუ

სიახლეს, რომელსაც ევროკავშირის საბაჟო კანონმდებლობა ახორციელებს. „საუკეთესო პრაქტიკა“ დაკავშირებულია, კონცეფციებთან, აქტივობებთან, ინიციატივებთან, ტექნოლოგიებთან.

ადრე მოქმედი საერთაშორისო საბაჟო კანონი მოიცავდა საქონლის დამუშავების ცალკეულ საბაჟო ოპერაციებს, რომლებიც დიფერენცირდებოდნენ ეკონომიკურ და არაეკონომიკურ ოპერაციებად. ცვლილებები, რომელიც კანონმა განიცადა მიზნად ისახავდა ბუნდოვანი საბაჟო პროცედურების რესტრუქტურირებას და გამარტივებას. ყველა ის სტრუქტურული ცვლილება, რომელიც ევროკავშირის საბაჟო კანონმდებლობამ განიცადა და ახალი კონცეფციებით ჩამოყალიბდა, ფუნდამენტურ ცნებებსა და სტრუქტურებს დიდად არ შეხებია. მრავალი წელია ევროკავშირის საბაჟო კანონმდებლობა არსებობს და მისი გადასინჯვა არ გულისხმობს ახალი საბაჟო კანონის შექმნას, არამედ ცვლილებების მთავარი მიზანი ახალ სამართლებრივ, ეკონომიკურ და უსაფრთხო პირობებთან ადაპტაცია არის. ევროკავშირის სინამდვილე, რომელიც ნოვაციური საბაჟო სისტემის შექმნას ისახავს მიზნად, აერთიანებს ყველა განვითარებულ თუ განვითარებად ქვეყანას ჰარმონიზაციის პროცესში. მათ შორის არის საქართველო, რომელმაც არც თუ ისე შორეულ წარსულში მიაღწია მნიშვნელოვან შეთანხმებას, რომელიც ხშირად არის ნახსენები ნაშრომში. იგი მიზნად ისახავს ქართული საბაჟო კანონმდებლობის ევროკავშირის საბაჟო კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციას. სწორი საგადასახადო პოლიტიკის და სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული დაბეგვრის მექანიზმების შექმნა, ორაზროვანი და ბუნდოვანი დებულებების სწორი ინტერპრეტაცია, სახელმწიფოს დომინანტური როლის შემცირება სავაჭრო ურთიერთობებზე, ბიზნეს სექტორების და მეწარმე სუბიექტებისთვის ხელშეწყობა დაბეგვრის ოპტიმალური მოდელის ჩამოყალიბებით, ეს ის მცირე ჩამონათვალია, რომელსაც ევროინტეგრაცია სთავაზობს სახელმწიფოებს.

**ნაშრომის კვლევის ობიექტია** გლობალიზაციის პირობებში საერთაშორისო საბაჟო სისტემის პერსპექტივები, რეგულირების მეთოდები, საქონლის საბაჟო დამუშავებისა და

დაბეგვრის მექანიზმები, საბაჟო პროცედურების რესტრუქტურირაცია, საქონლის/მომსახურების სატარიფო სავაჭრო პოლიტიკის განსაზღვრა.

**კვლევის მეთოდოლოგია.** ნაშრომის წერისას გამოყენებული იქნა შემდეგი მეთოდები: ლიტერატურული წყაროების ანალიზი, საბაჟო ოპერაციების შედარებითი სამართლებრივი ანალიზი სხვადასხვა ქვეყნების პრაქტიკის საფუძველზე, მეთოდური ლიტერატურის გამოყენება, ეკონომიკური და საბაჟო მსოფლიო სამეცნიერო ჟურნალებისა და სტატიების ანალიზი, შედარებითი სამართლებრივი კვლევა, სასამართლო პრაქტიკის ანალიზი.

ნაშრომში გამოყენებულ ლიტერატურას წარმოადგენს, მსოფლიო სამეცნიერო ლიტერატურა, საერთაშორისო საბაჟო სისტემის მოდერნიზების სფეროში, ინტერნეტ რესურსი, სხვადასხვა მეცნიერთა და პროფესორთა ლიტერატურული ნაშრომები, დისერტაციები, კვლევები და ა.შ.

**სამაგისტრო კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა:** არის მოდერნიზებული საბაჟო კანონმდებლობის უპირატესობის ჩვენება, საქონლის საბაჟო დამუშავების ოპერაციების და საქონლის დაბეგვრის მექანიზმების საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისად რეგულირება, ეროვნული საბაჟო პროცედურების გამარტივება და ჰარმონიზაცია საერთაშორისო საბაჟო პროცედურებთან.

# თავი I საბაჟო სამართალის სისტემა და მისი როლი სახელმწიფო საბაჟო პოლიტიკაში

## 1.1 საბაჟო სამართალის ჩამოყალიბების საფუძვლები ეროვნულ და საერთაშორისო საბაჟო სამართალში

მსოფლიოში არსებული გამოწვევები, როგორცაა გლობალიზაციის პროცესი, საერთაშორისო ვაჭრობის განვითარება, უსაფრთხოების ზომების დაცვის აუცილებლობა და სხვა მრავალი, 21-ე საკუნეში წარმოქმნილი აქტუალური საკითხი, საჭიროებს განახლებული, პროფესიონალური მიდგომების დანერგვას საბაჟო ადმინისტრაციების მართვასთან დაკავშირებით. საერთაშორისო ვაჭრობის რეგულირება უნდა განხორციელდეს საერთაშორისო სტანდარტებისა და მოთხოვნების სრული დაცვით, რაშიც საბაჟო კანონმდებლობას აქვს რთული და ამავდროულად უნიკალური როლი, მათ შორის, შემოსავლების სწორი მართვა, თაღლითობის თავიდან აცილება და სხვა მრავალი ფუნქცია, რომელსაც საბაჟო კანონმდებლობა ახორციელებს. საბაჟო სისტემა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სავაჭრო სფეროებში შეიმუშავებს პრაქტიკულ სტრატეგიებს და იყენებს თანამედროვე ტექნიკებსა და ახალ ტექნოლოგიებს, რათა მოახდინოს საბაჟო სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, რაშიც ტრადიციული მიდგომები ნაკლებად ეფექტური და ეკონომიკურად მომგებიანია. მრავალი წლის განმავლობაში საბაჟო კანონმდებლობის ნორმები მიმოფანტული იყო სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებში, რაც ბუნებრივია ხელშემშლელ ფაქტორს წარმოადგენდა საბაჟოების წინაშე მდგარი ფუნქციის განხორციელებაში. საჭირო იყო შექმნილიყო ერთიანი ევროპული საბაჟო კოდექსი(EEC<sup>1</sup>), რომელიც სავალდებულო იქნებოდა მისი ყველა წევრი სახელმწიფოსთვის. ევროპული საბაჟო კოდექსი დღესდღეობით აერთიანებს ევროკავშირში ასოცირებული სახელმწიფოების საბაჟო კანონმდებლობებს, რომლის

---

<sup>1</sup> EEC- European Economic

მთავარ მიზანს საბაჟო სისტემის სწორი და სამართლიანი ფუნქციონირება წარმოადგენს.<sup>2</sup>

საბაჟო სისტემის მეშვეობით სახელმწიფო ახორციელებს ქვეყნის ეკონომიკის რეგულირებას. ეფექტური, მობილური საზოგადოების შექმნა კი, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, რომლის გადაწყვეტის კონცეფცია, როგორც წესი სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით განისაზღვრება<sup>3</sup>. ამ თვალსაზრისით, საბაჟო პოლიტიკა შეიძლება განახორციელოს სახელმწიფომ და მისმა შესაბამისმა ორგანოებმა. ამასთან, საბაჟო პოლიტიკის რეალიზაციის ინსტრუმენტები და საბაჟო საქმიანობის განხორციელების საშუალებები უშუალოდ ეხება საქონლის ექსპორტთან და იმპორტთან დაკავშირებული დამოუკიდებელი მეურნე-სუბიექტების ფართო წრის ინტერესებს. ისინი შეიცავენ საბაჟო ურთიერთობათა მონაწილეების ქცევის უშუალოდ და ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრულ იურიდიულ წესებს, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში არ შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით.

საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმება, საქართველოში საბაჟო საქმიანობის, ქვეყნის გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაბიჯს წარმოადგენს. ასოცირების შეთანხმება კომპლექსური დოკუმენტია, რომელიც ძალაში 2016 წლის ივლისში შევიდა. „ასოცირების შესახებ შეთანხმება ითვალისწინებს საქართველოს და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (Deep and Comprehensive Free Trade Area- DC FTA) ჩამოყალიბებას. ასოცირების შესახებ შეთანხმებაში ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხების განხორციელება ქმნის ევროკავშირის შიდა ბაზარზე საქართველოს ეტაპობრივი ეკონომიკური ინტეგრაციის რეალურ მექანიზმს“<sup>4</sup>.

<sup>2</sup> Trade benefits under the EEC generalized system of preferences, 1981, 339-355. ხელმისაწვდომია: <https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S0014292181800062> (მოძიებულია: 15.10.2022).

<sup>3</sup> ხარაზი ი., საბაჟო სამართალი, გამომცემლობა „გეორგია“, თბილისი 2021, 4. (მოძიებულია: 16.10.2022).

<sup>4</sup> “საქართველო- ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ გზამკვლევი (ხშირად დასმული კითხვები), თებერვალი, 2014, 7. ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/> (მოძიებულია: 16.10.2022).

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცე (DC FTA), თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებისგან (Free Trade Agreement) განსხვავებით, გულისხმობს, როგორც სატარიფო, ასევე არასატარიფო ბარიერების აღმოფხვრას<sup>5</sup>, იგი არეგულირებს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს (მაგ., სურსათის უვნებლობა, პროდუქციის უსაფრთხოება, კონკურენციის პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, საბაჟო საკითხები, სახელმწიფო შესყიდვები და სხვა). DC FTA გულისხმობს ვაჭრობის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობისა და ინსტიტუტების ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის შესაბამის რეგულაციებთან და ადმინისტრირების მექანიზმებთან. DC FTA საქართველო- ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ჩამოყალიბებას გულისხმობს. იგი ხელს უწყობს: ევროკავშირის ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადი, სავაჭრო სისტემის ფორმირებას; გამჭვირვალე, სტაბილური ბიზნესგარემოს ჩამოყალიბებას; საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობისა და შესაბამისად, უცხოური ინვესტიციების ზრდას; ქვეყნის მდგრად განვითარებასა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას; ახალი საწარმოებისა და საექსპორტო პროდუქციის შექმნას; ადგილობრივი წარმოების მასშტაბების ზრდის კვალობაზე ახალი სამუშაო ადგილების შექმნას; ქართული პროდუქციის საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირებას და გაფართოებას; ქართველი ექსპორტიორებისთვის ექსპორტთან დაკავშირებული ხარჯების შემცირებას; ქართველი მომხმარებლებისთვის უსაფრთხო და უვნებელი პროდუქტის მიწოდებას. მოკლევადიან პერსპექტივაში მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდას 1,7%-ით, ხოლო გრძელვადიანი პერსპექტივით- 4,3%-ით. მოკლევადიან პერსპექტივაში ექსპორტის 9%-ით, ხოლო იმპორტის 4,4%-ით, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში ექსპორტის 12%-ით, ხოლო იმპორტის 7,5%-ით ზრდას<sup>6</sup>.

DCFTA საქართველოში 2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა. მისი მთავარი ფუნქცია არის საქართველოში წარმოებული პროდუქციისთვის, ასევე მომსახურების

---

<sup>5</sup> მაგ: კვოტირება, ლიცენზირება, მინიმალური და მაქსიმალური ფასების დაწესება და ა.შ.

<sup>6</sup> ECORYS და CASE- ის კვლევა, ოქტომბერი, 2012 „Trade Sustainability Impact Assessment in support of negotiations of a DCFTA between the EU and Georgia and the Republic of Moldova” (მოძიებულია: 20.10.2022).

სექტორისთვის ევროკავშირის ბაზრის გახსნა. მსოფლიო ბაზარი აერთიანებს 28 ქვეყანას და მას ჰყავს 500 მილიონზე მეტი მომხმარებელი. ევროკავშირის ბაზარი ასევე ნიშნავს:

- სტაბილურ ბაზარს
- ღია თამაშის წესებს
- დისტრიბუციის გამართულ ქსელს
- მზარდ ფასებს სურსათზე
- მზარდ მოთხოვნას ნატურალურ პროდუქტებზე<sup>7</sup>

არასატარიფო და ტექნიკური შეზღუდვებისგან განთავისუფლება, საქონლით თავისუფალი ვაჭრობა მნიშვნელოვნად ზრდის საქართველოში წარმოებულ პროდუქციაზე საექსპორტო პოტენციალს. ევროკავშირში განხორციელებული ექსპორტი სულ უფრო მეტად იზრდება, ოფიციალური მონაცემებით, 2013 წელს ექსპორტირებული პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულმა თანხამ 608 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა<sup>8</sup>.

მსოფლიო სავაჭრო წესრიგი ეფუძნება ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალურ შეთანხმებას, რომელიც დაიდო 1947 წელს და ძალაში შევიდა 1948 წლის 1 იანვარს (GATT<sup>9</sup>). შეთანხმების საფუძველზე საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობა მოხდა საბაჟო გადასახადებისა და ვაჭრობის არა სატარიფო ბარიერების გაუქმებით. GATT-ის ყველა წევრი სახელმწიფო შეთანხმდა სხვადასხვა შეღავათების დაწესებაზე, მათ შორის გადასახადებისგან განთავისუფლებაზე. საბაჟო გადასახადები და სავაჭრო ბარიერები მნიშვნელოვნად შემცირდა. შემდგომი პროგრესული ნაბიჯი, რომელიც უზრუნველყოფდა ტარიფების კიდევ უფრო შემცირებას და სავაჭრო ურთიერთობების ბევრად უფრო გამარტივებას, იყო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO<sup>10</sup>) დაარსება, ჟენევაში, 1995 წლის 1 იანვარს. შემუშავდა „ერთიანი პაკეტი“, რომელიც მოითხოვდა

<sup>7</sup> DC FTA- ის მოთხოვნები პირველადი წარმოებისათვის, გზამკვლევი, 2018, 5. ხელმისაწვდომია: <https://trade.ec.europa.eu/access-to-markets/en/content/eu-georgia-deep-and-comprehensive-free-trade-area> (მოძიებულია: 20.10.2023).

<sup>8</sup> მონაცემები აღებულია: DC FTA- ის მოთხოვნები პირველადი წარმოებისათვის, გზამკვლევი, 2018, 6. ხელმისაწვდომია: <https://www.econstor.eu/handle/10419/268174> (მოძიებულია: 20.10.2023).

<sup>9</sup> GATT- General Agreement on Tariffs and Trade

<sup>10</sup> WTO- World Trade Organization



GATT-ს წევრი სახელმწიფოებისგან შეექმნათ საკუთარი სავაჭრო ადგილები, ლიბერალური საბაჟო უპირატესობებით სარგებლობისათვის. განვითარებადი ქვეყნებისთვის დოჰაში (კატარი) გაიმართა 2001 წელს მინისტრთა კონფერენცია, რომელსაც ეწოდა „დოჰას განვითარების დღის წესრიგი“. მის მთავარ მიზანს წარმოადგენდა განვითარებადი ქვეყნების გაძლიერება და წახალისება საერთაშორისო ვაჭრობაში. ამ ორგანიზაციების მთავარ ამოსავალ დებულებას ქვეყნებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა წარმოადგენს, რათა სავაჭრო ურთიერთობები იყოს მოგებაზე ორიენტირებული, თუმცა ამავდროულად სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება განუხრელად შეასრულონ ყველა ის მოთხოვნა, რომელსაც ეს ორგანიზაციები სთავაზობენ მათ.

1952 წელს მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია (WCO<sup>11</sup>) დაარსდა ბრიუსელში, რომლის ამოცანას წარმოადგენდა GATT-ის ხელშემკვრელ მხარეებს შორის სატარიფო სისტემის მაქსიმალური ჰარმონიზაცია <sup>12</sup>. WCO-ს ეგიდით 1973 წელს დაიდო საბაჟო პროცედურებისა გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ საერთაშორისო კონვენცია („კიოტოს კონვენცია“).<sup>13</sup>

ევროპული საბაჟო სამართლის მნიშვნელოვან წყაროს ევროპული სამართალი წარმოადგენს, მათ შორის არის ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის დამფუძნებელი ხელშეკრულება. მოცემული ხელშეკრულების მთავარ ამოცანას „საერთო ბაზრის“ შექმნა წარმოადგენს, რაც ითვალისწინებს საქონლის თავისუფალ გადაადგილებას ხელმომწერ სახელმწიფოებს შორის. ფაქტობრივად ორი ან რამდენიმე სუვერენული სახელმწიფო ერთიანდება საბაჟო სამართლებრივი ურთიერთობების განსახორციელებლად და თავიანთ ტერიტორიებს ერთიან საბაჟო ტერიტორიად აქცევენ. შედეგად უქმდება ექსპორტისა და იმპორტის გადასახადი და იქმნება ერთიანი საბაჟო სატარიფო სისტემა. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ: „ექსპორტიორებმა, უვნებლობასთან ერთად,

---

<sup>11</sup> WCO- World Customs Organization

<sup>12</sup> ამილახვარი ზ., საერთაშორისო ბიზნეს სამართალი, თბილისი 2011. 17. (მოძიებულია: 25.10.2022).

<sup>13</sup> კიოტოს 1973 წლის კონვენცია „საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ“, საქართველო შეუერთდა 2018 წლის პარლამენტის დადგენილებით. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4270130?publication=0> (მოძიებულია: 27.10.2022).

ყურადღება უნდა მიაქციონ საქონლის ხარისხს, რომელსაც სავაჭრო ქსელები აწესებენ. ხარისხის სტანდარტი უშუალოდ სავაჭრო ქსელზე ან დისტრიბუტორზეა დამოკიდებული, ამიტომ ექსპორტიორებმა წინასწარ უნდა მიიღონ აღნიშნული ინფორმაცია პარტნიორებისგან ევროპაში. ბოლო წლებში მზარდი მოთხოვნა შეინიშნება პროდუქტებზე, რომლებიც მოყვანილია ეკოლოგიურად სუფთა გარემოში, ნაკლები ქიმიური საშუალებების გამოყენებით. საქართველოს, თავისი ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე აქვს შესაძლებლობა ამ კუთხით დაიკავოს საკუთარი ნიშა ევროკავშირის ბაზარზე და მომხმარებელს სთავაზობს ნატურალურ პროდუქტს.<sup>14</sup>

საერთაშორისო საბაჟო ორგანიზაციების შექმნით საერთაშორისო საბაჟო ურთიერთობები ბევრად უფრო ჰარმონიზებული და ლიბერალური გახდა, თუმცა შიდა ბაზრის ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად, სახელმწიფოების ეროვნული საბაჟო კანონმდებლობა მკაცრად განსაზღვრული და კოდიფიცირებული უნდა ყოფილიყო.<sup>15</sup> სწორედ ამიტომ ევროპის საზოგადოებების საბჭომ გამოსცა საბაჟო კოდექსი, რომელიც წარმოადგენს ზოგად საბაჟო კანონს და მისი გამოყენება შეუძლია ყველა წევრ სახელმწიფოს, მეტიც მას აქვს ეროვნულ კანონზე უპირატესი იურიდიული ძალა და იგი შესასრულებლად სავალდებულოა.

საერთაშორისო ვაჭრობის განვითარება დამოკიდებულია კონკურენტუნარიანი და დინამიურ ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის შექმნით, რომელიც „ლისაბონის დღის წესრიგის“ მთავარ მიზანს წარმოადგენს. საბაჟო კავშირი ეფუძნება საერთო კომერციულ პოლიტიკას, რაც გულისხმობს ერთიანი საბაჟო ნორმებითა და კანონებით საბაჟო ურთიერთობების რეგულირებას, რის გამოც ევროპის საბაჟო კოდექსი შეიქმნა, თუმცა დღეს-დღეობით საბაჟო ურთიერთობები ჯერ კიდევ ცალკეული სახელმწიფოების ეროვნული კანონებით რეგულირდება და მათ უპირატესი იურიდიული ძალა გააჩნიათ, რაც ხელს უშლის მათ სახელმწიფო ტერიტორიები ერთ მთლიან საბაჟო ტერიტორიად

---

<sup>14</sup> DC FTA - ის მოთხოვნები პირველადი წარმოებისთვის, გზამკვლევი, 2011,6. ხელმისაწვდომია: [https://case-research.eu/sites/default/files/Movchan\\_0.pdf](https://case-research.eu/sites/default/files/Movchan_0.pdf) (მომიებულია: 30.10.2022).

<sup>15</sup> გეფერიძე დ., ხაზალია ა., საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი, 2011, 7. (მომიებულია: 30.10.2022).

აქციონ და მათზე ერთნაირი საბაჟო ტარიფები და რეჟიმები გაავრცელონ. აღნიშნული პრობლემა ძირითადად ეხება იმ სახელმწიფოებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან ხელშეკრულების მონაწილე მხარეები, თუმცა მიისწრაფვიან ამისკენ. ასეთ შემთხვევაში ისინი სამართლებრივ ურთიერთობებს, მათ შორის საბაჟო ურთიერთობებს არეგულირებენ ეროვნული კანონმდებლობით, და უპირატესი იურიდიული ძალის მქონედ სწორედ ამ კანონმდებლობას მიიჩნევენ. მოვაჭრეებს დღესაც კი უჭირთ იმის აღქმა, რომ სავაჭრო ურთიერთობები ხორციელდება ერთ დიდ საბაჟო ტერიტორიაზე, რომელზეც ვრცელდება ერთნაირი საბაჟო ნორმები, რის გამოც უარს ამბობენ საქონლის ტრანსპორტირებაზე, თუ მათ დანიშნულების ადგილზე არ ეყოლებათ საკუთარი წარმომადგენელი ან აგენტი. სავაჭრო ურთიერთობებში მხარეთა შორის უნდობლობის არსებობა საბაჟო ტერიტორიებზე იწვევს მთელ რიგ შეფერხებებს. OECD-ს მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ მსგავსი ტიპის შეფერხებების მოყვებით შესაბამისი მატერიალური ზიანი, რომელიც საქონლის ღირებულების 15%-ს შეადგენს.<sup>16</sup>

საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების ხელშეკრულება, რომელმაც ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა საქართველო, საჭირო გახადა თავისუფალი სივრცის შესახებ შეთანხმებაში ქართველი მეწარმეებისთვის შეეტანათ ერთი პუნქტი, რომელსაც დიაგონალური კუმულაციის პრინციპი ეწოდა. იგი მოიცავს ევროკავშირს, საქართველოსა და თურქეთს. შეთანხმების მიხედვით, საქართველოში წარმოებული საქონელი შეძლებს წარმოშობის სერთიფიკატის (EUR.1)<sup>17</sup> მიღებას, თუ მასში, ქართული წარმოშობის მქონე ნედლეულის გარდა, ასევე გამოყენებულია ევროკავშირის ან/და თურქული წარმოშობის მქონე მასალაც. დიაგონალური

---

<sup>16</sup> OESD- Organization for Economic Co-operation and Development

<sup>17</sup> პრეფერენციული წარმოშობის სერთიფიკატი EUR.1 (შემდგომში- წარმოშობის სერთიფიკატი EUR.1) არის საქონლის აღწერის განსაზღვრული ფორმის დოკუმენტი, რომლითაც მისი გაცემისათვის უფლებამოსილი ორგანო ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ საქონელი, რომელზედაც გაცემულია ეს სერთიფიკატი, წარმოშობილია მოცემული ქვეყნიდან. იხ. საქართველოს მთავრობის დადგენილება N453 (2019 წლის 16 სექტემბერი), „საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმების, წარმოშობის დამადასტურებელი სერთიფიკატის ფორმის, მისი შევსებისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1167052?publication=0> (მოძიებულია: 1.11.2022).

კუმულაციის პრინციპით, საქართველოს მიეცა შესაძლებლობა საერთაშორისო ბაზარზე წარმოედგინა ქართული წარმოშობის მქონე ნედლეული, რომელმაც გაზარდა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლიანობა. მსგავსი საერთაშორისო დონის ნოვაციები, რომელსაც ევროკავშირთან ინტეგრირების პროცესში გადიან სახელმწიფოები ემსახურება საერთაშორისო ბაზარზე მათ ინტეგრირებას, ახალი ინვესტიციების დანერგვას და მოზიდვას, დაინტერესებას მეწარმე სუბიექტების მხრიდან. საბოლოოდ ეს ფაქტორები განსაზღვრავენ ქვეყნის ეკონომიკურ სტატუსს, შემოსავლიანობის დონის ზრდას და მათ ადგილს საერთაშორისო ბაზარზე.

## 1.2 ქართული საბაჟო კანონმდებლობის ჩამოყალიბება და მისი ადგილი საერთაშორისო საბაჟო სისტემაში

საქართველო გლობალიზაციის პროცესში აქტიურად ჩაერთო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების შემდეგ. ევროკავშირის მიერ მიღებული პრინციპებისა და ღირებულებების გასაზიარებლად აუცილებელი იყო ქართული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია. საერთაშორისო საბაჟო სისტემის ფორმირება არც თუ ისე შორეულ წარსულში დაიწყო. სახელმწიფოებს შორის მრავალი საუკუნის მანძილზე არსებული მონოპოლია გარკვეულ წილად აფერხებდა საერთაშორისო საბაჟო სისტემის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესს დაწყებას.<sup>18</sup>

საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობის პარალელურად, საქართველო დიდ დაინტერესებას იწვევდა მისი სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე უცხოელი ინვესტორებისთვის. ისინი ქმნიდნენ საწარმოებს და ფუძნდებოდნენ მცირე თუ მსხვილი ბიზნესებით საქართველოში, რაც ეკონომიკურად აძლიერებდა სახელმწიფოს. საქართველო მრავალ საერთაშორისო ორგანიზაციაში გაწევრიანდა, ფაქტობრივად იგი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ საერთაშორისო

<sup>18</sup> იხ., ხარაზი ი., საგადასახადო სამართალი, გამომცემლობა „გეორგიკა“, თბილისი 2014, 7., ასევე იხ., ხარაზი ი., საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, გამომცემლობა: გეორგიკა“, თბილისი 2021, 15. (მოძიებულია 2.11.2022)

მასშტაბებით იქნა აღიარებული. თუმცა აფხაზეთის ომი ეკონომიკურად და მორალურად დამანგრეველი აღმოჩნა მისთვის. ეკონომიკური კრიზისი, რომელიც ამ ომის შედეგად დაიწყო ქვეყანაში ანტიკრიზისული პროგრამის დანერგვით გადაილახა. ქვეყანას ეკონომიკური დახმარება გაუწია, როგორც მსოფლიო ბანკმა ასევე მსოფლიო საერთაშორისო სავალუტო ფონდმა. პროგრამის ფარგლებში ქვეყანაში დაინერგა ახალი ეკონომიკური რეფორმები, დაიწყო სავაჭრო ურთიერთობები, გაუქმდა ყველა ის შეზღუდვა, რომელიც დამაბრკოლებელი იყო თავისუფალი ვაჭრობისთვის, შემცირდა ლიცენზირებული საქონლის რაოდენობა.<sup>19</sup> ეკონომიკური რეფორმის შედეგად შეიცვალა საბანკო სისტემა, საგადასახადო სისტემა, საფინანსო პოლიტიკა.<sup>20</sup>

ერთ-ერთი პროექტი, რომელშიც საქართველო ჩაერთო ცნობილია ტექნიკური დახმარების პროგრამის- „ტასისის“ სახელწოდებით, რომლის მეშვეობით საქართველოს ეძლეოდა შესაძლებლობა განეხილათ თავისუფალი ბაზარი, რაც ეკონომიკური სიძლიერისა და მდგრადობის გარანტი გახდებოდა. ასევე ევროკავშირმა ამ პროგრამის საქართველოში დანერგვით წახალისა მრავალპარტიული დემოკრატია. დამოუკიდებლობის მოპოვების პირველ წლებში ევროკავშირი საქართველოს უწევდა სარეაბილიტაციო სახის დახმარებას. ასევე უზრუნველყოფდა მისი ჰუმანიტარული საჭიროების საგნებით მომარაგებას. ეს კავშირი ითვალისწინებდა სამომავლოდ საქართველოს აქტიურ ჩართულობას ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესში, ასევე ქართული სამართლებრივი კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროკავშირის სამართლებრივ კანონმდებლობასთან. ევროკავშირმა გამოთქვა სურვილი საქართველო გამხდარიყო მისი გრძელვადიანი და სრულუფლებიანი პარტნიორი ქვეყანა<sup>21</sup>. „ტასისის“ ეგიდით გათვალისწინებული იყო „რეგიონული სასოფლო-სამეურნეო რეფორმის პროგრამა“, რომელიც გულისხმობდა ქართული სურსათის ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში გატანას და რეალიზაციას, მიღებული თანხებით კი საქართველოში

<sup>19</sup> პეპანაშვილი ნ., საერთაშორისო ბიზნეს სამართალი, 2017, 25. (მოძიებულია: 5.11.2022).

<sup>20</sup> შენგელია რ., საფინანსო სამართალი, თბილისი, 2009, 27. (მოძიებულია: 7.11.2022).

<sup>21</sup> თანამშრომლობა საქართველოსა და ევროკავშირის შორის, ხელმისაწვდომია: [https://eeas.europa.eu/archives/delegations/georgia/documents/virtual\\_library/04\\_buklet\\_ka.pdf?fbclid=IwAR2WTDV98M4ccr5IeiTEtO4ofM3K7iKDI3vGU6k4bBj69GgqePI9\\_0aGzLY](https://eeas.europa.eu/archives/delegations/georgia/documents/virtual_library/04_buklet_ka.pdf?fbclid=IwAR2WTDV98M4ccr5IeiTEtO4ofM3K7iKDI3vGU6k4bBj69GgqePI9_0aGzLY) (მოძიებულია: 22.11.2022).

შეიქმნა კომერციული ბანკები, საკრედიტო კავშირები.<sup>22</sup> ასევე საქართველოში განვითარდა ინფრასტრუქტურა, გაიხსნა ფარმაცევტული დაწესებულებები, წახალისდა მცირე და საშუალო ბიზნესი, განვითარდა სასოფლო სამეურნეო მრეწველობა და ა.შ.

შემდგომი სტრატეგიული ნაბიჯი საქართველოსთვის იყო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება. (WTO- შემდგომში მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია), რომლის მთავარ მიზანს ეკონომიკური სტაბილურობისა და თავისუფალი ვაჭრობის ლიბერალიზაცია წარმოადგენს. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებამ, მეცნიერებსა და პრაქტიკოსებს შორის დიდი აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. აღმოჩნდა რომ მეცნიერთა დიდი ნაწილი, არგუმენტირებულად, სკეპტიკურად იყო განწყობილი ამ ფაქტთან მიმართებაში, თუმცა ფაქტია, რომ საქართველო WTO-ში გაწევრიანებით მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ინტეგრირდა. ამასთანავე ხელისუფლებამ მთავარი ყურადღება დაუთმო ეროვნული ვალუტის სტაბილიზაციას, აკრძალა კომერციულ ბანკებში მავნე პრაქტიკის გამოყენება. გაძლიერდა საგადასახადო სამსახური და საბაჟო დეპარტამენტი, დაინერგა ფინანსური დისციპლინა, შეიქმნა მუდმივი საგადასახადო განაკვეთი. დადგენილ იქნა კოეფიციენტები, რომლის მიხედვითაც საგადასახადო შემოსავლები გადანაწილდა ცენტრალურ და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის. შემცირდა სახელმწიფო საკუთრების წილი სახელმწიფო კომერციულ ბანკებში. ეროვნულმა ბანკმა გააძლიერა საზედამხედველო და დისციპლინური ფუნქციები კომერციულ ბანკებზე. საქართველომ დაიწყო თანამშრომლობა საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან, გაიზიარა მათი სამართლებრივი რეგულაციები, ფისკალურ სექტორთან და საბანკო საქმესთან დაკავშირებით. საქართველომ დიდი ინტერესი გამოიწვია საერთაშორისო ასპარეზზე არა მხოლოდ მისი ადგილმდებარეობით, არამედ მაღალი ტექნიკური პოტენციალით,

---

<sup>22</sup> იხ., გაბიზონია ზ., საბანკო სამართალი, თბილისი 2017, 35. (მოძიებულია: 25.11.2022).

მეცნიერების მაღალი დონით, განათლებით და კულტურით, საზოგადოების განვითარებით და ა.შ.<sup>23</sup>

მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც გადაიდგა ევროკავშირსა და საქართველოს შორის ინტეგრირების პროცესში იყო 2014 წელს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა<sup>24</sup>. მოცემული შეთანხმება საქართველოსთვის ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით იყო ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან საქართველოს მიეცა შესაძლებლობა ესარგებლა კაპიტალის, მომსახურებისა და საქონლის თავისუფალი გადაადგილებით. საქართველოში მუდმივად ხორციელდებოდა საკანონმდებლო ცვლილებები, რის შედეგადაც იქმნებოდა ბევრად უფრო თანამედროვე და გამართული სამართლებრივი სისტემა, თანამედროვე საერთაშორისო სამართლებრივ პრინციპებზე მორგებული, რასაც მოითხოვდა ევროკავშირთან ინტეგრაცია და უნიფიკაცია. სწორედ ამ მიზნით საქართველოში 2011 წელს მიღებულ იქნა ახალი საგადასახადო კოდექსი, რომლის მიზანიც იყო თანამედროვე მოთხოვნებისა და პრინციპების დაცვა და განმტკიცება, ასევე მასში გაერთიანდა საბაჟო კანონმდებლობა, 2011 წლიდან ტერმინი „საბაჟო“ აღარც კი არსებობდა, იგი გახდა საგადასახადო კოდექსის შემადგენელი ნაწილი, რის საფუძველზეც ექვსის ქვეშ დადგა ის პოზიცია თუ რამდენად იყო საქართველოსთვის საბაჟო კანონმდებლობა აღიარებული, როგორც სამართლის დამოუკიდებელი დარგი, მაშინ, როდესაც ეს ფაქტი ევროკავშირისთვის ექვს არ იწვევდა. ის რომ საბაჟო კოდექსი საგადასახადო კოდექსის შემადგენელ ნაწილად იქცა ცალკე განხილვის და დავის საგანს წარმოადგენს, თუმცა რამდენად მომგებიანი იყო სახელმწიფოს მხრიდან მსგავსი გადაწყვეტილება ნაკლებად სავარაუდოა. მას შემდეგ, რაც საქართველომ ხელი მოაწერა ასოცირების შესახებ შეთანხმებას, აუცილებელი გახდა ახალი საბაჟო კოდექსის მიღება,

---

<sup>23</sup> იხ., ხარაზი ი., საგადასახადო სამართალი, პირველი ნაწილი, გამომცემლობა „გეორგია“, თბ., 2020, 56, ასევე ხარაზი ი., საგადასახადო სამართალი, საერთო -სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები, გამომცემლობა „გეორგია“, თბ., 2017, 78. (მომიებულია: 27.11.2022).

<sup>24</sup> იხ., ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0> (მომიებულია: 28.11.2022).



რადგან ევროკავშირი მას აღიარებს, როგორც სამართლის დამოუკიდებელი დარგს, შესაბამისად ყველა იმ სახელმწიფო, რომელსაც ექნება პრეტენზია გახდეს ევროკავშირის დიდი ოჯახის შემადგენელი ქვეყანა მოეთხოვება და ვალდებულია იხელმძღვანელოს ევროკავშირის მიერ დადგენილი წესებით და პრინციპებით. ამ მიზნით, 2019 წელს საქართველომ კვლავ მიიღო ახალი საბაჟო კოდექსი, რომელიც ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა ევროკავშირთან ინტეგრირების პროცესში.<sup>25</sup> ფაქტობრივად ამით დადასტურდა ის ფაქტი, რომ საქართველოსთვის, ისევე როგორც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის საბაჟო სამართალი წარმოადგენდა სამართლის დამოუკიდებელ დარგს. თუმცა მიუხედავად ამ ნაბიჯისა, ქართული საბაჟო სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმატიული მასალა წარმოდგენილია სხვადასხვა ბრძანებებსა და დოკუმენტებში, მაგალითად ფინანსთა მინისტრის ბრძანებებში, კანონქვემდებარე აქტებში, შინაგან საქმეთა მინისტრების მიერ გამოცემულ სამართლებრივ აქტებში, საბაჟო კოდექსში და სხვა, ერთიანი კოდიფიკაცია არ არსებობს, რომელიც მასში გააერთიანებდა მთელს იმ ნორმატიულ მასალას, რომელიც საბაჟო ურთიერთობებს მოაწესრიგებდა.

ძველი საბაჟო კანონმდებლობა შედგებოდა სხვადასხვა საბაჟო ელემენტებისგან, რომელსაც არ გააჩნდა საბაჟო კანონმდებლობის ყოვლისმომცველი ორგანო შესაბამისი კომპეტენციით. თავდაპირველად საბაჟო სისტემა მოიცავდა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დადგენილ შეთანხმებებს, რომელიც გასცემდა რეკომენდაციებს მასში გაწევრიანებულ ქვეყნებზე. თუმცა არასაკმარისი გამჭვირვალობა და პროგნოზირება, რომელსაც საერთაშორისო საბაჟო ორგანოები აწვდიდნენ მათ წევრ სახელმწიფოებს იყო მხოლოდ საკონსულტაციო მექანიზმის მქონე. საჭირო იყო ახალი საბაჟო სისტემის შექმნა, რომელშიც გაერთიანდებოდა, როგორც სავალდებულოდ შესასრულებელი, მკაცრად განსაზღვრული ნორმატიული მასალა, აგრეთვე სარეკომენდაციო სახის დებულებები. თანამედროვე საერთაშორისო საბაჟო სისტემის არსებობა განაპირობა იმ გლობალურმა ცვლილებებმა, რომელიც მთელს მსოფლიოში

---

<sup>25</sup> იხ., საქართველოს საბაჟო კოდექსი. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4598501?publication=6> (მოძიებულია: 30.11.2022).



მიმდინარეობდა. საბაჟო ურთიერთობები გასცდა ეროვნულ იურისდიქციას და საჭირო გახდა სამართლებრივი ურთიერთობების საერთაშორისო დონეზე რეგულირების აუცილებლობა. საერთაშორისო საბაჟო კანონმდებლობაში გაერთიანდა სამართლებრივი ნორმები და წესები, რომლებიც შესასრულებლად სავალდებულო იყო. იგი ვრცელდებოდა მსოფლიოში არსებული ყველა ქვეყნის ეკონომიკურ სისტემაზე, კმნიდა ეკონომიკური სტაბილურობის გარანტიებს, ქვეყნებს შორის ჯანსაღი კონკურენციის არსებობას, თავისუფალი ვაჭრობის ხელშეწყობას.

მსოფლიოში მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია შეიქმნა, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენდა საერთაშორისო საბაჟო სისტემის სრულყოფაში მოყვანა, რომლის განხორციელებაში ეს ორგანიზაციები სარგებლობდნენ სპეციალური კომპეტენციის ფარგლებში, თუმცა ასევე არსებობდნენ ისეთი ორგანიზაციებიც, რომლებიც მხოლოდ საკოორდინაციო ფუნქციით შემოიფარგლებოდნენ. მათ შორის იყო საერთაშორისო ხელშეკრულებები, ჩვეულებითი სამართალი, სხვადასხვა საერთაშორისო წყაროები, რომელთა არსებობაც მნიშვნელოვანია საბაჟო სამართლებრივი სისტემის გამართული ფუნქციონირებისათვის. საერთაშორისო საბაჟო ორგანიზაციებში გაწევრიანებული სახელმწიფოები საბაჟო სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ უპირატესი ხელშეწყობის პრინციპის დაცვით<sup>26</sup>. მოცემული პრინციპით სახელმწიფოები ვალდებულები არიან აღკვეთონ ახალი საბაჟო პრეფერენციების გაცემა, დაადგინონ შეღავათიანი საბაჟო გადასახადები, არსებული დავები გადაწყვიტონ ურთიერთკონსულტაციებით, აკრძალონ სატარიფო პროტექციონიზმი და ა.შ.<sup>27</sup>

არსებობს რამდენიმე ნიშანი იმისა, რომ ევროკავშირის ხედვა ნამდვილად ითვალისწინებს თანამედროვე მიწოდების ჯაჭვურ ბუნებას, რომელიც კომპლექსურად აერთიანებს საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობისთვის საჭირო ყველა რეგულაციას.

---

<sup>26</sup> იხ., The World Trade Organization, Third Edition, Mizuo Matsushita, Thomas J. Scheinbaum, Petros C. Mavroudis, Michael Hahn, 2015, 31. ხელმისაწვდომია: <https://books.google.ge/books?hl=en&lr=&id=bralCgAAQBAJ&oi=fnd&pg=PP1&dq=world+trade+organization&ots=xPKZlQLzr8&sig=u-I7LQcZoAvc6n4Aakjqggn7rJo&rediresc=y#v=onepage&q&f=true> (მოძიებულია: 1.12.2022).

<sup>27</sup> იხ., ხარაზი ი., საბაჟო სამართალი პირველი ნაწილი, თბ 2021, 69, ასევე იხ., ხარაზი ი., ხარაზი ქ., საბაჟო სამართალი მეორე ნაწილი თბ 2022, 56. (მოძიებულია: 3.12.2022).

მომავლის სტრატეგია, რომელიც პოტენციალის შემდგომი განვითარებისთვის არის საჭირო, ეფუძნება შემდეგ ფაქტორებს: სახელმწიფოები, რომლებიც საერთაშორისო ვაჭრობის ძირითად ნაწილს წარმოადგენენ, ორიენტირებული უნდა იყვნენ ზუსტად შეასრულონ საერთაშორისო ვაჭრობაზე მოქმედი რეგულაციები, ისე რომ არ დაივიწყონ თავიანთი ეროვნული კანონმდებლობა და ტრადიციები.

### 1.3 საერთაშორისო საბაჟო კანონმდებლობა და საქართველო

სახელმწიფოები მუდმივად ცდილობდნენ შეექმნათ ისეთი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური გარემო, რომელიც იქნებოდა მათი განვითარებისა და კეთილდღეობის გარანტი. მსოფლიოში არსებულ ქვეყნებს შორის, რომლებიც ამ მიზნისკენ მიისწრაფოდნენ იყო საქართველოც, რომელიც დიდი უპირატესობით სარგებლობდა საერთაშორისო ასპარეზზე. ამ უპირატესობის მიზეზი უმთავრესად იყო მისი გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობა, რადგან იგი აკავშირებდა ბიზანტიურ და სპარსულ სამყაროებს ერთმანეთთან. შესაბამისად საერთაშორისო ურთიერთობებში აქტიური ჩართულობა და სატრანზიტო ქვეყნის სტატუსი საქართველოსთვის ეკონომიკურად მომგებიანი იყო, ამასთანავე სოფლის მეურნეობის განვითარება შემოსავლის დიდ წყაროს წარმოადგენდა. ადგილობრივი წარმოების პროდუქტი გადიოდა შავიზღვისპირა და ხმელთაშუაზღვისპირა სახელმწიფოებში, ხდებოდა მათი გადაცვლა სხვა პროდუქტებში და ამგვარად საქართველო ერთვებოდა სავაჭრო ურთიერთობებში ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ყალიბდებოდა და იქმნებოდა ისეთი სამართლებრივი ურთიერთობები, რომელსაც დღესდღეობით საბაჟო სამართლებრივს ვუწოდებთ<sup>28</sup>. სავაჭრო ურთიერთობებს მუდმივად ახლდა ფარულად კონტრაბანდული პროდუქციის, აკრძალული საქონლის საზღვარზე შეტანა ან გატანა მისი რეალიზაციის მიზნით, ყოველივე აღნიშნული მოითხოვდა ისეთი საბაჟო სისტემის შექმნას, რომელიც აღმოფხვრიდა მსგავს შემთხვევებს, ამასთანავე სამართლებრივად სწორად

---

<sup>28</sup> Trends and features of embodied flows associated with international trade based on bibliometric analysis, 2018, 148-157. ხელმისაწვდომია: [https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S0921344918300028?+xtrsl=ka&xtrtl=en&xtrhl=en&x\\_trpto=wapp](https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S0921344918300028?+xtrsl=ka&xtrtl=en&xtrhl=en&x_trpto=wapp) (მოძიებულია: 20.12.2022).

დაარეგულირებდა სავაჭრო ურთიერთობებს. სწორედ აქედან იღებს სათავეს საბაჟო კანონმდებლობის შექმნის იდეის გაჩენა და მისი სისრულეში მოყვანა, რომელიც მოახდენდა საბაჟო ურთიერთობების სწორ სამართლებრივ რეგულირებას. საქართველო ცდილობდა მოეხდინა საბაჟო სამართლებრივი ურთიერთობების რაციონალიზაცია, ვაჭრობის პროცესში ჯანსაღი კონკურენციისთვის ხელშეწყობა, შეღავათიანი ტარიფების დაწესება, სავაჭრო ურთიერთობების დროს წარმოშობილი დავების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტა და სხვა.

საბაჟო სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირების პროცესში საბაჟო სამართლის სუბიექტები სარგებლობენ უფლებებით, რომლებიც უზრუნველყოფილი და დაცულია საბაჟო კანონმდებლობის ნორმებით და წყაროებით. საბაჟო სამართლის სუბიექტებია საბაჟო ორგანოები, სასაზღვრო- გამტარი პუნქტები, იურიდიული პირები, ფიზიკური პირები, რომლებიც საბაჟო საზღვარზე გადაადგილებენ საქონელს, საბაჟო ორგანოების წარმომადგენლები. საქონელი ან სატრანსპორტო საშუალება, რომელიც გადაადგილდება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ექვემდებარება საბაჟო კონტროლს და ზედამხედველობას<sup>29</sup>. საბაჟო ორგანოს შეიძლება წარედგინოს, TIR- წიგნაკი<sup>30</sup>, ATA- წიგნაკი<sup>31</sup>, კონოსამეტრი, ავიაზედნადები ან სხვა სახის დეკლარაცია.

---

<sup>29</sup> იხ., შემოსავლების სამსახური, საბაჟო კონტროლი, ხელმისაწვდომია: <https://www.rs.ge/CustomsControl?cat=1&tab=1> (მოდირებულია: 21.12.2022).

<sup>30</sup> „აბრევიატურა TIR ( Transports International Routiers) ნიშნავს- საერთაშორისო საგზაო გადაზიდვებს“. 1993 წლის 2 დეკემბერს საქართველომ მიმართა გაეროს TIR- კარნეტის კონვენციასთან მიერთების შესახებ, ხოლო 1994 წლის 24 სექტემბრიდან საქართველო მიუერთდა ამ კონვენციას (რატიფიცირების გარეშე). ეს კონვენცია აწესრიგებს წევრ ქვეყნებს შორის საერთაშორისო საგზაო გადაზიდვებს, როგორც საბაჟო, ასევე ტექნიკური პროცედურების ასპექტებით. კერძოდ კონვენციის დებულებები აიოლებენ და ამარტივებენ საბაჟო გაფორმების პროცედურებს მონაწილე ქვეყნებში საავტომობილო ტრანსპორტით საქონლის გადაზიდვის დროს. ეს ეხება, როგორც საქონლის დათვალიერებას, დოკუმენტების შემოწმებას, ასევე, განსაკუთრებით საბაჟო გადასახდელების გადახდის საგარანტიო უზრუნველყოფას. TIR- კარნეტის სისტემა შედგება ოთხი ძირითადი სტრუქტურული ერთეულისგან: საბაჟო გადასახდელებზე საერთაშორისო გარანტიები; TIR- კარნეტის შესაბამისი წიგნაკი (კარნეტი); საბაჟო კონტროლის პრინციპების ურთიერთგნობა; სატრანსპორტო საშუალებების (კონტეინერების) სტანდარტულობა და უსაფრთხოება. (მოდირებულია 22.12.2022)

ხარაზი ია, საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, თბ., 2021, 657-658.

<sup>31</sup> ATA- კარნეტი გამოიყენება საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო პროცედურის პირობებში (აგრეთვე ტრანზიტის დროსაც). „ATA- კარნეტი, ანუ დროებითი შემოტანის დოკუმენტი წარმოადგენს ისეთ საერთაშორისო დოკუმენტს, რომელიც გათანაბრებულია სატვირთო-საბაჟო დეკლარაციასთან. სწორედ ამიტომ საბაჟო ორგანოს უფლება არ აქვს მოითხოვოს სატვირთო საბაჟო დეკლარაცია. სატრანსპორტო

საბაჟო სამართლებრივი ურთიერთობების პროცესში აუცილებელია დაცული იქნეს უსაფრთხოების წესები, რადგან სავაჭრო ურთიერთობები გარკვეულ რისკების წარმოქმნასთან არის დაკავშირებული. ამ მიზნით საერთაშორისო საბაჟო სამართალი უზრუნველყოფს საბაჟო კონტროლის განხორციელებას და რისკების მართვას, რომელიც მოითხოვს მისი ყველა წევრი სახელმწიფოსგან უსაფრთხოების ზომების შემუშავებას და ჯანსაღი კონკურენციის დანერგვას. ასოცირების შესახებ შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირს შორის მოითხოვს სხვადასხვა პრინციპებისა და მოთხოვნების შესრულებას მათ შორის საბაჟო კონტროლის განსახორციელებლად მაღალი სტანდარტების შემუშავებას, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს უსაფრთხოების დაცვა და თაღლითობის თავიდან აცილება, რომელიც ხშირია სავაჭრო ურთიერთობების განხორციელებისას. ევროკომისიის საბაჟო სახელმძღვანელო სახელმწიფოებს სთავაზობს თავდაცვის ეფექტურ მექანიზმებს, რომელიც გულისხმობს კონტროლის გაძლიერებას, სხვადასხვა სავაჭრო პროგრამების დანერგვას, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვას, ვაჭრობაზე ხელშეწყობას, ჯანსაღ კონკურენციაზე ხელის შეწყობას. ჟენევის 1982 წლის კონვენცია- ტვირთების საზღვარზე კონტროლის და შემოწმების შესახებ ითვალისწინებს ფიტოსანიტარულ სასაზღვრო- საკარანტინო, ვეტერინალურ სასაზღვრო-საკარანტინო და სანიტარულ- საკარანტინო კონტროლს. ამ კონვენციის წევრი ყველა სახელმწიფო ვალდებულია კონტროლი განახორციელოს ერთნაირი პირობების დაცვით.<sup>32</sup>

გლობალიზაციის პირობებში აუცილებელია სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების კოორდინაცია. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები წარმოდგენილია ჰელსინკის 1975 წლის თათბირის დასკვნით აქტში, რომელიც ძირითადად ეხება სახელმწიფოების სუვერენიტეტის აღიარებას, თანასწორობას, საზღვრების ხელშეუხებლობას,

---

საშუალების დროებით შემოტანისას გამოიყენება CPD- კარნეტი (აბრევიატურა CPD- Carnet de passages en douane), ფრანგ. ნიშნავს- საზღვრის გავლის წიგნაკს). ხარაზი ი; საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, თბ., 2021, 663. (მოძიებულია: 22.12.2022).

<sup>32</sup> ხარაზი ი., საერთაშორისო სამართალი, თბ., 2013, 34 (მოძიებულია: 25.12.20.22).

სახელმწიფოებს მოუწოდებს მათ შორის არსებული დავები გადაწყვიტონ მშვიდობიანად, ძალის გამოუყენებლად, ასევე ითვალისწინებს ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების დაცვის გარანტიების დანერგვას. სახელმწიფოები, რომლებიც აღიარებენ საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ პრინციპებს, ვალდებული არიან ეს პრინციპები დაიცვან კეთილსინდისიერად.

საერთაშორისო საბაჟო კანონმდებლობა კრძალავს მონოპოლიას ვაჭრობაში და უზრუნველყოფს თავისუფალი ვაჭრობის არსებობას საგარეო ურთიერთობებში. ევროკავშირსა და საქართველოს შორის დადებული ასოცირების ხელშეკრულებით დგინდება გამარტივებული საბაჟო პროცედურები საქართველო-ევროკავშირის ქვეყნების საბაჟო საზღვრებზე საქონლის გადაადგილებისას. DFC (თავისუფალი და ღია სავაჭრო სივრცე ევროკავშირთან) სავაჭრო ურთიერთობებში, სახელმწიფოები თანხმდებიან საბაჟო პროცედურები კიდევ უფრო გაამარტივონ და დააჩქარონ, რადგან ამ პროცესებით უზრუნველყოფილი იქნება ნაკლებ დროში დიდი ეკონომიკური მოგების მიღების შესაძლებლობა. ასევე საერთაშორისო საბაჟო კანონმდებლობა კრძალავს საშინაო საქმეებში ჩარევას, და უზრუნველყოფს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვას. საერთაშორისო საბაჟო კანონმდებლობა წარმოადგენს იმ ნორმებისა და პრინციპების ერთობლიობას, რომელიც უზრუნველყოფს მშვიდობიან ურთიერთობებს სახელმწიფოებს შორის, მოგებაზე ორიენტირებული სავაჭრო ურთიერთობების ჩამოყალიბებას, ერთიანი საბაჟო ტარიფებისა და შეღავათების დაწესებას, უსაფრთხოებისა და ლეგიტიმურობის დაცვას. საერთაშორისო საბაჟო სამართლით შესაძლებელია სახელმწიფოებმა საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობები აწარმოონ ჯანსაღი კონკურენციის ფარგლებში.<sup>33</sup>

საერთაშორისო საბაჟო შეთანხმებებში, პაქტებსა და კონვენციებში მოცემულია საერთაშორისო სამართლის სუბიექტი სახელმწიფოების საბაჟო თანამშრომლობის ძირითადი პრინციპები, რომლებიც ძირითად ამოსავალ წერტილს წარმოადგენენ

---

<sup>33</sup> 1973 წლის კიოტოს კონვენცია „საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ“, საქართველო შეუერთდა 2018 წლის პარლამენტის დადგენილებით, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4270130?publication=0> (მოძიებულია: 27.12.2022).

ეროვნული საბაჟო კანონმდებლობით რეგულირებული საბაჟო თანამშრომლობის საქმეში. სახელმწიფოები მათ შორის დადებული საბაჟო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების საფუძველზე ახორციელებენ სავაჭრო ურთიერთობებს. კერძოდ ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში ხორციელდება ნაწარმი პროდუქციის გატანა საბაჟო ტერიტორიის გავლით, შესაბამისი ბაჟისა და მოსაკრებლის გადახდით ან მის გარეშე. სახელმწიფოები მათ ტერიტორიაზე საქონლის შეტანას, გატანას და ტრანზიტს ახორციელებენ დაბეგვრის უპირატესი ხელშეწყობის პრინციპის დაცვით, კერძოდ აწესებენ შეღავათებს სახელმწიფო ბაჟზე და მოსაკრებლებზე, რადგან სწორედ ეს უზრუნველყოფს თავისუფალი ვაჭრობას და მონოპოლიის აკრძალვას.<sup>34</sup> შეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულების ერთი მხარე, რომელიც შეიტანს საქონელს ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის ტერიტორიაზე, თავისუფლდება ნებისმიერი შიდა სახის გადასახადისგან, რომელიც პირდაპირ ან ირიბად გამოიყენება ეროვნული წარმოშობის მსგავს პროდუქტზე. უფრო მეტიც, თუ კონკრეტულ სახელმწიფოში, სადაც იმპორტირებული საქონელი შევიდა, არ გამოირჩევა ამავე პროდუქციის ადგილობრივი წარმოებით, შეთანხმების მონაწილე არც ერთი სახელმწიფო არ გამოიყენებს ახალ ან გაზრდილ შიდა გადასახადებს შემოტანილ პროდუქციაზე, მიუხედავად იმისა რომ შესაძლოა გადასახადების გაზრდა გამართლებული იყოს ეროვნული პროდუქციის დაცვის მიზნით. ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმების საფუძველზე მისი ხელშემკვრელი სახელმწიფოები ვალდებულები არიან იმპორტირებულ საქონელზე გაავრცელონ ეროვნულ პროდუქციაზე არსებული რეგულაციები და მოთხოვნები, რაც თანაბარ პირობებში რეალიზაციის შესაძლებლობას იძლევა. აღნიშნულ შეთანხმების გაზიარება მომგებიანია ისეთი ქვეყნებისთვის, სადაც განვითარებულია ინდუსტრია და პროდუქტების წარმოება, თუმცა განვითარებადი ქვეყნებისთვის, მაგალითად საქართველოსთვის სადაც ექსპორტი არ იბეგრება ხოლო იმპორტი ექვემდებარება დაბეგვრას, რთული წარმოსადგენია რამდენად მომგებიანი

---

<sup>34</sup>იხ., 1947 წლის ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმება, General Agreement On Tariffs And Trade. ხელმისაწვდომია: [http://student.manupatra.com/\\_Academic\\_/Conventions/\\_ConInternTraDeve/\\_GenAgTaT.pdf](http://student.manupatra.com/_Academic_/Conventions/_ConInternTraDeve/_GenAgTaT.pdf) (მოძიებულია: 28.12.2022).



იქნება საზღვარგარეთიდან შემოტანილი პროდუქტი იგივე პირობებში ვამყოფოთ, რაც გულისხმობს სარეალიზაციო ფასების დარეგულირებაზე უარის თქმას, და იმპორტირებული საქონლის იგივე ფასში რეალიზაციას, მსგავსად ადგილობრივი წარმოების პროდუქტის რადგან ეს გამოიწვევს ადგილობრივი ბიზნესის დაზარალებას<sup>35</sup>.

საერთაშორისო საბაჟო კანონმდებლობის შემუშავებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას ეროვნული სახელმწიფოების შიდა საბაჟო კანონმდებლობა, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს საბაჟო სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირების პროცესში. საერთაშორისო საბაჟო კანონმდებლობის ნორმები და პრინციპები ყალიბდება ეროვნული საბაჟო კანონმდებლობის გავლენით, სახელმწიფოების მიერ, რომლებიც საერთაშორისო საბაჟო სამართლის სუბიექტს წარმოადგენენ. შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის საერთაშორისო საბაჟო სამართლის წყაროდ აღიარება განაპირობა იმ ფაქტორმა, რომ ეროვნული კანონმდებლობა წარმოადგენს სახელმწიფოსთვის ყველაზე ხელსაყრელ, მასზე მორგებულ და მისაღებ ნორმატიულ სისტემას, ხოლო საერთაშორისო საბაჟო კანონმდებლობა, რომელიც მასში უამრავ სახელმწიფოს აერთიანებს ბუნებრივია თითოეული სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობა მისთვის მისაღები უნდა იყოს. თუმცა ეს ისე არ უნდა იქნას გაგებული რომ ყველა ქვეყნის კანონმდებლობა შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი თუმცა მისაღები. ყველა ის სახელმწიფო, რომელიც საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეა, მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი, აქტიურად მიისწრაფვის გლობალიზაციის პირობებში პროგრესული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისკენ გამოირჩევა ერთგვაროვანი, ერთმანეთის მსგავსი სამართლებრივი ნორმებით და პრინციპებით.

საერთაშორისო საბაჟო ორგანიზაციებს, გარდა გამონაკლისი შემთხვევისა საკოორდინაციო ფუნქცია აკისრიათ. საერთაშორისო ორგანიზაციები იქმნება სახელმწიფოების ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე, რათა მოხდეს საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების კოორდინაცია და მათ შორის არსებული სამართლებრივი

---

<sup>35</sup> იხ., DEVELOPING TRADE AND TRADE POLICY RELATIONS WITH THE EUROPIAN UNION, 137, ხელმისაწვდომია: <https://mek.oszk.hu/18300/18373/18373.pdf#page=131> (მოძიებულია: 14.01.2023).

ურთიერთობების რეგულირება. საერთაშორისო ორგანიზაციებს გააჩნიათ მათთვის დამახასიათებელი ფუნქციები, მაგალითად ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მთავარ მიზანს ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა წარმოადგენს, რისთვისაც იგი შეიმუშავებს სხვადასხვა გეგმებს და ახორციელებს სხვადასხვა პროცედურებს ეპიდემიებისა და პანდემიების თავიდან ასაცილებლად<sup>36</sup>.

სახელმწიფოების მთავარ ამოცანად რჩება ისეთი საბაჟო სისტემის შექმნა, რომელიც ხელსაყრელი და ეკონომიკურად მომგებიანი იქნება თითოეული სახელმწიფოსთვის<sup>37</sup>. ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმების საფუძველზე შემუშავებულ იქნა უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი, რომელიც ვრცელდება ხელშეკრულების მონაწილე ყველა სახელმწიფოზე. არსებული რეჟიმის საფუძველზე საერთაშორისო ვაჭრობის დროს ერთი სახელმწიფო მეორე სახელმწიფოს უწყებს შეღავათებს საქონლის დაბეგვრაზე, ამცირებს ბაჟის გადასახადს, არეგულირებს საქონლის ქვეყანაში შეტანისა და გატანის პირობებს და ა.შ.

უპირატესი ხელშეწყობის პრინციპი ვრცელდება განვითარებული ქვეყნების სავაჭრო სამართლებრივი ურთიერთობებზე, რაც შეიძლება გახდეს უსამართლობის საფუძველი იმ ქვეყნებისთვის, რომლებსაც განვითარებად ქვეყნის სტატუსი აქვთ და შესაბამისად არ აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ მსგავსი შეღავათებითა და პრეფერენციებით, თუმცა საინტერესოა ამ შემთხვევაში საერთაშორისო ორგანიზაციების როლი და მნიშვნელობა, რომლებიც შეიქმნენ სწორედ ამ მიზნით, რომ სამართლიანი და მისაღები საბაჟო სამართლებრივი სისტემა შექმნან ყველა ქვეყნისთვის განურჩევლად მათი ეკონომიკური თუ სოციალური მდგომარეობისა. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) მიერ შემუშავებულია სპეციალური დებულებები, რომლებიც განვითარებად ქვეყნებს ანიჭებენ განსაკუთრებულ უფლებებს და აძლევენ შესაძლებლობას იყვნენ უპირატესი სხვა განვითარებულ WTO-ს წევრ ქვეყნებთან შედარებით, რაც გამოიხატება

---

<sup>36</sup> WHO- World Health Organization

<sup>37</sup> იხ., World Customs Journal, Volume1, Number1, The role of Customs, 31, ხელმისაწვდომია: <https://citeseerx.ist.psu.edu/document?repid=rep1&type=pdf&doi=5ac7bfb88eb9384773a65b0c8e3f83d7bdf3b8c4#page=39> (მოძიებულია: 15.01.2023).



დამატებითი ვადების მიცემაში განვითარებადი ქვეყნებისთვის, რათა მათ განავითარონ სავაჭრო შესაძლებლობები. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული დებულებებია: „სპეციალური და დიფერენციალური მოპყრობის“ დებულებები<sup>38</sup>. დოჰას დეკლარაციით მისი წევრი სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ სპეციალური და დიფერენციალური მოპყრობის დებულებები წარმოადგენს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის განუყოფელ ნაწილს და მისი გადახედვა მხოლოდ მისი ოპერატიულობისა და კიდევ უფრო ეფექტური მოქმედების მიზნით შეიძლება მოხდეს. GATT-ის მე-IV ნაწილი ადგენს განვითარებადი ქვეყნებისთვის არასაპასუხო შეღავათიანი დამოკიდებულების კონცეფციის შემუშავებას, რაც გულისხმობს განვითარებული ქვეყნების მიერ გარკვეულ სავაჭრო დათმობებზე წასვლას განვითარებადი ქვეყნებისთვის მათგან შესატყვისი შეთავაზებების გარეშე, აღნიშნული დებულებით წახალისებული და ხელშეწყობილი არის განვითარებადი და ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისთვის სავაჭრო ურთიერთობების გაუმჯობესება, საერთაშორისო ასპარეზზე მათი აქტიურად გამოსვლა, ეკონომიკური განვითარება. სპეციალური და დიფერენციალური შეთანხმების ფორმალურ მიზანს ასევე წარმოადგენს განვითარებულ ქვეყნებში ექსპორტის ზრდაზე ხელშეწყობა. თუმცა მიუხედავად იმისა რომ SDT-ს მიერ განხორციელებული შეღავათები დადებით ზეგავლენას ახდენს განვითარებადი ქვეყნების სავაჭრო ჩვეულებებზე და ეკონომიკურ სტაბილურობაზე, იგი ეწინააღმდეგება GATT-ის ძირითად პრინციპს, როგორც არის არა დისკრიმინაცია, რომელმაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მრავალმხრივ სავაჭრო სისტემის ეფექტურ ფუნქციონირებას.<sup>39</sup>

თანამედროვე საბაჟო სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება კანონიერების პრინციპის, ასევე მოქალაქეთა კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის

---

<sup>38</sup> SDT- Special and Differential Treatment

<sup>39</sup> ib., Special And Differential Treatment In The WTO: WHY, WHEN, AND HOW?, Alexander Keck and Patrick Low ხელმისაწვდომია: [https://books.google.ge/books?hl=en&lr=&id=SlrYA6R-7DEC&oi=fnd&pg=PA147&dq=SPECIAL+AND+differential+treatment&ots=yk4XVvdxuT&sig=OovT5ut\\_SR4vFPhWE\\_DvSoWsk-o&redir\\_esc=y#v=onepage&q=SPECIAL%20AND%20differential%20treatment&f=false](https://books.google.ge/books?hl=en&lr=&id=SlrYA6R-7DEC&oi=fnd&pg=PA147&dq=SPECIAL+AND+differential+treatment&ots=yk4XVvdxuT&sig=OovT5ut_SR4vFPhWE_DvSoWsk-o&redir_esc=y#v=onepage&q=SPECIAL%20AND%20differential%20treatment&f=false) (მოძიებულია: 20.01.2023).

დაცვით<sup>40</sup>, რომელიც მომდინარეობს რომის სტატუტიდან. მოცემული პრინციპის დაცვა საბაჟო სამართლებრივი ურთიერთობების განხორციელების პროცესში, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების გადაადგილებას აიოლებს, რადგან სამართალ ურთიერთობის სუბიექტებს შეუძლიათ შეუფერხებლად ისარგებლონ საბაჟო პროცედურებით, ლიცენზიებით, შეღავათებით და ა.შ.

კიოტოს განახლებული კონვენცია, რომელიც ძალაში შევიდა 2006 წლის 3 თებერვალს წარმოადგენს საერთაშორისო საბაჟო გეგმის შესრულებისთვის ინოვაციურ და თანამედროვე საშუალებას. კიოტოს კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოები<sup>41</sup> ვალდებულები არიან გამარტივებულად განახორციელონ საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობები, უზრუნველყონ ეფექტური საბაჟო კონტროლის განხორციელება საბაჟო პროცედურებზე. კიოტოს კონვენციაში გაერთიანებულია თანამედროვე კონცეფციები, რომელიც გულისხმობს ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას, საბაჟო კონტროლის ახალი მეთოდების დანერგვას, ურთიერთსასარგებლო ალიანსებში კერძო სექტორების ჩართვას, გამჭვირვალობისა და სწორი პროგნოზირების დადგენა. კონვენცია ემხრობა მთავრობის და ხელისუფლების სხვა სფეროების აქტიურ ჩართვას გლობალური ვაჭრობის განხორციელების პროცესში, ადგენს საბაჟო ფორმალობებს და პრაქტიკისთვის საჭირო პროცედურებს და სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას ეს მოთხოვნები მარტივად და ლაკონურად იყოს წარმოდგენილი ეროვნულ კანონმდებლობაში. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ვაჭრობის ხელშეწყობის დღის წესრიგი და კიოტოს განახლებული კონვენცია სრულიად შეესაბამება ერთმანეთს.

საერთაშორისო საბაჟო კანონმდებლობა უზრუნველყოფს უსაფრთხოების იმპერატივების მიღებას. 2002 წლის 17 იანვარს სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრს მიმართა აშშ-ს საბაჟო კომისარმა რობერტ ბონერმა. მან განაცხადა,

---

<sup>40</sup> იხ. ხარაზი ი., საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, 2014, 35. (მოძიებულია: 21.01.2023).

<sup>41</sup> იხ., Kyoto Convention, clearance and other customs formalities, chapter 3, ხელმისაწვდომია: <https://www.wcoomd.org/~media/wco/public/global/pdf/topics/wto-atf/dev/rkc-guidelines-ch3.pdf> (მოძიებულია: 22.01.2023).

რომ 11 სექტემბერს განხორციელებული ტერაქტის შემდეგ საბაჟოზე ამოქმედდა განგაში მთელი ქვეყნის მასშტაბით. აუცილებელი გახდა მოგზაურების ინტენსიური დაკითხვა, საქონლის. გაძლიერებული ინსპექტირება, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული ტერორისტული საფრთხეები. უსაფრთხოების დაცვის კუთხით დიდი გარდატეხა მოახდინა აშშ-ს საბაჟო კონტეინერების უსაფრთხოების ინიციატივამ (CSI) და საბაჟო სავაჭრო პარტნიორობამ ტერორიზმის წინააღმდეგ (C-TRAT), რამაც დიდი ზეგავლენა მოახდინა საერთაშორისო საბაჟო საქმიანობაზე. C-TRAT საბაჟო საზღვარს იცავს საერთაშორისო ვაჭრობის დროს გარკვეული საფრთხის წარმოქმნისგან. რის გამოც ხორციელდება პოტენციურად მაღალი რისკის მქონე ტვირთების იდენტიფიცირება და მკაცრ კონტროლში გატარება. C-TRAT პროგრამით საბაჟო კონტროლი ხორციელდება კიოტოს განახლებული კონვენციის დებულებების შესაბამისად, ასევე მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციამ წარმოადგინა სტანდარტები გლობალურ ვაჭრობაზე ხელშეწყობის მიზნით, რომელიც უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს აშშ-ს C-TRAT-ის შესაბამისად<sup>42</sup>.

მზარდად გლობალურ სამყაროში, სადაც ფართოვდება, როგორც ლეგალური ასევე არალეგალური ვაჭრობა, საბაჟო ადმინისტრაციებმა უნდა დაადგინონ საერთაშორისო რეგიონალური და ეროვნული სტრატეგიული კრიტერიუმები. გლობალიზაცია, რომელიც სულ უფრო მეტად ართულებს სამყაროში არსებობას ეხება ყველას და ყველაფერს, მათ შორის, ადამიანებს, კაპიტალს, ტექნიკებს, ტექნოლოგიებს, ვაჭრობას და ა.შ. სწორედ ამიტომ სახელმწიფოები დინამიურად უნდა მიჰყვნენ ამ ცვლილებებს და განავითარონ ლეგალური ბიზნესი, აკრძალონ არალეგალური ვაჭრობა, კრიმინალი, შეამცირონ რისკების დიაპაზონი, ეფექტური კონტროლი გაუწიონ საბაჟო საზღვრებს, შეიმუშაონ ერთნაირი საბაჟო სისტემა, იმოქმედონ საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების საფუძველზე.

---

<sup>42</sup> იხ., LIFE SCIENCES, The Asia International Journal of Life Sciences, International customs law as a means of public and private law specialists training improvement, ხელმისაწვდომია: [http://biblio.umsf.dp.ua/\\_jspui/bitstream/123456789/5102/1/%D0%A1%D1%82%D0%B0%D1%82%D1%82%D1%8F\\_%D0%94%D1%80%D1%83%D0%BA\\_Biloziorov%20et%20al\\_ASIA\\_LIFE\\_S.pdf](http://biblio.umsf.dp.ua/_jspui/bitstream/123456789/5102/1/%D0%A1%D1%82%D0%B0%D1%82%D1%82%D1%8F_%D0%94%D1%80%D1%83%D0%BA_Biloziorov%20et%20al_ASIA_LIFE_S.pdf) (მოძიებულია: 1.02.2023).

## თავი II საქონლის საბაჟო დამუშავების პროცედურები ქართული და საერთაშორისო საბაჟო კანონმდებლობის მიხედვით

### 2.1 ევროკავშირის საბაჟო პროცედურები და მათი სამართლებრივი ბუნება

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ფარგლებში ქვეყნებს შორის ვაჭრობა სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური და უსაფრთხო სატრანსპორტო მომსახურება კი, საქონლითა და სერვისებით გამართული ვაჭრობის შესაძლებლობას იძლევა. სატრანსპორტო პროცესების ეფექტურობა და უსაფრთხოება, საქონლის დროულად მიწოდება დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე, მათ შორის ტექნიკურად გამართული სისტემის და სწორად განხორციელებული საბაჟო პროცედურების არსებობაზე. საბაჟო პოლიტიკა ექვემდებარება ევროკავშირის (EU) კომპეტენციას. მისი ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულება 2009 წლის 1 დეკემბრიდან ამოქმედდა, რომელსაც ევროპის თანამეგობრობის ხელშეკრულება (TEC)<sup>43</sup> ეწოდა. ეს დოკუმენტი არეგულირებს საბაჟო კავშირის ფუნქციონირებას საქონლით ვაჭრობისას, აწესებს გადასახადებს მესამე ქვეყნებთან ტრანზაქციების დროს, არეგულირებს წევრ ქვეყნებთან გარიგების დროს საქონლის იმპორტისა და ექსპორტის პროცედურებს.

საბაჟო პროცედურები მჭიდროდ არის დაკავშირებული საბაჟო კანონებთან. საბაჟო კანონებით გათვალისწინებული ვალდებულებები ვრცელდება იმ სახელმწიფოებზე, რომლებიც საქონლის ექსპორტს და იმპორტს ახორციელებენ ევროკავშირის ზონიდან. საბაჟო კანონმდებლობით რეგულირდება ასევე საბაჟო ორგანოების უფლებამოსილებები და მოვალეობები. საერთაშორისო საბაჟო პროცედურები უზრუნველყოფენ საქონლით ვაჭრობის სწორ და ეფექტურ მართვას. იმისათვის რომ საქონელი მოექცეს საბაჟო პროცედურებში ის უნდა იყოს დეკლარირებული, რომელსაც

<sup>43</sup> TEC- Treaty of the European Community

ახორციელებს დეკლარანტი, ასევე უნდა გაიაროს სხვადასხვა ფორმალობები საბაჟო საზღვარზე.

თანამედროვე მსოფლიოში შემუშავებული ტექნიკური რეგულაციები ( Technical Regulations) მოიცავს, როგორც სავალდებულო ნორმებს, აგრეთვე ნებაყოფლობით დებულებებს. ისინი ვრცელდება წარმოებულ პროდუქტებზე ან მწარმოებლებზე. სავალდებულო ნორმებსა და ნებაყოფლობით დებულებებს შორის განსხვავება არსებითია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის კონტექსტში. WTO-სა და TR<sup>44</sup>-ს შორის განსხვავება მდგომარეობს შემდეგში: განვითარებად ქვეყნებში ეროვნული საბაჟო კანონმდებლობა რჩება დომინანტურ, იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ მასალად, ხოლო ინდუსტრიული ქვეყნების მთავარ მამოძრავებელ წერტილს თანამედროვე სტანდარტების შემუშავება წარმოადგენს. მათ აქვთ შესაძლებლობა თავად აკონტროლონ თანამედროვე სტანდარტები და ადეკვატურად შეხვდნენ ტექნიკური პროგრესის შედეგად წამოჭრილ პრობლემებს, რათა დაიცვან თავიანთი რეპუტაცია და ეკონომიკური ინტერესი.<sup>45</sup>

ევროკომისიის გამოცდილებით, ტექნიკური რეგულაციები უნდა მიმდინარეობდეს კოლექტიური ძალისხმევის საფუძველზე, საკმარისი ტექნიკური კომპეტენციისა და პრესტიჟის ფარგლებში, რომელიც მრავალმხრივი სტანდარტების შექმნის შედეგად ყალიბდება. თვალსაჩინოებისთვის შეიძლება მოვიყვანოთ მაგალითი: მე-19 საუკუნეში, საერთაშორისო სარკინიგზო გაერთიანებამ ევროპაში ხელი შეუწყო ერთი და იგივე

---

<sup>44</sup> TR- Technical Regulations

<sup>45</sup> იხ., Trade Facilitation: Technical Regulations and Customs Procedures, Patrick A. Messerli and Jamel Sarouks, ხელმისაწვდომია: [https://d1wqtxts1xzle7.cloudfront.net/46894917/1467-9701.0029120160629-18959-1fi3knp-li\\_b\\_re.pdf?1467230763=&response-content-disposition=inline%3B+filename%3DtradeFacilitation\\_Technical\\_Regulations.pdf&Expires=1681399641&Signature=J8SrmFl9tU~YRr44emNznJUQOwfPBAicnfTivPnsiPt1VJ6HCZpNWGGj6GRiCISV9s0orebRUc~KMPDds7sVmvOyb65iFiwfnHxiSa9mG0Hoo7-HyyYlI9BFENFmUGShNBwIVkqbaTrcjSConaFDdbH60acgtOLwt-BAgw24aYFCaTQ1YPBHjxPTrIL7lf9IC47qIVYeBhvyGwgBJBcqrbrlwxWbu42u-3wqegqzAbKGQRdNbFqF1BHUC1SxYZCiRgDxgCyAaTJHpBYmg7RX4WhqVdYc4MVad7mAV-Xk3bbwFM-ER5TxcR0BJ3nye6lKLMly~kqMuthu0viCtnqBbg\\_&Key-Pair-Id=APKAJLOHF5GGSLRBV4ZA](https://d1wqtxts1xzle7.cloudfront.net/46894917/1467-9701.0029120160629-18959-1fi3knp-li_b_re.pdf?1467230763=&response-content-disposition=inline%3B+filename%3DtradeFacilitation_Technical_Regulations.pdf&Expires=1681399641&Signature=J8SrmFl9tU~YRr44emNznJUQOwfPBAicnfTivPnsiPt1VJ6HCZpNWGGj6GRiCISV9s0orebRUc~KMPDds7sVmvOyb65iFiwfnHxiSa9mG0Hoo7-HyyYlI9BFENFmUGShNBwIVkqbaTrcjSConaFDdbH60acgtOLwt-BAgw24aYFCaTQ1YPBHjxPTrIL7lf9IC47qIVYeBhvyGwgBJBcqrbrlwxWbu42u-3wqegqzAbKGQRdNbFqF1BHUC1SxYZCiRgDxgCyAaTJHpBYmg7RX4WhqVdYc4MVad7mAV-Xk3bbwFM-ER5TxcR0BJ3nye6lKLMly~kqMuthu0viCtnqBbg_&Key-Pair-Id=APKAJLOHF5GGSLRBV4ZA) (მოძიებულია: 5.02.2022).

სარკინიგზო ლიანდაგების, სიგნალების, მუხრუჭების შექმნას, ერთმანეთზე მორგებული განრიგის შემუშავებას.<sup>46</sup>

საბაჟო ადმინისტრაციებისა და პროცედურების რეფორმები ჯერ კიდევ აქტიურ ფაზაში იმყოფება მსოფლიოს ბევრ განვითარებად ქვეყანაში. ისინი მოიცავს ეროვნულ საბაჟო პროცედურებსა და საერთაშორისო სტანდარტებს შორის ჰარმონიზაციის პროცესის დაჩქარებას. ვაჭრობის ხელშეწყობა „საუკეთესო პრაქტიკის“ პრინციპის დაცვით უნდა განხორციელდეს. თუმცა ბევრ განვითარებად ქვეყანას სჭირდება ხანგრძლივი პერიოდი, რათა შეთანხმებებით გათვალისწინებული მოთხოვნები შეასრულოს. ბევრი ქვეყანა ითხოვს დამატებით ვადებს, რათა საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის პროცესი ბევრად უფრო ეფექტურად აწარმოოს. ინდუსტრიული ქვეყნები მიიჩნევენ, რომ განვითარებად ქვეყნებში საბაჟო პროცედურები საკმარისად არ არის მორგებული ბოლო ათწლეულში ვაჭრობის მზარდ მოცულობასთან, სწორედ ამიტომ ისინი საჩივრებით მიმართავენ სერვის პროვაიდერებს, როგორცაა ექსპრეს ფოსტის კურიერები, რომელთა როლიც საბაჟო პროცედურების სწორად და ეფექტურად განხორციელებაში ძალზედ დიდია. მაგ., ამანათების დროული მიწოდება. თავის მხრივ განვითარებადი ქვეყნებიც გამოთქამენ შემფოთებას ინდუსტრიული ქვეყნების მუდმივად მზარდ ტექნიკურ რეგულაციებზე, რომლებიც სცილდება მათ კომპეტენციებს და არ ითვალისწინებენ განვითარებადი ქვეყნების შესაძლებლობებს. დღესაც სადაოა ის ფაქტი თუ რა შეიძლება გაკეთდეს ვაჭრობის ხელშეწყობისთვის ამ ფართო სფეროში. ტექნიკური რეგულაციების მომხრეები ამტკიცებენ, რომ TR-ს მიერ შემოთავაზებული მრავალმხრივი ინიციატივები მომხმარებელს სთავაზობს ბევრად უკეთეს პერსპექტივებს, ხოლო TR-S მოწინააღმდეგეები მიიჩნევენ, რომ ძვირადღირებული მიდგომები ამახინჯებენ რეალურ შესაძლებლობებს. თუმცა ფაქტია, რომ საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის

---

<sup>46</sup> იხ., Journal of Maritime Law & Commerce, Vol 37, No. 4, October, 2006, 521. Conflicting Laws in “Wet” Multimodal Carriage of Goods: The UNICITRAL Draft Carriage of Goods [Wholly or Partly] [by Sea] ხელმისაწვდომია: <https://heinonline.org/HOL/LandingPage?handle=hein.journals/jmlc37&div=31&id=&page=> (მოძიებულია: 7.02.2022).

სინთეზი შესაძლებლობას იძლევა სახელმწიფოებში დამკვიდრდეს ერთგვაროვანი საბაჟო პრაქტიკა. რაც შეეხება უსაფრთხოების კონტროლს, რაცარუნდა საკამათო იყოს, შესაძლოა განხორციელდეს ანალოგიურად, როგორც სხვა საბაჟო რეჟიმები, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოების დაცვას, მისი ჯანმრთელობის, კეთილდღეობის და ზოგადი უსაფრთხოების უზრუნველყოფას. სახელმწიფოსთვის მეტად მომგებიანი იქნება თუ სამთავრობო წესების ინტერნალიზებას მოახდენს და მართველობით ფუნქციას საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებთან სრულ შესაბამისობაში განახორციელებს. სახელმწიფოებმა უნდა შექმნან ისეთი საბაჟო ინფრასტრუქტურა, რომელიც ორიენტირებული იქნება რუტინული ან საგანგებო აუდიტის დროს შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში მყისიერი რეაგირება მოახდინონ. კონტროლი უნდა განხორციელდეს დისტანციურად და სრულად ავტომატიზებული შემოწმების საფუძველზე, რომელიც მოითხოვს წინასწარ შეთანხმებას კერძო და საჯარო სექტორებს შორის, რათა დაცული იყოს მონაცემები და უსაფრთხოების წესები. ეს პრინციპი შესაძლებელს გახდის ვაჭრობის თავისუფლად წარმართვას ევროკავშირის საზღვრებზე და მის ფარგლებს გარეთ მინიმალური შეფერხებით და დიდი ეკონომიკური მოგებით. დღესდღეობით მრავალ განვითარებულ ქვეყანაში მოქმედებს იგივე პრინციპი, რომელიც ე.წ „გამარტივებული პროცედურების“ სახელით არის ცნობილი, მართალია ისინი შედარებით უფრო დახვეწილი და ორგანიზებულია, რომელიც მხოლოდ საბაჟოებს მოიცავს და არა სხვა უწყებებს, თუმცა მათი ფუნქციონირების დადებითი მახასიათებლები პრაქტიკულად დადასტურებულია.

## **2.2 სპეციალური საბაჟო ოპერაციები და მათი რეგულირება ქართულ საბაჟო კანონმდებლობაში**

საერთაშორისო ვაჭრობის განუყოფელი ელემენტია საქონლის ეფექტური და უსაფრთხო ტრანსპორტირება, რომელიც უზრუნველყოფს საქონლითა და მომსახურების სერვისებით შეუფერხებელ სარგებლობას. ასოცირების შესახებ



შეთანხმება ევროკავშირსა და საქართველოს შორის<sup>47</sup> მოითხოვს ჰარმონიზაციის პროცესი კიდევ უფრო სწრაფად და ეფექტურად განხორციელდეს, რომელიც ეხება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის ფორმირებას, რაც მოიცავს როგორც უსაფრთხოების მაღალი სტანდარტებით საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების გადაადგილებას ერთი ქვეყნიდან მეორეში, ასევე ეკონომიკური რეფორმების გატარებას, მათ შორის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების დაცვას და შესრულებას, თავისუფალ ვაჭრობაზე ხელშეწყობას, ჯანსაღი კონკურენციის არსებობას. საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება საქართველოს აძლევს ოპტიმალურ შესაძლებლობას რომ უნიფიკაციისა და ჰარმონიზაციის პროცესი კიდევ უფრო დააჩქაროს და გახდეს ევროკავშირის წევრი სახელმწიფო.<sup>48</sup>

„საერთაშორისო ვაჭრობის გარეშე თანამედროვე მსოფლიო წარმოუდგენელია. საგარეო ვაჭრობა გლობალური ეკონომიკის ზრდის გასაღებს წარმოადგენს“.<sup>49</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლი აღიარებს და იცავს ქვეყნის ეკონომიკურ თავისუფლებას და სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და ჯანსაღი კონკურენციის განვითარებაზე. მართლაც საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობები საქართველომ უკანასკნელ წლებში საკმაოდ განავითარა. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებამ საქართველოსთვის განაპირობა ლიბერალურ სავაჭრო პოლიტიკაზე ორიენტაციის აღება და საგარეო სავაჭრო- ეკონომიკური პოლიტიკისათვის მთავარ პრიორიტეტად იქცა წარმატებით ინტეგრაცია მსოფლიო გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში<sup>50</sup>.

ჰარმონიზაციის პროცესი ეხება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის ფორმირებას, მისი ნორმების სრულყოფაში მოყვანას საერთაშორისო საბაჟო კანონმდებლობასა და

<sup>47</sup> იხ., ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0> (მოძიებულია: 10.02.2022).

<sup>48</sup> იხ., Customs procedures used in trade, 2023, 2. ხელმისაწვდომია: <https://media.proquest.com /media/hms/PFT/1/eI02R? s=%2FZAw09AUyUSQe9rvv%2FBHZ9yfitg%3D> (მოძიებულია: 12.02.2023).

<sup>49</sup> იხ., ხარაზი ია, „საქართველოს გზა გლობალურ სავაჭრო სივრცეში ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად / საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სამართლებრივი ასპექტები/“, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, #2 (77), 2023, 45. (მოძიებულია: 14.02.2023).

<sup>50</sup> იქვე.



კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან. საერთაშორისო საბაჟო კანონმდებლობის დაახლოება ეროვნულ საბაჟო კანონმდებლობასთან მოითხოვს მსგავსი საბაჟო პროცედურების შემუშავებას, რომელშიც შეიძლება მოექცეს საქონელი. ყველა ის სახელმწიფო, რომელსაც ევროკავშირი აერთიანებს, მათ შორის ის ქვეყნები, რომლებსაც სურთ გახდნენ ევროკავშირის წევრი სახელმწიფო, ვალდებული არიან შეიმუშავონ ერთმანეთის მსგავსი საბაჟო პრინციპები. სპეციალური ოპერაციების მოდერნიზაცია მიზნად ისახავს თანამედროვე ტექნიკებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით საქონლის ექსპორტსა და იმპორტს, რომელსაც მრავალი სახელმწიფო იზიარებს, მათ შორის საქართველოც. თუმცა არსებული პრაქტიკის საფუძველზე უნდა ითქვას, რომ სპეციალური საბაჟო ოპერაციები მათი სპეციფიკური ბუნებიდან გამომდინარე დღემდე ამოუცნობი და სრულყოფილად შეუსწავლელია<sup>51</sup>.

მას შემდეგ, რაც საქონელი აღმოჩნდება ქვეყნის საბაჟო ტერიტორიაზე, იგი შეიძლება მოექცეს რომელიმე სპეციალურ საბაჟო პროცედურაში, რომელიც ყველა საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოსთვის მსგავსად უნდა წარიმართოს. სპეციალური საბაჟო ოპერაცია ითვალისწინებს მკაცრად განსაზღვრული სპეციალური პროცედურების განხორციელებას და მხარეს აძლევს შესაძლებლობას თავად აირჩიოს თუ რომელი სპეციალური საბაჟო პროცედურით სარგებლობა იქნება მისთვის უფრო მისაღები და ეკონომიკურად მომგებიანი. თუმცა ეს უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და შესაძლოა შეიზღუდოს, რადგან არსებობს ისეთი საქონელი, რომელიც შესაძლოა მხოლოდ კონკრეტულ სპეციალურ საბაჟო პროცედურაში მოექცეს. ეს შეზღუდვა მომდინარეობს ნორმატიული სამართლებრივი აქტების დებულებებით. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ იმპორტული საქონელი, რომელიც შესაძლოა მოექცეს მხოლოდ გადამუშავების ოპერაციაში. სადავოა რამდენად მართებულია პირს შეეზღუდოს საბაჟო ოპერაციის არჩევის თავისუფლება, თუმცა აღსანიშნავია, რომ ყველა

---

<sup>51</sup> იხ., ჯგერენაია, საბაჟო საქმის ტექნოლოგიის საფუძვლები, 2021, 113; ია ხარაზი, საერთაშორისო საბაჟო სამართალი, თბილისი 2013; ლექციების კურსი, <https://www.sou.edu.ge/>. (მომიებულია: 17.02.2023).

საბაჟო პროცედურა გამოირჩევა მისი სიმარტივითა და მოგებაზე ორიენტირებით, რაც თავისთავად გამორიცხავს ამ უფლებით სარგებლობის შეზღუდვას<sup>52</sup>.

ადრე მოქმედი საბაჟო კოდექსით და მასთან მიბმული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები საბაჟო პროცედურის ნაცვლად იყენებდა ტერმინებს: თავდაპირველად მას ეწოდებოდა საბაჟო რეჟიმები და მასში მოიაზრებოდა 15 საბაჟო რეჟიმი (დღეს მოქმედი საბაჟო კანონმდებლობით დარჩა მხოლოდ 9), ხოლო შემდგომ განხორციელებული ცვლილებებით საბაჟო რეჟიმებს ეწოდა „სასაქონლო ოპერაციები“, 2019 წლის საბაჟო კოდექსით დღეს ეს ინსტიტუტები მოიაზრება, როგორც საქონლის დამუშავების საბაჟო ოპერაციები ( მაგ., ტრანზიტი, საქონლის შიდა გადამუშავება, საქონლის გარე გადამუშავება, საბაჟო საწყობი და ა.შ), მასში არ შედის ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტის პროცედურები<sup>53</sup>. სპეციალური ოპერაციის არჩევის დროს მნიშვნელოვანია ვიცოდეთ თუ რომელ საქონელთან ან სატრანსპორტო საშუალებასთან გვაქვს საქმე. გადამწყვეტია საქონლის ან სატრანსპორტო საშუალების სტატუსი. არის შემთხვევები, როდესაც გარკვეული კატეგორიის საქონელზე მოქმედებს აკრძალვები ან შეზღუდვები, რის გამოც შეუძლებელია მის მიმართ განხორციელდეს კონკრეტული სპეციალური საბაჟო ოპერაცია. კონკრეტული საქონელი შესაძლოა მოექცეს კონკრეტულ სპეციალურ საბაჟო ოპერაციაში, მაგ: თუ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონელი დროებით იქნება შემოტანილი, შემომტანი არის ვალდებული გაიტანოს ეს საქონელი უკან დადგენილ ვადაში (ეს ვადა 3 წელია). თუკი საქონლის სპეციალურ საბაჟო პროცედურაში მოთავსება საჭიროებს ნებართვის გაცემას, ასეთ შემთხვევაში საბაჟო ორგანო, რომელსაც აქვს ამ ნებართვის გაცემის უფლებამოსილება, გასცემს წერილობით ნებართვას. მისი ერთ-ერთი სახეა ლიცენზია.<sup>54</sup> როდესაც საქონელი სპეციალურ საბაჟო პროცედურაში ერთვება ასეთ დროს სახელმწიფო იღებს ვალდებულებას ეს პროცესი

<sup>52</sup> იხ., ია ხარაზი, ქეთინო ხარაზი, საბაჟო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, 2022, მე-2 ნაწილი, 668. (მომიებულია: 18.02.2023).

<sup>53</sup> იხ., ხარაზი ი; ხარაზი ქ; საბაჟო სამართალი, გამომცემლობა „გეორგია“, თბ.2022, მეორე ნაწილი, გ.658. (მომიებულია: 20.02.2023).

<sup>54</sup> იხ., ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონი, მ. 24, პ. 33, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/26824?publication=95> (მომიებულია: 25.02.2023).

განხორციელდეს ორივე მხარისათვის ხელსაყრელი პირობებით, რომელიც ორიენტირებული იქნება მოგებაზე.<sup>55</sup>

სპეციალური საბაჟო ოპერაციები აერთიანებენ საბაჟო პროცედურებს, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით. საქონლის ან სატრანსპორტო საშუალების გადაადგილება ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში ხორციელდება საბაჟო პრინციპების საფუძველზე. სავალდებულობის პრინციპის თანახმად საქონლის ან სატრანსპორტო საშუალების საბაჟო საზღვარზე გატანა შესაძლებელია მხოლოდ კონკრეტული სპეციალური საბაჟო ოპერაციის გამოყენებით. ამ შემთხვევაში, პირის უფლება, თავად აირჩიოს საბაჟო ოპერაცია შეზღუდულია, თუმცა აღნიშნული სპეციალური პრინციპი უზრუნველყოფს საბაჟო საზღვარზე თავიდან იქნეს აცილებული საქონლის თუ სატრანსპორტო საშუალების ქაოსური გადაადგილება და ბევრად უფრო მარტივია საბაჟო კონტროლის განხორციელება მათზე. სპეციალური პრინციპი არის იმპერატიული. მხარეებს არ აქვთ შესაძლებლობა თავად განსაზღვრონ ან დაადგინონ საქონლის და სატრანსპორტო საშუალების გადაადგილებასთან დაკავშირებული საკითხები. თუმცა პირს სპეციალური პრინციპის იმპერატიული ხასიათი არ ართმევს შესაძლებლობას, თავად აირჩიოს შეთავაზებული საბაჟო პროცედურებიდან ერთ-ერთი და თავად განსაზღვროს, რომელ სპეციალურ საბაჟო პროცედურაში მოექცეს მისი საქონელი. იმპორტული საქონელი, შესაძლოა გადამუშავდეს მხოლოდ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე<sup>56</sup>. ასევე არსებობს ნუსხა იმ საქონლის ჩამონათვალის, რომლის განადგურებაც დაუშვებელია, და მას იცავს სამართლებრივი რეგლამენტი. მათ შორის არის ისტორიული, მხატვრული თუ სხვა ფუფუნების საგნები. არის შემთხვევა, როდესაც მხარე აირჩევს საბაჟო პროცედურას და მას არ შეუძლია იგი შეცვალოს სხვა საბაჟო პროცედურით. იგივე წესი ვრცელდება სპეციალური საბაჟო ოპერაციის არჩევის

---

<sup>55</sup> იხ., საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს #257-ე ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“, ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf> (მომიებულია: 30.02.2023).

<sup>56</sup> იხ., Ana Maria, Mihaela Gabriela, Best Practices in Customs Procedures, Economic Journal, 2015, ხელმისაწვდომია: <https://www.econstor.eu/handle/10419/168967> (მომიებულია: 2.03.2023).

დროსაც, ასეთ შეზღუდვებზე მოქმედებს გარკვეული დროებითი ფაქტორები, როგორც არის არადეკლარირებული საქონლის ან სატრანსპორტო საშუალებისთვის პასუხისმგებლობის დადგომის აუცილებლობა, რომელსაც ითვალისწინებს საბაჟო კოდექსის XXX-ე თავი<sup>57</sup>. ამ შეზღუდვით თავიდან იქნება აცილებული არადეკლარირებული საქონლის საბაჟო საზღვარზე გადაადგილების შესაძლებლობა.

როდესაც საქონლის მიმართ განხორციელდება გადამუშავების პროცედურა და საქონელი შეიცვლის პირვანდელ მდგომარეობას, ასეთ დროს პირს არ შეუძლია სპეციალური საბაჟო ოპერაცია შეცვალოს სხვა სპეციალური საბაჟო ოპერაციით. როდესაც საქონელი იმყოფება გარე გადამუშავების პროცედურაში და დეკლარანტი წარადგენს გაფორმების საბაჟო ორგანოში საქონლის გადამუშავების ვადის გასვლამდე საქონლის გასხვისების დოკუმენტს, ასეთ დროს საქონლის გადამუშავების პროცედურა იცვლება საქონლის ექსპორტის პროცედურით<sup>58</sup>.

საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისას წარმოიქმნება გარკვეული წინააღმდეგობები, სწორედ ამიტომ უნდა განისაზღვროს კონკრეტული საქონელი და იგი უნდა მოთავდეს კონკრეტულ სპეციალურ საბაჟო ოპერაციაში, ეს პროცესი მოიაზრება, როგორც კონკრეტული საქონლის მოთავსების პრინციპი. მაგ., როდესაც პირი იყენებს გარე გადამუშავების პროცედურას, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ პირმა გარე გადამუშავებისთვის ნედლეული უნდა გაიტანოს საქართველოს საბაჟო საზღვრებს გარეთ გადასამუშავებლად, რათა მან მიიღოს გადამუშავებული პროდუქტის სახე, რომელიც იქნება მოსახმარად ვარგისი. მოცემული პრინციპი განსაკუთრებით მომგებიანი იყო 90-იანი წლების საქართველოში, როდესაც ხშირი იყო საქონლის დატაცების შემთხვევები. სწორედ ამ დროს ყალიბდებოდა ქვეყანაში საბაჟო სისტემა, ხსენებული პრინციპი კი მოითხოვდა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დროებით შემოტანილი საქონლის გატანის ვალდებულებას, და ამისთვის აწესებდა გარკვეულ

---

<sup>57</sup> იხ., „საბაჟო სამართალდარღვევის სახეები და პასუხისმგებლობა“, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4598501?publication=6> (მომიებულია: 3.03.2023).

<sup>58</sup> იხ., „ექსპორტის პროცედურის შესახებ“ დანართი N15, მ. 1 პ. 3- საქონლის ექსპორტის პროცედურაში დეკლარირება, ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0> (მომიებულია: 4.03.2023).

გარანტიებს. საქონლის თავსდებად დროებით საწყობებში, ამით კი საქონელის მფლობელი დაცული იყო საქონლის დაკარგვისგან. საბაჟო ორგანო მოითხოვდა დროებით შემოტანილი საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებას (იმპორტში გაშვება), რაც ითვალისწინებს იმპორტის გადასახადის გადახდის ვალდებულებას (საკუთრივ იმპორტის გადასახადი 5,12 %, დღგ და აქციზური საქონლის შემოტანისას აქციზი). როდესაც საქონელი გაივლის საბაჟო საზღვარს, მასზე ხორციელდება საბაჟო დამუშავების ოპერაცია, რაც არ იძლევა იმის გარანტიას, რომ საქონელი იქნება დაცული ამ ტერიტორიაზე. რაც შეეხება საქონლის დროებით საწყობში მოთავსებას, რითაც უზრუნველყოფილია საქონლის დაცვა, მასზე არ ვრცელდება იმპორტის გადასახადის გადახდის ვალდებულება. საბაჟო საწყობის მფლობელი იხდის მხოლოდ სანებართვო მოსაკრებელს და არ იხდის სახელმწიფო გადასახადს.<sup>59</sup>

მხარე ვალდებულია დაემორჩილოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სპეციალურ საბაჟო ოპერაციას, რაც გულისხმობს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე იმ საქონლის შემოტანას ან გატანას, რომელიც არ არის აკრძალული. მოცემულ პრინციპს საბაჟო კანონმდებლობაში სპეციალური ოპერაციისადმი დამორჩილების პრინციპი ეწოდება. ხსენებული პროცედურა არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ და უზრუნველყოფილ საკუთრების უფლებას, ასევე ხსენებული ოპერაცია თანხვედრაშია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლით გათვალისწინებულ ქონებით სარგებლობის, ფლობისა და განკარგვის უფლებასთან<sup>60</sup>. მესაკუთრეს, რომელიც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოიტანს საქონელს ან სატრანსპორტო საშუალებას, უფლება აქვს ამ ქონებაზე განახორციელოს ნებისმიერი ქმედება, თუმცა ეს ქმედება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონს და არ უნდა არღვევდეს პირის უფლებებს<sup>61</sup>.

<sup>59</sup> იხ., ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონი, მ.3, პ. ს) ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/26824?publication=95> (მოძიებულია: 5.03.2023).

<sup>60</sup> იხ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, (ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4598501?publication=7> (მოძიებულია: 15.03.2023).

<sup>61</sup> იხ., John M. OLIN CENTER LAW, ECONOMICS, AND BUSINESS, THE NUMERUS CLASUS PRINCIPLE, PROPERTY CUSTOMS, AND THE EMERGENCE OF NEW PROPERTY FORMS, HARVARD, 2015,

სპეციალური საბაჟო ოპერაციების კლასიფიკაციას შესაძლოა შევხვდეთ მეცნიერთა მიერ წარმოდგენილ სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომებში თუ სამეცნიერო ჟურნალებში. სპეციალური საბაჟო ოპერაციის პირველ ჯგუფს, რომელსაც ასევე საბაჟო ოპერაცია ეწოდება განეკუთვნება საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ორგანიზაციების მიერ, სხვა სახელმწიფოებში ეროვნული წარმოებული პროდუქტის რეალიზაცია, რაც ხელს უწყობს ქვეყანაში საბაჟო და სავაჭრო სისტემის განვითარებას და წინსვლას. კლასიფიკაციის მეორე ჯგუფს განეკუთვნება ისეთი სპეციალური საბაჟო ოპერაცია, როდესაც საქონლის ან სატრანსპორტო საშუალების გადაადგილებისას საბაჟო ორგანო სთავაზობს საქონლის ან სატრანსპორტო საშუალების გადამადგილებელ პირს მომსახურების გაწევას. მაგალითად, როდესაც მხარეს შეუძლია პროდუქცია, რომელსაც ის საბაჟო საზღვარზე შემოიტანს მოათავსოს საბაჟო საწყობში. სპეციალური საბაჟო ოპერაციის კლასიფიკაციაში გვხვდება ისეთი ოპერაციები, როდესაც ხორციელდება საქონლის შიდა და გარე გადამუშავება, ასევე მატერიალურად უზრუნველყოფა სახელმწიფო ორგანიზაციების, რომლებიც წარმოადგენენ თანამეგობრობის წევრებს და ახორციელებენ სამეცნიერო-საწარმოო საქმიანობას. სპეციალური საბაჟო ოპერაციის შემდეგი სახეა ისეთი ოპერაციები, როდესაც წყდება სახელმწიფოებს შორის საგარეო-ეკონომიკური კავშირები და ფორმალურად ხორციელდება საქონლის განადგურება. მოცემული სპეციალური საბაჟო ოპერაციების კლასიფიკაცია ეფუძნება არა მხოლოდ ქართულ საბაჟო კანონმდებლობას ასევე საზღვარგარეთის საბაჟო კანონმდებლობასაც. ევროკავშირისა და ევროსაბჭოს საბაჟო კანონმდებლობა წარმოგვიდგენს სპეციალური საბაჟო პროცედურების შემდეგ კლასიფიკაციას: საბაჟო საწყობი; ტრანზიტის პროცედურა; თავისუფალი ზონა; დროებით შემოტანა; მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენება; შიდა გადამუშავება; გარე გადამუშავება, ეს არის სპეციალური პროცედურების ჩამონათვალი, რომელშიც შეიძლება მოექცეს საქონელი<sup>62</sup>. საბაჟო

---

ხელმისაწვდომია: [http://www.law.harvard.edu/programs/olin\\_center/papers/pdf/Smith\\_865.pdf](http://www.law.harvard.edu/programs/olin_center/papers/pdf/Smith_865.pdf)  
(მოძიებულია: 17.03.2023).

<sup>62</sup> იბ., Editors Luc De Wulf, Jose B. Sokol, Customs Modernization Handbook, ხელმისაწვდომია: <https://documents1.worldbank.org/curated/en/850061468779087644/pdf/31477.pdf#page=241> (მოძიებულია: 22.03.2023).



ოპერაციების კლასიფიკაცია უზრუნველყოფს საერთაშორისო საბაჟო შეთანხმებებით და სტანდარტებით გათვალისწინებული პირობების შესრულებას. გამჭვირვალობის, მოდერნიზაციის, მორალური და ორგანიზაციული კულტურის ასევე კერძო სექტორთან ურთიერთობის განხორციელებას. სპეციალური საბაჟო ოპერაციების კლასიფიკაცია დამოკიდებულია იმაზე, თუ სად ხორციელდება საქონლის გადაადგილება, რა სირთულის სპეციალურ ოპერაციას ირჩევს მხარე, რომელი საბაჟო-საგადასახადო შეღავათები ვრცელდება კონკრეტულ სპეციალურ ოპერაციაზე და ა.შ.

საქონლის საბაჟო დამუშავების ოპერაციები განვიხილოთ სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, რომელიც ეხება ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილია საქონლის შემოტანის, გატანის და გაფორმების წესები. სასაქონლო ოპერაციის განხორციელებისას, საგადასახადო ვალდებულებას განსაზღვრავს ექსპორტის ან იმპორტის გადასახდელების განაკვეთები. მოცემულ შემთხვევაში ინდემწარმე ს. ხ-ს შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე ეცნობა, რომ წარედგინა ავტომანქანა საბაჟო კონტროლის ზონაში, შეტყობინების მიღებიდან 5 კალენდარულ დღეში. მიუხედავად იმისა, რომ შეტყობინება ადრესატს დროულად ჩაბარდა, მას არ წარუდგენია ავტოსატრანსპორტო საშუალება საბაჟო კონტროლის ზონაში და სასაქონლო ოპერაციაში მოქცევა არ განხორციელებულა. სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ შედგა სამართალდარღვევის ოქმი, ადმინისტრაციულმა ორგანომ გამოავლინა სამართალდარღვევის ფაქტი. ყველა გარემოება სრულად იქნა გამოკვლეული საგადასახადო კოდექსით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. სამართალდარღვევის ფაქტი გამოვლინდა სამართალდარღვევის ოქმის საფუძველზე, შემოსავლების სამსახურის მიერ დეტალურად იქნა შესწავლილი დავის მიმდინარეობისას საქმის გარემოებები, რომელთა საფუძველზეც იქნა გადაწყვეტილება მიღებული. ხოლო ინდემწარმე ს.ხ-ს სარჩელი, რომლითაც მან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სამართალდარღვევის ოქმების ბათილად ცნობის მოთხოვნით მიმართა არ დაკმაყოფილდა, რადგან შემოსავლების

სამსახურის მიერ გამოცემული სადავო აქტები კანონშესაბამისად იქნა აღიარებული.<sup>63</sup> სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო პრეცედენტული სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, იხელმძღვანელა საერთაშორისოდ აღიარებული და დამკვიდრებული პრაქტიკით. ეს და მრავალი სასამართლო გადაწყვეტილება, ადასტურებს საქართველოს მხრიდან დიდ მზაობას, იმასთან დაკავშირებით, რომ მას სურს ევროინტეგრაცია. ქართული საბაჟო კანონმდებლობა ყალიბდება საერთაშორისო სტანდარტებისა და მოთხოვნების საფუძველზე, გათვალისწინებულია უამრავი რეკომენდაცია, გატარებულია რეფორმები, ქვეყანაში ინერგება საერთაშორისო პროექტები, აქტიურად მიმდინარეობს ინვესტიციების მოზიდვა, უცხოელი მეწარმე-სუბიექტების დაინტერესება ადგილობრივი ბაზრით, მათთვის ეკონომიკურად მომგებიანი შეთავაზებების გაკეთება.

## **2.3 საქართველოს და ევროკავშირის საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის მიმართ საბაჟო პროცედურების გამოყენება**

ბოლო წლებში საქართველოში ფუნდამენტური რეფორმები განხორციელდა საგარეო ვაჭრობის განვითარებისა და სავაჭრო პროცედურების გამარტივების მიზნით. ამ რეფორმებით საქართველო ერთ-ერთ ლიბერალურ სახელმწიფოდ იქცა. საგარეო ვაჭრობის მიზანი მსოფლიო ეკონომიკის ისეთი მოწყობაა, რომ გაიზარდოს მისი წევრი სახელმწიფოების ან საერთაშორისო რეგიონალური გაერთიანებების კეთილდღეობა. მას შემდეგ რაც საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა, დიდ და სერიოზულ ეკონომიკურ სირთულეებს წააწყდა, თუმცა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების დახმარებით მოახერხა საგარეო ვაჭრობის ღრმა და ყოვლისმომცველი ლიბერალიზაცია.<sup>64</sup>

---

<sup>63</sup> იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლო გადაწყვეტილება, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, ხელმისაწვდომია: <https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/31018/0> (მოძიებულია: 23.03.2023).

<sup>64</sup> იხ., Georgian International Journal of Science, Possibilities For Mastering The Foreign Trade Potentials In Georgia, ხელმისაწვდომია: <file:///C:/Users/joni/Desktop/saqartvelo%20da%20wto.pdf> (მოძიებულია: 23.03.2023).



სპეციალურ ოპერაციას წარმოადგენს ტრანზიტი,<sup>65</sup> რომელიც საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებაში დიდ როლს თამაშობს. ტრანზიტის პროცედურით ტვირთის გადაადგილება ხდება ევროკავშირის არაწევრი ქვეყნიდან ევროკავშირის წევრ ქვეყანაში ან პირიქით. <sup>66</sup>ტრანზიტით თავისუფლად სარგებლობის შესაძლებლობა შემოიფარგლება სახელმწიფოების სუვერენიტეტის დაცვის გარანტიებით. სწორედ ეს გარემოება ხდის დღესაც სადაოს ტრანზიტის დაშვების საკითხს სახელმწიფოებისთვის, რადგან სწორედ კონკრეტული სახელმწიფო წყვეტს რამდენად სურს მას დაუშვას მის სუვერენულ ტერიტორიაზე ტრანზიტის პროცედურით საქონლის ან სატრანსპორტო საშუალების გადაადგილება. ტრანზიტით სარგებლობის დროს დაუშვებელია შეილახოს სატრანზიტო სახელმწიფოს ლეგიტიმური უფლებები, სწორედ ამიტომ სახელმწიფოს ეძლევა შესაძლებლობა ისარგებლოს ტრანზიტის პროცედურით, გახდეს სატრანზიტო ქვეყანა, თუმცა ამასთანავე დააწესოს გარკვეული მოთხოვნები და შეზღუდვები მის ტერიტორიაზე. ასეთი შეთანხმებები სახელმწიფოებს შორის წარმოებს ორმხრივი ან მრავალმხრივი მოლაპარაკებების სახით, რომელიც მოიცავს სატრანზიტო მოძრაობის უფლებებს, კვოტებს და ნებართვებს სხვადასხვა სატრანზიტო ოპერაციების განსახორციელებლად. არსებული პრაქტიკისა და წესების საფუძველზე ფორმდება ორმხრივი სატრანზიტო და სატრანსპორტო ხელშეკრულებები, რომლებიც განსაზღვრავენ სატრანზიტო პროცედურებით თავისუფლად სარგებლობის შესაძლებლობას, მაგ., სატრანსპორტო მარშრუტების შერჩევის წესს, ვიზების, ნებართვების/კვოტების, საბაჟო დოკუმენტების გაცემის წესს. ასევე ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებში წარმოდგენილია საგზაო უსაფრთხოების წესები, მოსახლეობის

---

<sup>65</sup> საქართველოს საბაჟო კოდექსი, თავი XIX, მ 118-121, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4598501?publication=7> (მომიებულია: 24.03.2023).

<sup>66</sup> იბ., ჯგერენაია ე., საბაჟო საქმის ტექნოლოგიის საფუძვლები. თბილისი, 2002. 154. (მომიებულია: 24.03.2023).

დაცვის გარანტიები მოსალოდნელი რისკებისგან დასაცავად, ავარიების შემთხვევაში ფინანსური პასუხისმგებლობის უზრუნველყოფა.<sup>67</sup>

თანამედროვე საერთაშორისო საბაჟო ურთიერთობები ხორციელდება სასაზღვრო კონტროლის პროცედურების გავლით, როგორცაა სამედიცინო-სანიტარული ინსპექტირება, ფიტოსანიტარული ინსპექტირება, ვეტერინარული ინსპექტირება, საბაჟო კონტროლი, ტექნიკური სტანდარტების კონტროლი.<sup>68</sup>

საქართველოში ტრანზიტი ვრცელდება იმ უცხოურ საქონელზე ან/და სატრანსპორტო საშუალებაზე, რომელიც გადაადგილდება საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გავლით. საქონელი გადაადგილდება გამგზავნი საბაჟო გამშვები პუნქტიდან დანიშნულების საბაჟო გამშვებ პუნქტამდე, და მთავრდება საბაჟო ოფისში საქონლის და TAD-ის<sup>69</sup>(ტრანზიტის თანმხლები დოკუმენტი) წარდგენით, ტრანზიტის წესების შესაბამისად. ტრანზიტის პროცედურა არ წარმოშობს იმპორტის გადასახდელის გადახდის ვალდებულებას, ასევე არ გამოიყენება დამცავი ღონისძიებები საქონლის მიმართ, გარდა გამონაკლისი შემთხვევისა, როდესაც საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა ან გატანა აკრძალულია.

ასოცირების შესახებ შეთანხმების თანახმად,<sup>70</sup> ხელშეკრულების მხარე სახელმწიფოები ვალდებულები არიან კანონიერების ფარგლებში უზრუნველყოფენ უსაფრთხო და ჯანსაღი ვაჭრობისთვის პირობების შექმნა, თავიდან აიცილონ თაღლითობა, უკანონო ვაჭრობა, მოახდინონ შეუფერხებელი ტრანზიტით სარგებლობა,

---

<sup>67</sup> იხ., Freedom of Transit and Regional Transit Arrangements, UNCTAD Trust Fund for Trade Facilitation Negotiations, Technical Note 8. ხელმისაწვდომია: [https://unctad.org/system/files/official-document/TN08\\_FreedomofTransit.pdf](https://unctad.org/system/files/official-document/TN08_FreedomofTransit.pdf) (მოძიებულია: 27.03.2023).

<sup>68</sup> იხ., ინსტრუქცია “საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“, თავი XI „ფიტოსანიტარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის საერთო საბაჟო დეკლარაცია“. (მოძიებულია: 28.03.2023).

<sup>69</sup> TAD -Transit Accompanying Document

<sup>70</sup> ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0> (მოძიებულია 30.03.2023)

რასაც ითვალისწინებს „1994 წლის ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმებისა და ენერგეტიკული ქარტიის ხელშეკრულების შესახებ“.<sup>71</sup>

საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში, საგზაო ტრანსპორტით გადაადგილების მაგალითია TIR კარნეტი, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო გადაზიდვას, იგი ამარტივებს საქონლის გადაადგილების დროს საბაჟო ფორმალობების ჩატარებას, მათ შორის საქონლის შემოწმებას, დოკუმენტების დათვალიერებას და აწესებს გარანტიებს საბაჟო გადასახადებზე. TIR კარნეტით სარგებლობა ასევე გამართლებულია, რადგან დაცულია ტვირტის გადაადგილების დროს მისი უსაფრთხოება, საბაჟო ორგანოს მიერ ტვირტს ედება შესაბამისი ლუქი და ბეჭედი, რაც შეუძლებელს ხდის ტვირტის ამოღებას დაბეჭდილი ნაწილიდან. გადამზიდი ვალდებულია სწორად დახუროს კარნეტი, წინააღმდეგ შემთხვევაში მას მოუწევს გადაიხადოს ბაჟი, ჯარიმა ან გადასახადი.<sup>72</sup> TIR კონვენციის ხელშემკვერელმა სახელმწიფოებმა მრავალი პროექტი შეიმუშავეს, რათა ეროვნულ საბაჟო სისტემებს შორის უზრუნველყოფილი იყოს მონაცემთა უსაფრთხო გაცვლა, რომელიც უკავშირდება საქონლის, სატრანსპორტო საშუალებების ან კონტეინერების საერთაშორისო სატრანზიტო გადაადგილებას. აქ ორიოდ სიტყვით უნდა შევხებო საბაჟო იდენტიფიკაციის (საბაჟო უზრუნველყოფის) საშუალებებს, რომელსაც მიეკუთვნება ლუქები, ბეჭდები, პლომბები, მწებავი ლენტები და ა.შ, რომელიც საბაჟო კონტროლის ერთ-ერთი ღონისძიებაა.<sup>73</sup>

ტვირტის დროებით შემოტანა ან ტვირტის ტრანზიტი შეიძლება განხორციელდეს ATA კარნეტის გამოყენებით, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო საბაჟო დოკუმენტს და იგი უთანაბრდება სატვირთო საბაჟო დეკლარაციას. ATA კარნეტის გამოყენებით ნაკლები ფინანსური რესურსია საჭირო ტვირტის გადასაადგილებლად, ასევე დაცულია საბაჟო უსაფრთხოება და გარანტირებულია საქონლის საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა

---

<sup>71</sup> იხ., Energy Charter Treaty and its Role in International Energy, 24j. Energy Nat. Resources L. 523 (2006), ხელმისაწვდომია: <https://heinonline.org/HOL/LandingPage?handle=hein.journals/jenrl24&div=38&id=&page=> (მოძიებულია: 30.03.2023).

<sup>72</sup> იხ., TIR Handbook, economic commission for Europe, ხელმისაწვდომია: <https://e-services.zatca.gov.sa/themes/custom/customs/files/agreements/TIR/en.pdf> (მოძიებულია: 1.04.2023).

<sup>73</sup> იხ., ინსტრუქცია „საბაჟო კონტროლის შესახებ“ (დანართი N2) ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0> (მოძიებულია: 2.04.2023).

ზედმეტი ფორმალობების გარეშე, რაც ზოგავს, როგორც დროს, ასევე ფინანსებს და ეკონომიკური ინტერესები მეტად დაცულია.

აქვე დასკვნის სახით: რა სარგებლობა მოაქვს ტრანზიტს ქვეყნისათვის, მაშინ, როდესაც იგი არ იბეგრება?<sup>74</sup>. ეკონომიკური თვალსაზრისით ტრანზიტი საქართველოსათვის მოგების მომტანი არ არის, მაგრამ იქმნება ქვეყნის ინფრასტრუქტურა, კაპიტალურად კეთდება მაგისტრალები, იგი გარკვეულწილად რეკლამას უკეთებს ქვეყანაში დამზადებულ პროდუქტს და ა.შ.

საქონლის საბაჟო დამუშავების სპეციალურ ოპერაციას წარმოადგენს საბაჟო საწყობის პროცედურა,<sup>75</sup> რომელიც არის სტრატეგიული ობიექტი, იგი იძლევა შესაძლებლობას საბაჟო ტერიტორიის გარეთ სახელმწიფომ განათავსოს უცხოური საქონელი, ისე რომ მასზე არ გავრცელდეს გადასახადები. საბაჟო საწყობი მდებარეობს საბაჟო ტერიტორიის გარეთ, სწორედ ამიტომ იქ არსებული საქონლის მარაგი ითვლება საზღვარგარეთ მყოფად. საბაჟო საწყობით სარგებლობა მეწარმეებისთვის მომგებიანია, რადგან მათ ზედმეტი ფორმალობების და დანახარჯების გარეშე შეუძლიათ მოათავსონ საქონელი საბაჟო საწყობში. საქონლის მოთავსება ხდება ლეგიტიმურად, კანონიერად და დაცულია ყველა ფორმალობა. მას შემდეგ რაც მეწარმე მოათავსებს საქონელს საბაჟო საწყობში და ამის შემდეგ აღმოაჩენს, რომ სხვა ქვეყანაში უფრო მომგებიანი იქნება საქონლის რეალიზაცია მეწარმეს შეუძლია ეს საქონელი უკან გაიტანოს ყოველგვარი საბაჟო დანახარჯების გარეშე, რადგან ეს საქონელი ფაქტობრივად ამ ქვეყანაში არ იყო შემოტანილი. საბაჟო საწყობით სარგებლობა მისაღებია მეწარმეებისთვის, რადგან მათ არ უწევთ იმპორტის ან ექსპორტის პროცედურების გავლა, საბაჟო დოკუმენტაციის მომზადება და დამატებითი საბაჟო ფორმალობებში დროისა და ფინანსების ხარჯვა. საქონლის საბაჟო საწყობში მოთავსების შემდგომ, არსებობს პრეზუმფცია მასზე საბაჟო

---

<sup>74</sup> დღეს ტრანზიტი არ იბეგრება, მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით გამავალი ტვირთები, რამეთუ საქართველო მიერთებულია საერთაშორისო კონვენციას “ტრანზიტის შესახებ“ და „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ“ კონვენციას, თუმცა შევნიშნავთ, რომ რიგი ქვეყნები ტრანზიტს ბეგრავს.

<sup>75</sup> იხ., MATEC Web of Conferences 375, 01005 (2023) Customs procedures used in trade, customs warehousing, ხელმისაწვდომია: <https://www.proquest.com/openview/d9525949f4d630ed08986815ad904c34/1?pq-origsite=gscholar&cbl=2040549> (მოძიებულია: 3.04.2023).

პროცედურების განხორციელების შესახებ, შეიძლება საქონელი მოექცეს იმპორტის, რეექსპორტის ან სხვა საბაჟო პროცედურაში<sup>76</sup>. საბაჟო საწყობის პროცედურით სარგებლობისათვის აუცილებელია ნებართვის გაცემა, რომელსაც განიხილავს შემოსავლების სამსახური და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“<sup>77</sup> საქართველოს კანონის თანახმად იღებს გადაწყვეტილებას. მეწარმე სუბიექტისთვის თანხმობის გაცემის შემთხვევაში მიიღება ინდივიდუალურ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი შესაბამისი ბრძანებით. საბაჟო საწყობში მოთავსებული უცხოური საქონლის მიმართ არ შეიძლება განხორციელდეს რაიმე ქმედება, რაც შეუცვლის იერსახეს ამ საქონელს, თუმცა არსებობს ისეთი ქმედებები, რომელიც აუცილებელია საქონლის შესანახად, მისი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით<sup>78</sup>.

საქონელი, რომელიც მოქცეულია საბაჟო საწყობის პროცედურაში შესაძლოა გატანილ იქნეს ამ ტერიტორიიდან. ასეთ შემთხვევაში საბაჟო ორგანოს პირმა, რომელსაც ეს საქონელი ეკუთვნის უნდა წარუდგინოს აღრიცხვის მოწმობა, ATA წიგნაკი<sup>79</sup>, საქონლის საბაჟო დეკლარაცია ან სხვა სახის საბაჟო დოკუმენტი. არის შემთხვევა, როდესაც საჭირო ხდება საქონელი ერთი საბაჟო საწყობიდან მეორეში გადავიდეს დროებით ან სრულად და ამისათვის საჭიროა საბაჟო ორგანომ გასცეს ნებართვა. თუ საქონელი დროებით გადადის სხვა საბაჟო საწყობში ამ დროს საბაჟო ორგანოს წარედგინება სხვადასხვა დოკუმენტები, მათ შორის გარანტია იმპორტის გადასახდელზე და აღრიცხვის მოწმობა. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც საქონელი სრულად გადადის ერთი საბაჟო საწყობიდან სხვა საბაჟო საწყობში მასზე გაიცემა მხოლოდ აღრიცხვის მოწმობა. ასევე საჭიროა ახალი საბაჟო დეკლარაციის წარდგენა ახალ საბაჟო საწყობში. საბაჟო ორგანოს თანხმობით შესაძლოა უცხოური საქონლის

---

<sup>76</sup> იხ., საქართველოს ფინანსთა მინისტრის #257-ე ბრძანება, „საბაჟო საწყობის პროცედურის შესახებ“ (დანართი N9), მ.1.3.1, ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf> (მოძიებულია: 4.04.2023).

<sup>77</sup> იხ., „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/26824?publication=95> (მოძიებულია: 9.04.2023).

<sup>78</sup> იხ., შემოსავლების სამსახური, „საბაჟო საწყობის პროცედურა“. ხელმისაწვდომია: <https://www.rs.ge/LegalEntityCustomsProcedures?cat=6&tab=1> (მოძიებულია: 5.04.2023).

<sup>79</sup> იხ., ურიდია გონერ, რუხაია ფრიდონ, არახამია მერაბ, საბაჟო გაფორმება TIR და ATA (CPD) კარნეტის პრინციპით, თბილისი, 2004. (მოძიებულია: 7.04.2023).

მაგივრად გამოყენებული იქნეს ქართული საქონელი, რომელსაც ეწოდება ეკვივალენტური საქონელი, რომელიც გამოიყენება ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში<sup>80</sup>. აუცილებელია ეკვივალენტურ საქონელს ჰქონდეს იგივე ხარისხი და ტექნიკური მაჩვენებლები, ასევე ეკვივალენტურ საქონელსა და იმ საქონელს, რომელსაც ცვლის ეკვივალენტური საქონელი ჰქონდეთ ერთი და იგივე კოდი სეს ესნ-ის<sup>81</sup> რვა ნიშნადონზე. თუმცა ეკვივალენტური საქონლის გამოყენება დაუშვებელია, თუ: საქონელი ექვემდებარება ანტიდემპინგურ ღონისძიებას, ან საქონელზე, რომელზეც განხორციელდა გენეტიკური მოდიფიკაცია. ეკვივალენტური საქონელი მას შემდეგ, რაც ჩანაცვლებს საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეულ საქონელს, ენიჭება უცხოური საქონლის სტატუსი, ხოლო ჩანაცვლებული უცხოურ საქონელი იღებს ქართული საქონლის სტატუსს.

საბაჟო საწყობში საქონლის მიმართ შესაძლოა განხორციელდეს შიდა გადამუშავება, რომლის შედეგად მიიღება გადამუშავებული და გადაუმუშავებელი საქონელი, ნარჩენის ან ჯართის სახით. გადამუშავებული საქონელი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, ასეთ შემთხვევაში საქონლის მესაკუთრესა და მესამე პირს შორის იდება გირავნობის ხელშეკრულება მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით, გირავნობის უფლება წარმოიშვება საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შედეგად. მოგირავნეს შეუძლია დაგირავებული საქონლის რეალიზაცია, თუმცა ამისათვის აუცილებელია არსებობდეს შეთანხმება მოგირავნესა და დამგირავებელს შორის. მოგირავნე ვალდებულია საქონლის რეალიზაცია მოახდინოს იმგვარად, რომ დამგირავებელს და მოგირავნეებს მატერიალური ზიანი არ მიადგეთ, საქონლის რეალიზაციის ფასი უნდა იყოს გონივრული და საბაზრო ფასის შესაბამისი, წინააღმდეგ

---

<sup>80</sup> იხ., ია ხარაზი, ქეთინო ხარაზი, საბაჟო სამართალი, მეორე ნაწილი, თბილისი 2022, 1.6, 678. (მოძიებულია: 8.04.2023).

<sup>81</sup> იხ., საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 ნოემბრის ბრძანება N257, „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე“ დანართი #1, ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5029844?publication=0> (მოძიებულია: 8.04.2023).



შემთხვევაში მოგირავნე ვალდებული იქნება პასუხი აგოს მიყენებული ზიანისთვის, როგორც დამგირავებლის, ასევე მოგირავნეების წინაშე.<sup>82</sup>

საქონლის საბაჟო დამუშავების პროცედურას წარმოადგენს თავისუფალი ზონის პროცედურა, რომლისთვისაც დამახასიათებელია „შელავათიანი“ კანონებით სავაჭრო ურთიერთობების რეგულირება.<sup>83</sup> თავისუფალი ზონის ჩამოყალიბება ჯერ კიდევ 10-11-ე საუკუნეებში დაიწყო ევროპის ქვეყნებმა, რაც გულისხმობდა შელავათიან ფასებში სავაჭრო ურთიერთობების გამართვას.<sup>84</sup> მოცემულ ტერიტორიაზე დაუშვებელი იყო იმ პირების დაკავება, რომლებსაც სხვა ტერიტორიაზე ჰქონდათ დანაშაული ჩადენილი, მოქმედებდა შელავათიანი საგადასახადო სისტემა, ყველა საქონელი, რომელიც თავისუფალ ზონაში იქნებოდა შეტანილი თავისუფლდებოდა საბაჟო გადასახადებისგან<sup>85</sup>.

თავისუფალი ზონის შექმნის იდეა უკავშირდება სამეწარმეო და სამრეწველო საქმიანობის განვითარებას ქვეყანაში იმგვარად, რომ არ იყოს გადასახდელი გადასახადები, რაც ეკონომიკური სიძლიერის განმაპირობებელი ფაქტორია. საქართველოში თავისუფალი ზონის შექმნამ უზრუნველყო დამატებითი საშელავათო პირობებით სარგებლობის შესაძლებლობა, ხოლო პირები, რომლებიც სარგებლობენ ამ ზონით ექვემდებარებიან საბაჟო კოდექსით დადგენილ სპეციალურ წესებს, რომელზეც ვრცელდება, როგორც ეკონომიკური, ასევე სამართლებრივი რეგულირება<sup>86</sup>. თავისუფალი ზონით სარგებლობის შესაძლებლობა ვრცელდება უცხო ქვეყნიდან შემოტანილ საქონელზე, უცხოურ საქონელზე, რომელიც შემოტანილია სხვა საბაჟო ტერიტორიიდან, საბაჟო პროცედურაში მოქცეულ უცხოურ საქონელზე, რომელიც

---

<sup>82</sup> იხ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, „გირავნობის საგნის რეალიზაცია“, მ. 283, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702> (მოძიებულია: 8.04.2023).

<sup>83</sup> იხ., საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციასთან შეერთების თაობაზე (20 ივლისი 2018 წ., (N3161-რს) ) ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/download/4270130/0/ge/pdf> (მოძიებულია: 9.04.2023).

<sup>84</sup> იხ., ია ხარაზი; საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, თბილისი, 2014, 463.

<sup>85</sup> იხ., ამილახვარი ზ; საქართველოს საბაჟო სამართალი, თბილისი, 2007, 421. (მოძიებულია: 10.04.2023).

<sup>86</sup> იხ., საქართველოს კანონი „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“, მ.3, ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/21994?publication=9> (მოძიებულია: 11.04.2023).

შემოტანილია თავისუფალ ზონაში და დასრულებულია საბაჟო პროცედურა, საქართველოს საქონელზე. თავისუფალი ზონით სარგებლობის უფლება პირს შეიძლება გადაეცეს არა უმეტეს 59 წლის ვადით. უმეტეს შემთხვევაში თავისუფალი ზონით სარგებლობენ მეწარმეები, სწორედ ამიტომ, შესაძლოა არასაკმარისად მივიჩნიოთ 59 წლიანი ვადა ამ პროცედურით სარგებლობისთვის, რაც შესაბამისად არც თუ ისე მომგებიანი და მისაღები შეიძლება იყოს ეკონომიკური თვალსაზრისით მეწარმე სუბიექტებისთვის. მართებული იქნება ეს ვადა უფრო გახანგრძლივდეს და კანონმდებლობაში შევიდეს ცვლილება ამასთან დაკავშირებით. თავისუფალი ზონით სარგებლობისას პირს ნაკვეთი გადაეცემა იჯარით, აღნაგობის უფლებით ან შესაძლოა საკუთრების უფლებით გადავიდეს მასზე. ამ უფლებით სარგებლობის განმავლობაში მეწარმეს არ შეუძლია საცხოვრებლად გამოიყენოს მიწაზე არსებული შენობა. თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაზე დაშვებულია ნებისმიერი ვალუტით სარგებლობა, სადაც გარკვეული საქმიანობები ხორციელდება ლიცენზიის/ ნებართვის გაცემის გარეშე, ამასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობა გამოსცემს შესაბამის დადგენილებას ან უზრუნველყოფს გამარტივებული წესით ლიცენზიის/ნებართვის აღების შესაძლებლობას. თავისუფალ ზონაში შესაძლებელია მოთავსდეს ან გატანილ იქნეს ნებისმიერი საქონელი, ასევე მათზე განხორციელდეს სხვადასხვა პროცედურები, მაგ: გადამუშავება, შენახვა და სხვა<sup>87</sup>. ამავდროულად თავისუფალ ზონაში შესაძლოა აკრძალული იყოს გარკვეული საქონელის მოთავსება, მათ შორის საბრძოლო მასალის, იარაღის, ბირთვული ნივთიერებების, ნარკოტიკული საშუალებების, თამბაქოს ნაწარმის და სხვ. ნივთიერებების მოთავსება, რეალიზება ან წარმოება.

თავისუფალი ზონით სარგებლობა მისაღებია ინვესტორებისთვის, რადგან მათ არ უწევთ რთული საბაჟო ფორმალობების გავლა თზ-ში შესატან საქონელზე. საქართველოში თავისუფალი ზონის შესაქმნელად მხოლოდ პროცედურის სიმარტივე არ ხდის თზ-ს მისაღებს და სასურველს მეწარმე სუბიექტებისთვის. ქვეყანაში უნდა

---

<sup>87</sup> იხ., ინსტრუქცია „თავისუფალი ზონის პროცედურის შესახებ“, (დანართი N10), მ.4, ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0> (მოძიებულია: 12.04.2023).



იყოს პოლიტიკური სტაბილურობა, ხარისხიანი და მისაღები ინფრასტრუქტურა, შეღავათების დაწესება შიდა ბაზარზე არსებულ პროდუქტებზე, კრედიტების მარტივად გაცემის შესაძლებლობა, ჯანსაღი კონკურენცია ადგილობრივ და იმპორტირებულ საქონელს შორის და ა.შ. თბ-ის ნათელი მაგალითია ფოთის ინდუსტრიული ზონის შექმნა საქართველოში, რომელიც მომგებიანი აღმოჩნა, არა მთელი ქვეყნისთვის, არამედ კონკრეტულად ამ ქალაქისთვის. ბევრი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ფოთის ინდუსტრიული ზონით დაინტერესებული უნდა იყოს არა მხოლოდ ადგილობრივი ხელისუფლება, არამედ მთავრობა, რომელსაც აქვს შესაძლებლობა კაპიტალის დაბანდებით დიდი ეკონომიკური სარგებელი მოუტანოს მთელს სახელმწიფოს. ფოთის ინდუსტრიულ ზონაში მრავალი მსხვილი კომპანია არის წარმოდგენილი, რომლებსაც შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ იმპორტისა და ექსპორტის დაბალი ფასებით, გააჩნიათ შეღავათიანი სატარიფო სისტემა. ფოთის მსგავსი ინდუსტრიული ზონების შექმნა ვფიქრობ დადებითად წაადგება ქვეყნის ეკონომიკას, შესაძლებელს გახდის მსგავსად ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა, საქართველოშიც დაწესდეს გარკვეული სატარიფო შეღავათები, გამარტივებული ეკონომიკური რეჟიმი, რომელიც გულისხმობს გამარტივებული საგადასახადო სისტემის შემოღებას. ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნა ერთის მხრივ დადებითად მოქმედებს ქვეყნის განვითარებაზე, იქმნება მრავალი საწარმო, საწყობი, თუმცა საქართველოში კვალიფიციური მუშახელის არარსებობის გამო ფოთის თბ-ში ძირითადად დასაქმებულები არიან ინდოელები და ჩინელები, სამწუხაროდ ეს ხდება ქვეყანაში უმუშევრობის მიზეზი, რაც არც თუ ისე სახარბიელოა განვითარებადი ქვეყნისთვის. თბ-ს ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ადგილობრივი მუშახელის კვალიფიციური გადამზადება, მათთვის სხვადასხვა პროგრამებში ჩართვა, პრაქტიკული ცოდნის მიღების შესაძლებლობა. ფოთში თბ-ს დიდი პოტენციალი აქვს მისი ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, რადგან იგი აკავშირებს ევროპას და აზიას ერთმანეთთან, შესაბამისად მისი ფუნქციონირება მომგებიანი იქნება ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის. მეცნიერთა შორის არსებობს აზრთა სხვადასხვაობა

იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა გადანაწილდეს სახელმწიფო ბიუჯეტი თანაბრად ქვეყნის ყველა რეგიონში, რათა თავისუფალი ინდუსტრიული ზონები შეიქმნას არა ერთ, არამედ რამდენიმე რეგიონში. მკვლევართა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ საქართველო, როგორც განვითარებადი ქვეყანა, რომელიც ინდუსტრიული ცენტრებისგან მოშორებით მდებარეობს, ნაკლებსავარაუდოა რამდენად მოახერხებს შექმნას ისეთი თზ-ი, რომ დააინტერესოს ჩინელი, ინდოელი თუ არაბი ინვესტორები, მაშინ, როდესაც მრავალი მილიარდი დოლარის ინვესტირებას ახდენენ ისინი ადგილობრივ სივრცეებში. საქართველოში თავისუფალ ზონებს შორის წარმოდგენილია „ყუღვეის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“<sup>88</sup>, ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა<sup>89</sup> და სხვა.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონა ქვეყნისთვის ეკონომიკური სტაბილურობისა და მდგრადობის მომტანია, უცხოური და ეროვნული კაპიტალდაბანდების და მოზიდვის წყარო<sup>90</sup>. თავისუფალი ზონები, ოფშორული ზონები, სამეცნიერო-ტექნიკური ზონები, თავისუფალი პორტები, სამრეწველო-საწარმო ზონები და სხვა უზრუნველყოფს საზოგადოების ყოფითი და სოციალური პირობების გაუმჯობესებას. იძლევა ისეთი პროდუქციის შექმნისა და წარმოების შესაძლებლობას, რომელიც იქნება კონკურენტუნარიანი საერთაშორისო ბაზარზე, მოიზიდავს ბევრ ინვესტორს, შექმნის უამრავ ინფრასტრუქტურას. სახელმწიფოსთვის უმთავრეს მიზანს სავაჭრო ურთიერთობებში წარმოადგენს ადგილობრივი პროდუქტის საზღვრებს გარეთ გატანა მისი რეალიზების მიზნით. თავისუფალი ზონა შესაძლებელს ხდის ექსპორტის გაზრდას, რაც საერთაშორისო ასპარეზზე წარმოაჩენს ქვეყნის პროდუქტს, ამით ნათელს ხდის კულტურულ ფასეულობებს, ღირებულებებს, შეხედულებებს. თუმცა დადებით

---

<sup>88</sup> იხ., საქართველოს მთავრობის 2012 წლის 12 სექტემბრის N76 დადგენილება „ყუღვეის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შესახებ“, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1155567?publication=23> (მომიებულია: 14.04.2023).

<sup>89</sup> იხ., საქართველოს მთავრობის 2009 წლის 5 ივნისის N106, დადგენილება „ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის შესახებ“, ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5158?publication=0> (მომიებულია: 14.04.2023).

<sup>90</sup> საქართველოს 2007 წლის კანონი „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“, ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/21994?publication=9> (მომიებულია: 14.04.2023).

ფაქტორებს თან სდევს უარყოფითი ფაქტორები, როგორც არის უცხოური ინვესტორების მხრიდან გარკვეულ გადასახადების გადახდაზე უარის თქმა, ფულის გათეთრება, რომელიც აზარალებს, როგორც ცალკეულ სახელმწიფოებს, ასევე მთელს მსოფლიო ეკონომიკას. სწორედ ამიტომ პრაქტიკაში არაერთგვაროვანი შეხედულება არსებობს იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად მომგებიანია თავისუფალი ზონის შექმნა განვითარებად ქვეყანაში. ფულის გათეთრების ნათელი მაგალითია ოფშორული ზონა, რომელიც წარმოადგენს ეკონომიკურ ზონას და იგი საშუამავლო საქმიანობას ახორციელებს. ოფშორულ ზონებში არსებულ ბანკებში ირიცხება უამრავი თანხა, რომელიც არ საჭიროებს ბუღალტრული ანგარიშების წარდგენას, შედეგად კომპანიებს ეძლევათ შესაძლებლობა სახელმწიფოს ჩაურევლად მოიპოვონ „შავი ფული“. სახელმწიფოების მხრიდან კომპანიების მსგავს საქმიანობაში ჩაურევლობის მიზეზს კანონმდებლობის იმპერატიული ხასიათი წარმოადგენს. სწორედ საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ხდება ყოველივე ზემოთ აღნიშნული თავისუფალ ზონებში, რაც გარკვეულ წინააღმდეგობაში მოდის სამართლიანობის პრინციპთან.<sup>91</sup>

საქართველოს საბაჟო საზღვარზე უცხოური საქონელი ან სატრანსპორტო საშუალება შიძლება შემოტანილ იქნეს დროებით რეექსპორტის პირობით<sup>92</sup>. ასეთი პირობით შემოტანილ საქონელზე არ ვრცელდება სავაჭრო დამცავი ღონისძიებები, ასევე საქონელი თავისუფლდება სრულად ან ნაწილობრივ იმპორტის გადასახადისგან<sup>93</sup>. საქონელი, რომელიც დროებით შემოდის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე არ უნდა იყოს აკრძალული და მისი ქვეყნის საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა ან გატანა უნდა იყოს დაშვებული. საქონლის საბაჟო ტერიტორიაზე დროებით შემოტანის დროს საქონელს უკეთდება შესაბამისი დეკლარირება, რომელიც შეიძლება იყოს საქონლის საბაჟო დეკლარაცია, ATA წიგნაკი, საბაჟო დეკლარაცია- ფორმა-4, ავტოსატრანსპორტო

<sup>91</sup> იხ., ია ხარაზი, ნატო უერთაშვილი, თემურ გერგედავა, „საბაჟო რეჟიმების კლასიფიკაციის სამართლებრივი ასპექტების თავისებურებათა შესახებ“. (მომიებულია: 16.04.2023).

<sup>92</sup> იხ., საქართველოს საბაჟო კოდექსი მ. 137-140-ე, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4598501?publication=7> (მომიებულია: 17.04.2023).

<sup>93</sup> იხ., საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „დროებით შემოტანის პროცედურის შესახებ“ (დანართიN11) ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/68194?publication=0>. (მომიებულია: 17.04.2023).

საშუალების საბაჟო დეკლარაცია და სხვა<sup>94</sup>. დროებით შემოტანილი საქონელი შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმგვარად, რომ მან არ განიცადოს ცვლილება. გამონაკლისის სახით შეიძლება საქონელმა განიცადოს ექსპლუატაცია, ასევე მისი შენახვისთვის ნორმალური ბუნებრივი პირობების შექმნის შედეგად შეიცვალოს, ან ტრანსპორტირების დროს დაზიანდეს. ესეთი ცვლილება დაშვებულია და არ ქმნის წინააღმდეგობრივ ბარიერს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნასთან. დროებითი შემოტანის პროცედურაში მოექცევა მხოლოდ ის საქონელი, რომლის იდენტიფიცირებაც შესაძლებელი იქნება მისი უკან გატანის დროს.<sup>95</sup>

ATA- კარნეტი გამოიყენება საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო პროცედურის პირობებში (მათ შორის ტრანზიტის დროს). „ATA- კარნეტი, ანუ დროებითი შემოტანის დოკუმენტი არის საერთაშორისო დოკუმენტი, იგი უთანაბრდება სატვირთო- საბაჟო დეკლარაციას, სწორედ ამიტომ საბაჟო ორგანოს არ აქვს უფლება მოითხოვოს სატვირთო- საბაჟო დეკლარაცია, თუ პირი მას წარუდგენს ATA- კარნეტს.<sup>96</sup>

საქონლის საბაჟო დამუშავების ოპერაციაში შეიძლება მოექცეს ისეთი საქონელი, რომლის გამოყენებაც მხოლოდ მიზნობრივი დანიშნულებით არის შესაძლებელი. მიზნობრივი დანიშნულების პროცედურა გულისხმობს საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებას იმგვარად, რომ მასზე არ იყოს იმპორტის და დღგ-ის გადასახადი გადასახდელი<sup>97</sup>. მაგ; „საქართველოს ეროვნული ბანკისთვის გადასაცემი ოქროს იმპორტი“, „განძეულობის ან/და სახელმწიფო საკუთრებაში მოქცეული მოძრავი ნივთის იმპორტი“ „სამკურნალო/ფარმაცევტული მიზნისთვის განკუთვნილი სეს ესნ-ის 28-ე და 29-ე ჯგუფებით გათვალისწინებული ნედლეულის ან/და სუბსტანციების იმპორტი“;

<sup>94</sup> იხ., საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „დროებითი შემოტანის პროცედურის შესახებ“ (დანართი N11), ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0> (მოძიებულია: 17.04.2023).

<sup>95</sup> იხ., საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ კოიტოს 1973 წლის კონვენცია, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4270130?publication=0> (მოძიებულია: 17.04.2023).

<sup>96</sup> ურიდია გონერ, რუხაია ფრიდონ, არახამია მერაბ, საბაჟო გაფორმება TIR და ATA (CPD) კარნეტის პირობებით, თბილისი, 2004, 34. (მოძიებულია: 18.04.2023).

<sup>97</sup> იხ., საქართველოს ფინანსთა მინისტრის #257 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისა და საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურის შესახებ“ მ. მე-3, დანართი #12, ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf> (მოძიებულია: 18.04.2023).

„სტიქიური უბედურების, ავარიისა და კატასტროფის ლიკვიდაციისთვის, ჰუმანიტარული დახმარებისას, საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის გადასაცემი საქონლის იმპორტი“, და ა.შ. მიზნობრივი დანიშნულებით საქონლის გამოყენების პროცედურა ხორციელდება ზედმეტი საბაჟო ფორმალობების გარეშე, რაც უზრუნველყოფს საქონლის საბაჟო ტერიტორიაზე გადაადგილებას მცირე დროში, დამატებითი ფინანსური დანაკარგების გარეშე.

საქონლის საბაჟო დამუშავების პროცედურას წარმოადგენს დროებითი შემოტანის პროცედურა. მისი მარეგულირებელი ნორმატიული მასალა წარმოდგენილია საქართველოს საბაჟო კოდექსში<sup>98</sup> და საქართველოს ფინანსთა მინისტრის N257-ე ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში „დროებითი შემოტანის პროცედურის შესახებ“<sup>99</sup>. საქონლის დროებითი შემოტანის პროცედურა გამოიყენება ნებისმიერ საქონელზე, გარდა იმ საქონლის ნუსხისა, რომელსაც ამტკიცებს ფინანსთა მინისტრი<sup>100</sup>.

დროებით შემოტანის პროცედურა გულისხმობს უცხოური საქონლის შემოტანას საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე მისი რეექსპორტის პირობით. დროებითი შემოტანის პროცედურის დროს, საქონლის მიმართ არ გამოიყენება დამცავი ღონისძიებები, და დაშვებულია მისი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გამოყენება. ამავდროულად საქონლის საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა ან ტერიტორიიდან მისი გატანა აკრძალული არ უნდა იყოს. ხსენებულ პროცედურაში საქონლის დეკლარირება ხორციელდება: საქონლის საბაჟო დეკლარაციით, ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციით<sup>101</sup>, ATA- წიგნაკით<sup>102</sup>, საბაჟო დეკლარაცია- ფორმა 4-ით<sup>103</sup>. ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციით და ა.შ.<sup>104</sup>

<sup>98</sup> იხ., საქართველოს საბაჟო კოდექსი, მ.137-140-ე, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4598501?publication=7> (მოძიებულია: 19.04.2023).

<sup>99</sup> იხ., საქართველოს ფინანსთა მინისტრის #257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „დროებითი შემოტანის პროცედურის შესახებ“, (დანართი N11) ხელმისაწვდომია : <https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf> (მოძიებულია: 20.04.2023).

<sup>100</sup> ურიდია გ; არახამია მ; რუხაია ფ; საბაჟო რეჟიმები, 2005, 81. (მოძიებულია: 20.04.2023).

<sup>101</sup> იხ., საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, ფიზიკური პირის ბარგით ან ხელბარგით გადაადგილებული საქონლის საბაჟო გამშვებ პუნქტში დეკლარირებისას, მ.83, ნაწ. დ. ა), ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1709684?publication=0> , (მოძიებულია: 20.04.2023).

საქონლის საბაჟო დამუშავების სპეციალურ ოპერაციას წარმოადგენს შიდა გადამუშავების პროცედურა. საქონლის შიდა გადამუშავების პროცედურის სამართლებრივ რეგულირებას ახდენს, საერთაშორისო შეთანხმებები, ევროკავშირის საბაჟო კანონმდებლობა და ეროვნული კანონმდებლობა. საქონლის შიდა გადამუშავების პროცედურაში შეიძლება მოექცეს უცხოური საქონელი. მას შემდეგ, რაც უცხოური საქონელი შემოვა საქართველოს ტერიტორიაზე, გაივლის საბაჟო კონტროლს, მასზე შეიძლება განხორციელდეს მონტაჟი, სხვა საქონელზე მორგება, აწყობა, შეკეთება, განადგურება და ა.შ. გადამუშავების პროცესში შესაძლოა უცხოურ საქონელზე განხორციელდეს ერთი ან რამდენიმე ოპერაცია. საქონლის შიდა გადამუშავების პროცედურა ეკონომიკურად მომგებიანი და მისაღებია, რადგან ამ პროცედურაში საქონლის ჩართვა არ წარმოქმნის იმპორტის გადასახადის გადახდის ვალდებულებას, მიუხედავად იმისა თუ რამდენი გადამუშავების ოპერაცია განხორციელდა უცხოურ საქონელზე. თუ შიდა გადამუშავების პროცედურა განხორციელდა საქართველოს სტატუსის მქონე საქონელზე, მას ენიჭება უცხოური საქონლის სტატუსი.

შიდა გადამუშავების პროცედურის დროს საბაჟო ორგანოს წარედგინება საქონლის საბაჟო დეკლარაცია, მონაცემები შიდა გადამუშავების პროცედურაზე, ანგარიშები, საქონლის აღწერილობა, მისი ხარისხის და რაოდენობის შესახებ ინფორმაცია, გადამუშავებული<sup>105</sup> პროდუქტების აღწერილობა, გადამუშავებისთვის საჭირო ვადების შესახებ ინფორმაცია. საქონლის გადამუშავების პროცედურის დასრულების შემდეგ წარმოიქმნება ნარჩენი პროდუქტი, რომელზეც არ ვრცელდება გადამუშავების ოპერაცია. ნარჩენი შეიძლება მოექცეს ნებისმიერ საბაჟო პროცედურაში ან გაეშვას თავისუფალ

---

<sup>102</sup> იხ., „საქონლის დროებითი შემოტანის შესახებ“ სტამბოლის 1990 წლის 26 ივნისის კონვენციით ან „საქონლის დროებითი შემოტანისთვის ATA წიგნაკის შესახებ“ ბრიუსელის 1961 წლის 6 დეკემბრის საბაჟო კონვენცია (ATA კონვენცია) (მოძიებულია: 21.04.2023).

<sup>103</sup> საბაჟო დეკლარაცია ფორმა 4-ის შესახებ იხ., ხარაზი ი; საბაჟო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, პირველი ნაწილი, 2021. (მოძიებულია: 21.04.2023).

<sup>104</sup> სრულად იხ., ხარაზი ი, ხარაზი ქ, საბაჟო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, მეორე ნაწილი, თბილისი, 2022, 907-908. (მოძიებულია: 21.04.2023).

<sup>105</sup> იხ., ბაზელის კონვენცია „სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ“, მე-2 პარაგრაფი, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485058?publication=0> (მოძიებულია: 22.04.2023).



მიმოქცევაში. გადამუშავების პროცედურის შედეგად ასევე შეიძლება სახეზე იყოს საწარმო დანაკარგები, რომელზეც არ ხორციელდება საბაჟო ფორმალობები და იგი რჩება საბაჟო ტერიტორიაზე. თუკი კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ნაშთი შეიძლება მოექცეს ნებისმიერ საბაჟო პროცედურაში. არის შემთხვევები, როდესაც ნარჩენმა პროდუქტმა შესაძლოა დიდი ზიანი მიაყენოს ქვეყნის ეკოლოგიურ მდგომარეობას, სწორედ ამიტომ საქართველოში აკრძალულია მსგავსი სახის ნარჩენების შემოტანა გადამუშავების მიზნით. მოთხოვნა გამომდინარეობს გარემოს დაცვის აუცილებლობიდან მისი შესაძლო დაბინძურებისგან თავდაცვის მიზნით, თუმცა გამონაკლისის სახით გარემოს დაცვის სამინისტრომ შესაძლოა გასცეს თანხმობა ნარჩენის გადამუშავებასთან დაკავშირებით. ასეთ დროს პრიორიტეტული უნდა იყოს ქვეყნის ეკოლოგიური მდგომარეობა, რომელიც ცალსახად უფულებელყოფს მსგავს ქმედებებს, ის რაც გარემოს დააზიანებს და ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე დააყენებს, ერთპიროვნულად აკრძალული უნდა იყოს ყოველგვარი გამონაკლისების დაშვების გარეშე.

კიოტოს კონვენციის სპეციალური დანართი- F, საქონლის საბაჟო გადამუშავების ოპერაციებს ეხება, რომლიც აერთიანებს ერთმანეთისგან განსხვავებულ რეჟიმებს. თითოეული რეჟიმი ინდივიდუალურია და დამოკიდებულია იმაზე თუ სად ხდება საქონლის გადამუშავება, საბაჟო ტერიტორიაზე თუ საბაჟო ტერიტორიის გარეთ, თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების მიზნით, თუ დაბრუნების პირობით.<sup>106</sup> თითოეული პროცედურით განისაზღვრება ბაჟების, გადასახადების გადახდის წესი, საქონლის ოპერაციაში მოთავსების, ოპერაციის დამთავრების წესი. საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა ითვალისწინებს შიდა გადამუშავების პროცედურაში მყოფი საქონლის მიმართ განხორციელდეს განსაზღვრული ქმედებები, რომელმაც არ უნდა გამოიწვიოს საქონლის სეს ესნ-ის თერთმეტნიშნა დონეზე შეცვლა.<sup>107</sup>

<sup>106</sup> იხ., ხარაზი ია, „გადამუშავების საბაჟო რეჟიმების სამართლებრივი რეგულირება“, 2006. ხარაზი ია, „გადამუშავების საბაჟო რეჟიმების სამართლებრივი რეგულირება, დისერტაცია, თსუ, 2006. (მოძიებულია: 23.04.2023).

<sup>107</sup> იხ., საქართველოს საბაჟო კოდექსი, მ.116, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4598501?publication=6> (მოძიებულია: 23.04.2023).

საერთაშორისო საბაჟო შეთანხმებები, კიოტოს კონვენცია<sup>108</sup>, ევროკავშირის საბაჟო კანონმდებლობა<sup>109</sup> და საქართველოს ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს საქონლის გარე გადამუშავების პროცედურას. გარე გადამუშავების პროცედურაში<sup>110</sup> მოქცეულ საქონელზე მოქმედებს იგივე წესები, რაც ექსპორტის პროცედურის და საქონლის შიდა გადამუშავების დროს. გარე გადამუშავების პროცედურით შესაძლებელია საქონლის დროებითი ექსპორტი მისი გადამუშავების მიზნით და იმპორტის პროცედურების გავლის გარეშე უკან დაბრუნება. გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონელი საბაჟო ორგანოს წარედგინება საქონლის საბაჟო დეკლარაციით, ასევე თუ საქონლის საბაჟო ღირებულება 3 000 ლარზე ნაკლებს შეადგენს, საბაჟო დეკლარაცია შეიძლება საბაჟოზე წარმოდგენილი იყოს ფორმა 4-ის სახით<sup>111</sup>.

გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცევის შედეგად, საქონელი შეიძლება სრულად ან ნაწილობრივ განთავისუფლდეს იმპორტის დროს წარმოქმნილი გადასახადებისგან.<sup>112</sup> გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის მიმართ შესაძლოა განხორციელდეს შემდეგი ქმედებები: გამოშრობა, დასუფთავების მარტივი ოპერაციები, ვენტილაცია, მექანიკური გაფილტვრა, მტვრის მოშორება, რეკონსტრუქცია, სორტირება, დაზიანებების ელემენტარულ შეკეთება, რომელიც შესაძლოა ტრანსპორტირების ან შენახვის დროს იყოს გამოწვეული, ინვენტარიზაცია და ა.შ.

გადამუშავების სპეციალური ოპერაციები წარმოდგენილია კომპლექსური ხასიათის ნორმატიულ აქტებში, რის გამოც იგი გამოირჩევა უაღრესი დაქსაქსულობით, ფინანსთა სამინისტროს და კონკრეტულად საბაჟო დეპარტამენტის მიერ მიღებული დიდი

---

<sup>108</sup> იხ., 1973 წლის კიოტოს კონვენცია „საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ“, საქართველო შეუერთდა 2018 წლის პარლამენტის დადგენილებით, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4270130?publication=0> (მოძიებულია: 23.04.2023).

<sup>109</sup> იხ., The Union Customs Code (UCC), ხელმისაწვდომია: [Union Customs code \(europa.eu\)](https://matsne.gov.ge/ka/document/view/4598501?publication=7) (მოძიებულია: 23.04.2023).

<sup>110</sup> იხ., საქართველოს საბაჟო კოდექსი, მ.148, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4598501?publication=7> (მოძიებულია: 23.04.2023).

<sup>111</sup> იხ., ინსტრუქცია (დანართი N14) „გარე გადამუშავების პროცედურის შესახებ“. მ.2. (მოძიებულია: 24.04.2023).

<sup>112</sup> იხ., Customs procedures used in trade, European Union customs procedures, 2, ხელმისაწვდომია: [Customs procedures used in trade - ProQuest](https://matsne.gov.ge/ka/document/view/4598501?publication=7) (მოძიებულია: 25.04.2023)



რაოდენობის სამართლებრივი აქტები საჭიროებს გარკვეულ სისტემატიზაციას საერთაშორისო საბაჟო შეთანხმებებთან, კერძოდ, საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ საერთაშორისო კონვენციასთან დაახლოებას. კონვენცია შედგება ორი ნაწილისგან<sup>113</sup>: საკუთრივ კონვენციის ტექსტი, რომელშიც შედის 19 მუხლი, რომელიც მოიცავს ზოგად დებულებებს, კონვენციის სტრუქტურისა და გამოყენების წესის შესახებ. დადგენილია მასთან შეერთების<sup>114</sup>, შესწორებისა და დამატების შეტანის პროცედურა. მეორეს მხრივ, კონვენცია შედგება 30 დანართის ტექსტისგან, რომელთაგან თითოეული ეძღვნება ცალკეულ საბაჟო პროცედურას ან საბაჟო პროცედურების კომპლექსის რეგლამენტაციას და წარმოადგენს საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტს. კიოტოს კონვენციის დანართები პრაქტიკულად მოიცავენ ყველა იმ საბაჟო პროცედურას, რომლებიც ამჟამად გამოიყენება საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს წევრ ქვეყნებში. კიოტოს კონვენცია არის ის სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც საერთაშორისო დონეზე არეგულირებს სპეციალურ პროცედურებს. „გადამუშავების პროცედურას ეძღვნება კიოტოს კონვენციის სპეციალური დანართი F, რომელიც შედგება ოთხი თავისგან: საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების რეჟიმი; საბაჟო ტერიტორიის გარეთ გადამუშავების რეჟიმი; დაბრუნების რეჟიმი; თავისუფალი მიმოქცევისათვის გადამუშავების რეჟიმი. თითოეული განსაზღვრავს გადამუშავების ოპერაციების გამოყენების სფეროს, ოპერაციაში საქონლის მოთავსების, საქონლის ყოფნის და მისი მოქმედების დამთავრების წესს და აგრეთვე ბაჟების და გადასახადების გამოყენების წესს<sup>115</sup>.

საქონლის შიდა და გარე გადამუშავების პროცედურებში, ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხს გამოსავლიანობის ნორმის დადგენა წარმოადგენს. გამოსავლიანობის ნორმა ეს

---

<sup>113</sup> იხ., ხარაზი ია, ხარაზი ქეთინო, საბაჟო სამართალი, მეორე ნაწილი, თბ; 2022, 975. (მომიებულია: 24.04.2023).

<sup>114</sup> უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოლო პერიოდში სულ უფრო თვალშისაცემი ხდება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის მიახლოება ევროპულ საბაჟო კანონმდებლობასთან, რაც გამოიხატება, კიოტოს კონვენციასთან საქართველოს შეერთებითა და ევროკავშირთან დადებული ასოცირების ხელშეკრულებით.

<sup>115</sup> იხ., ხარაზი ია; “გადამუშავების საბაჟო რეჟიმების სამართლებრივი რეგულირება“, დისერტაცია, თსუ, 2006; 62; ხარაზი ია; გადამუშავების საბაჟო რეჟიმის სამართლებრივი რეგულირება (მონოგრაფია) ,თბილისი, 2006. (მომიებულია: 25.04.2023).

არის გადამუშავებული პროდუქტის ოდენობა ან ამ ოდენობის პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც მიღებულია შიდა გადამუშავების პროცედურაში ან გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული, განსაზღვრული რაოდენობის საქონლის გადამუშავების შედეგად (მაგ. საქართველოში შემოიტანეს 2000 ლიტრი სპირტი და მისგან დაამზადეს 1600 ლიტრი არაყი, გამოსავლიანობის ნორმა იქნება 1600 ლიტრი).

კოტოს კონვენციის თანახმად, საბაჟო სამსახურები ვალდებული არიან დაადგინონ პროდუქციის გამოსავლიანობის ნორმა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საქონელზე ტარდება წარმოების ან გადამუშავების ოპერაციები.

საქონლის საბაჟო დამუშავების ოპერაციას განვიხილავ სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე. დავის საგანს წარმოადგენდა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა<sup>116</sup>. სარჩელის საფუძველი იყო შემდეგი ფაქტობრივი გარემოება: მოპასუხემ არასწორად დააჯარიმა საწარმო საქონლის<sup>117</sup> დროებითი შემოტანისთვის დაწესებული დღგ-ის არასრულად გადახდის გამო, რადგან, საწარმოს საერთოდ არ ეკუთვნოდა 3% გადასახადის გადახდა. მოპასუხემ არ ცნო სარჩელი და სასამართლოს წარუდგინა შესაგებელი, რომლის თანახმად მოსარჩელემ #44997 საბაჟო დეკლარაციით დროებით შემოტანის საბაჟო რეჟიმში შემოიტანა საქონელი, რომლის შემოტანა იმპორტის გადასახადისგან გათავისუფლებულია<sup>118</sup> ნაწილობრივ, შესაბამისად მას ეკისრებოდა ვალდებულება სრულად გადაეხადა ამ

---

<sup>116</sup> იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციულ საქმეებზე, ხელმისაწვდომია: <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2013w-administr-krebuli8.pdf> (მოძიებულია: 25.04.2023).

<sup>117</sup> შემოტანილი საქონელი (სასაქონლო კოდი: 880320010000) განეკუთვნება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 230-ე მუხლის 1 ნაწილის 32 პუნქტით გათვალისწინებულ სამოქალაქო ავიაციისთვის განკუთვნილ საქონელს, რომელიც იმპორტის გადასახადისაგან განთავისუფლებულია სრულად. (მოძიებულია: 25.04.2023).

<sup>118</sup> იმპორტის გადასახდელების გათავისუფლების შესახებ იხ. საგადასახადო კოდექსი, მ.199, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717> (მოძიებულია: 26.04.2023).

ასევე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის #290-ე ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, მ.52-53; ია ხარაზი, საქართველოს საგადასახადო სამართალი, გამომცემლობა „გეორგია“, თბილისი, 2014; ია ხარაზი, საგადასახადო სამართალი (საერთო- სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები), 2017, 674-697 (მოძიებულია: 26.04.2023).

საქონლის იმპორტის რეჟიმში მოქცევისთვის განკუთვნილი საბაჟო გადასახდელების<sup>119</sup> (გარდა საბაჟო მოსაკრებლის 3%). საწარმოს მიერ შემოტანილი საქონლის დასახელება არ ფიგურირებს საბაჟო კოდექსის<sup>120</sup> 128-ე მუხლის პირველ ნაწილში, სადაც ჩამოთვლილია საქონლის დროებითი შემოტანის რეჟიმში იმპორტის გადასახდელების გადახდისგან სრულად გათავისუფლებული საქონლის ამომწურავი ჩამონათვალი. საგადასახადო კოდექსის 230-ე მუხლით დადგენილია საშეღავათო რეჟიმი საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომეკლატურას<sup>121</sup> სამოქალაქო ავიაციისათვის განკუთვნილ საქონლის იმპორტზე, რაც სრულად ათავისუფლებს პირს ავიაციისთვის განკუთვნილი გადასახადის გადახდისგან. ვინაიდან შემოტანილ საქონელს წარმოადგენდა თვითმფრინავის ორი საბურავი, საბაჟო ორგანოს საწარმო უნდა მიეჩნია გადახდისაგან განთავისუფლებულ სუბიექტად. თუმცა სასამართლოს არ უნდა გამოეყენებია საგადასახადო კოდექსის 230-ე მუხლი, ვინაიდან იგი გამოიყენება მხოლოდ იმპორტის და არა უცხოური საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმის გამოყენების შემთხვევაში. ასევე სასამართლომ არასწორად გამოიყენა საბაჟო კოდექსის 128-130-ე მუხლები, სამართლებრივად არასწორად შეაფასა, რომ საქონელი სრულად უნდა განთავისუფლებულიყო გადასახადისგან. რადგან შემოტანილი საქონელი განკუთვნილი იყო დროებითი შემოტანის პროცედურაში მოსაქცევად და არა თავისუფალ მიმოქცევაში გასაშვებად (იმპორტის პროცედურა).

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 257-ე, 390-ე და 410-ე მუხლებით და დაადგინა: არ დაკმაყოფილდეს სსიპ შემოსავლების სამსახურის და თბილისის რეგიონული ცენტრის საკასაციო საჩივარი და უცვლელად დარჩეს თბილისის

---

<sup>119</sup> გადასახდელების ცნების ქვეშ მოიაზრება როგორც გადასახადები ( მაგ; დღგ, მოგება და სხვ.), ასევე საქონლის გაფორმებისა და შემოწმებისთვის დადგენილი მოსაკრებლები, რომლებიც არ არის გადასახადი, მაგრამ გადასახადებთან ერთად მოიაზრება „გადასახდელის“ ცნებაში.

<sup>120</sup> საუბარია 2006 წლის დღეს უკვე ძალადაკარგულ საბაჟო კოდექსზე, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29944?publication=36>

<sup>121</sup> საუბარია საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებაზე (#241 2012 წლის 11 ივლისი) „საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომეკლატურას (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე“, თუმცა სასამართლო დავის განხილვისათვის გამოიყენებოდა 2009 წლის ბრძანება, რომელიც ზემოაღნიშნული ბრძანებით გაუქმებულია.

სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 23 დეკემბრის განჩინება, რომლის საფუძველზეც დაკმაყოფილდა შპს „საწარმოს“ სარჩელი.<sup>122</sup> საკასაციო სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო ევროპული სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე. ამჟამად იმპორტირებული პროდუქცია ევროპის ბაზარზე შემოდის იმპორტის ზოგადი პროცედურების გამოყენებით, სადაც იმპორტიორი იხდის იმპორტის გადასახადებს სრული განაკვეთით. დროებითი იმპორტის პოლიტიკა არის ინოვაციური მიდგომა, რომელიც ავალდებულებს საქონლის შემომტან პირს, გარკვეული პერიოდის განმავლობაში მოახდინოს საქონლის რეექსპორტი. ზოგიერთი მკვლევარის მიერ იმპორტირებულ საქონელში აღმოჩენილ იქნა საშიში მასალები, რომლებიც აბინძურებენ წყალს, ნიადაგს და ჰაერს. გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად დროებით შემოტანის პროცედურა, შესაძლებლობას იძლევა თავიდან იქნეს აცილებული მსგავსი ნარჩენების სახელმწიფო ტერიტორიაზე დატოვება და დაბინძურება.

თეორიული და პრაქტიკული მაგალითების კომპლექსურად განხილვისა და ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია გავაკეთოთ დასკვნები საბაჟო პროცედურებთან და საბაჟო დამუშავების ოპერაციებთან დაკავშირებით. ევროკავშირის საბაჟო პროცედურების ფორმირება თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების მეშვეობით, მაგალითის მოძიების სხვა სახელმწიფოებისათვის, თუ, როგორ უნდა განხორციელდეს საქონლის საბაჟო დამუშავება, რომელიც იქნება ორიენტირებული ნაკლები დროის, ფორმალობების და პროცედურების გავლაზე, ამავდროულად მას ექნება დიდი ეკონომიკური სარგებელი თითოეული სახელმწიფოსთვის. პრაქტიკოს იურისტთა, თუ მეცნიერთა შორის არსებობს მოსაზრებები, იმასთან დაკავშირებით, რომ საბაჟო დამუშავების ოპერაციები, გამოირჩევიან ბუნდოვანებითა და დაქსაქსულობით. თუმცა თუ სახელმწიფოები საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში, გამოიყენებენ ევროკავშირის მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკას, იხელმძღვანელებენ საერთაშორისოდ აღიარებული ნორმებისა და პრინციპების საფუძველზე.

<sup>122</sup> გადაწყვეტილების სრული ვერსია ხელმისაწვდომია: <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2013w-administr-krebuli8.pdf> 2019/15/2 (მოძიებულია 27.04.2023)

## თავი III საბაჟო დაბეგვრის სახეები და მათი როლი ეროვნული და საერთაშორისო ეკონომიკის ფუნქციონირებაში

### 3.1 საბაჟო საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება და მისი სამართლებრივი ბუნება

თანამედროვე მსოფლიოში არსებული გლობალიზაციის პროცესი განაპირობა საუკუნეების განმავლობაში სახელმწიფოებს შორის ურთიერთთანამშრომლობამ, საერთაშორისო და ეროვნული სამართლებრივი სისტემის ჰარმონიზაციის და სახელმწიფოებს შორის მჭიდრო ეკონომიკური კავშირების არსებობამ. სახელმწიფოები გაერთიანდნენ იმ სამართლებრივი სისტემის შესაქმნელად, რომელიც ხელს შეუწყობდა ეკონომიკურ სტაბილურობას, შეზღუდვებსა და აკრძალვებს დაიყვანდა მინიმუმამდე, და ამით მოსახლეობის სოციალურ- ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდებოდა. მსოფლიოში შეიქმნა არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია, სახელმწიფოები აარსებდნენ სხვადასხვა კავშირებს, აფორმებდნენ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს ერთიანი სატარიფო სისტემის ჩამოსაყალიბებლად. საერთაშორისო ურთიერთობების ჩამოყალიბება ორიენტირებული იყო მაქსიმალური ეკონომიკური შემოსავლის მიღებაზე, რომელშიც საერთაშორისო საბაჟო, საკრედიტო, საბანკო, სამეცნიერო-ტექნიკური, თუ სავალუტო პროცედურების განხორციელება შედიოდა<sup>123</sup>.

საგადასახადო სამართალი, ისევე როგორც საგადასახადო დაბეგვრის სისტემა მომდინარეობს შორეული წარსულიდან, მისი ჩამოყალიბების ისტორია და დღევანდელი რეალობა არ შიძლება განვიხილოთ ერთმანეთისგან განცალკავებულად. იმისათვის რომ თანამედროვე საგადასახადო სამართალი სიღრმისეულად იქნეს შესწავლილი და გაანალიზებული, აუცილებელია ვიცოდეთ თუ საიდან მომდინარეობს მისი ფესვები, როგორ ჩამოყალიბდა, განვითარების რა გზები განვლო, და როგორ მიიღო

<sup>123</sup> იხ, ხარაზი ი, საგადასახადო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, პირველი ნაწილი, თბილისი, 2020, გამომცემლობა „გეორგიკა“, 31. (მოძიებულია: 27.04.2023).

ის სახე რაც დღეს-დღეობით აქვს. საქართველოსთვის, როგორც სახელმწიფოსთვის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ბიზნესგარემოს გაუმჯობესება, ინვესტიციების მოზიდვა, მცირე და დიდი მეწარმეობის განვითარება, მცირე ბიზნესზე ხელისშეწყობა, სტრატეგიების შემუშავება, რომელიც დღის წესრიგში დააყენებდა პრიორიტეტული საკითხების გადაწყვეტის აუცილებლობას.

ტარიფები ევროპული საბაჟო სამართლის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, რომელიც სახელმწიფოებში არსებულ გადასახადებს შორის ყველაზე ადრე გვხვდება. ეტიმოლოგიური თვალსაზრისით სიტყვა „ტარიფი“ – “telos” ძველი ბერძნული სიტყვიდან მომდინარეობს, რაც საბოლოო გადახდას ნიშნავს, ლათინურად „teloneum“- მოვალეობას, ანგლო-ამერიკულ ენაზე კი გზებით და ხიდებით სარგებლობის საფასურის გადახდას გულისხმობს. უნივერსალური განმარტება სიტყვა „ტარიფის“ არ არსებობს, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ამ ტერმინით აღინიშნება გადასახადი, რომლითაც იბეგრება ექსპორტის, იმპორტის ან სახელმწიფო საზღვრის გავლით ტრანსპორტირება.

გადასახადების ჩამოყალიბებას უძველესი ისტორია გააჩნია, და მისი ფორმირება ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როდესაც ცივილიზაცია ფეხს იკიდებდა მსოფლიო ასპარეზზე, მისი არსებობა კი საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარეობდა. თავდაპირველად ფილოსოფოსები გადასახადებს აფასებდნენ, როგორც სასარგებლოს და აუცილებელ ფაქტორს იმისათვის, რომ საზოგადოებას ეცხოვრა მათი მოთხოვნილებების შესაბამისად. გადასახადების შემოღების პარალელურად, ოდნავ მოგვიანებით ჩამოყალიბდა საგადასახადო სისტემა და განვითარება ჰპოვა სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და ფორმირების პარალელურად.<sup>124</sup> შუა საუკუნეებში ნებისმიერი გადასახადი, მათ შორის გზების, ხიდების, მომსახურების, ტრანსპორტირების, ვაჭრობის თუ სხვა სახის, სახელმწიფო შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენდა. მერკანტილური პოლიტიკის შემოღებით კი სახელმწიფოები

---

<sup>124</sup> ფუტკარაძე ს., საქართველოს საგადასახადო სისტემა და მისი სრულყოფის პრობლემები თანამედროვე ეტაპზე, დისერტაცია, ბათუმი 2012, 11. ხელმისაწვდომია: [https://www.bsu.edu.ge/text\\_files/gefile32931.pdf](https://www.bsu.edu.ge/text_files/gefile32931.pdf) (მოძიებულია: 28.04.2023).

იქცა ეკონომიკურ ერთეულად, რომელსაც დაეკისრა ვაჭრობის მარეგულირებელი ფუნქცია. პროტექციონისტული ტარიფების შემოღება კი განაპირობა არასასურველი კონკურენციისგან შიდა ბაზრის დაცვის აუცილებლობამ.

საერთაშორისო ვაჭრობაში გადასახადების დაწესებით, ხაზგასმით იქნა ნაჩვენები მისი ძირითადი ფუნქცია, რომელიც მოტივირებულია ტერიტორიული ან ეკონომიკური საბაჟო გადასახადების დაწესებაზე. მე-20 საუკუნეში საბაჟო სამართლის თეორეტიკოსმა კარლ ლამპმა შეიმუშავა კონცეფცია, რომლის თანახმად საბაჟო გადასახადის დაწესება აუცილებელია მას შემდეგ, რაც უცხოური პროდუქტი გაემშვება შიდა მიმოქცევაში. ამით დაბალანსდება ადგილობრივი და უცხოური პროდუქტების ფასები, შესაბამისად საფრთხის წინაშე არ დადგება ადგილობრივად წარმოებული პროდუქტის რეალიზაციის საკითხი.

საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები უნდა მოდიოდეს ეროვნულ კანონმდებლობასთან და ქვეყნის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში, სწორედ ამიტომ ყველა საერთაშორისო შეთანხმება და ხელშეკრულება, არის ეროვნული კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციაში, რის გამოც სახელმწიფოები მუდმივად ცდილობენ დაუახლოვონ თავიანთი ეროვნული კანონმდებლობა საერთაშორისო კანონმდებლობას. საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების განვითარების პროცესში, სახელმწიფოს ფულადი მოსაკრებლის რაოდენობა თანდათან უფრო იზრდება. ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობა დამოკიდებულია კარგად განვითარებულ საბაჟო საგადასახადო სისტემის არსებობაზე, რადგან სწორედ საბაჟო სისტემის სრულყოფილი ფუნქციონირება ქმნის კარგ ფულად მოსაკრებელს. სავაჭრო-სამრეწველო ურთიერთობების არსებობა, იმპორტისა და ექსპორტის ზრდა, საერთაშორისო საფოსტო ოპერაციების განხორციელება, ტრანზიტი, თუ სხვა ყველა ოპერაცია, რომელიც წარმოადგენს საბაჟო პროცედურას დიდ როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკურ პროგრესში. არაერთი საერთაშორისო ეკონომიკური კავშირის შექმნისა და საერთო ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბების მცდელობის მიუხედავად, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს ჯერ კიდევ არ გააჩნიათ ერთიანი საბაჟო საგადასახადო სისტემა,



რომლისთვისაც დამახასიათებელი იქნება ერთიანი საგადასახადო პოლიტიკა. ევროკავშირის მიერ შემუშავებული სხვადასხვა დებულებები, რომლებიც ეკონომიკური სტაბილურობისა და ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებას ითვალისწინებს სხვადასხვა კონვენციებსა და შეთანხმებებშია წარმოდგენილი. ასევე ამ მიზნით ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს აქვთ ერთი ვალუტა, რომელიც ხელს უწყობს ეკონომიკურ სტაბილურობას და ერთიანი ტარიფებისა და გადასახადების არსებობას. თუმცა ის სახელმწიფოები, რომლებიც არ არიან ევროკავშირის წევრები, ამავდროულად კი ინტეგრირებისა და ჰარმონიზაციის პროცესში იმყოფებიან, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნები, მათთვის მნიშვნელოვანია რამდენად იქნება გათვალისწინებული ყველა ის კრიტერიუმი, რომელსაც საერთაშორისო შეთანხმებები, ხელშეკრულებები და კონვენციები სთავაზობენ. ყველა ის ფუნქცია, რომელიც ქართული საბაჟო საგადასახადო სისტემისთვის არის დამახასიათებელი, შემუშავებული და მიღებულია ევროპის საბაჟო კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პროცესში. სწორედ ამ მიზანს ემსახურება საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება<sup>125</sup>, რომელიც წარმოადგენს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას, იგი მოიცავს საგადასახადო სისტემის ჰარმონიზაციის პროცესს, მასში ერთიანდება ინვესტიციების განვითარება, ჯანსაღი კონკურენციის წახალისება, ვაჭრობაზე ხელშეწყობა, მოდერნიზაცია და ა.შ. მართალია ძალზედ რთულ, თუმცა ამავდროულად საჭირო პროცესს წარმოადგენს ევროკავშირის ეკონომიკურ სისტემასთან საქართველოს ეტაპობრივი ინტეგრაცია. უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ძველი საგადასახადო კოდექსისგან განსხვავებით, საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელიც უფრო მეტად მიახლოებულ კოდექსს წარმოადგენს ევროპულ საგადასახადო კანონმდებლობასთან, ჯერ კიდევ მოიცავს ორაზროვან დებულებებს, რაც აუცილებელს ხდის მის უფრო დახვეწას და ლაკონურად წარმოდგენას. თუმცა არ უნდა უგულებელყო ის ფაქტი, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსი ბევრი ინოვაციური

---

<sup>125</sup> იხ., ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959> (მოძიებულია: 28.04.2023).



დებულებებითა და მუხლებით არის წარმოდგენილი, რომელიც სასარგებლოდ წაადგება ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და სტაბილურობის საკითხს. ბიზნესის სექტორის განვითარება და ეკონომიკური ბერკეტების სრულყოფა გარანტია იმისა, რომ საზოგადოების თითოეული წარმომადგენელი იმყოფებოდეს განვითარებულ და ძლიერ სახელმწიფოში<sup>126</sup>.

საქართველოს საგადასახადო სისტემა ვითარდება საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმების საფუძველზე, რომელიც მოიცავს მრავალ საერთაშორისო შეთანხმებას, კონვენციას თუ ხელშეკრულებას. უნიფიკაციის პროცესში საქართველოს საგადასახადო პოლიტიკა უპირველეს ყოვლისა ეყრდნობა ევროსაბჭოსა და ევროკავშირის საერთაშორისოდ აღიარებულ საბაჟო კოდექსს, საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის საერთაშორისო (კიოტოს) კონვენციას, საგადასახადო სფეროში საქართველო მონაწილეა სხვადასხვა შეთანხმებების, მათ შორისაა : საგადასახადო საკითხებში ინფორმაციის გაცვლის შესახებ“, „საგადასახადო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“ კონვენცია, „ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“ საგადასახადო საკითხებში და ა.შ.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის იმპლემენტაციის პროცესში, არაერთი ხარვეზი და შენიშვნა იქნა გამოვლენილი, რომელიც საჭიროებს იდენტიფიცირებას დაუყონებლივ და ამ ხარვეზების აღმოფხვრას, სწორედ ეს გახლავთ დღეს-დღეისობით საქართველოსთვის ძირითადი პრობლემა, რომელიც საჭიროებს დაუყონებლივ რეაგირებას და ისეთი ცვლილებების განხორციელებას საგადასახადო კოდექსში, რომელიც დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ სურათზე. ამისათვის საჭიროა სხვადასხვა ღონისძიებების გატარება: მათ შორის, საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაცია, მცირე და დიდ ბიზნესზე ხელშეწყობა, მეწარმეთა წახალისება, რაც საბოლოოდ შესაძლებელს გახდის უფრო მეტად დაიხვეწოს და სრულყოფილი გახდეს

---

<sup>126</sup> იხ. ია ხარაზი, კახა კუპატაძე, მარიამ სანებლიძე, ნინო მატარაძე, „საგადასახადო ადმინისტრირების წესების გამარტივების ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტის შესახებ კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში“, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „დიპლომატია და სამართალი“, #1(7), 2020, გამომცემლობა „უნივერსალი“, 224-225. (მოძიებულია: 28.04.2023).

საგადასახადო კანონმდებლობა, თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დიდ გამოწვევად რჩევა საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფილებაში მოყვანა, არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთელი ევროპის ქვეყნებისთვის. ეს კი მოწმობს იმ ფაქტს, რომ საგადასახადო კანონმდებლობა მეტად რთულ და სპეციფიკურ დისციპლინას წარმოადგენს.

ბოლო პერიოდში განსაკუთრებით შეინიშნება სახელმწიფოების ინოვაციური მიდგომები, დაბეგვრისა და საგადასახადო ადმინისტრირების სისტემის ლიბერალური და მოქნილი ფუნქციონირებისათვის. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა საქართველოს მიერ, როდესაც „მოგების გადასახადის ესტონურ მოდელზე“ გადავიდა, 2017 წლის 1 იანვარიდან. ამ ინიციატივას საფუძვლად დაედო საერთო წარსული, თავისუფლებისა და დემოკრატიისკენ მისწრაფების სურვილი, და ბევრი სხვა საერთო კავშირი, მათ შორის მრავალი წლის განმავლობაში საქართველოსა და ესტონეთს ერთი და იგივე მტერი ჰყავდა, რუსეთისა და სპარსეთ-ოსმალეთის სახით. სწორედ ამიტომ საქართველო გახდა ის სახელმწიფო, რომელმაც ესტონეთისგან უდიდესი დახმარება მიიღო, გაიზიარა მისი გამოცდილება და ბიზნესისთვის უნიკალური გარემო შექმნა. ამ რეფორმით საგადასახადო ორგანოებს შეეზღუდათ ყადაღის დადების უფლებამოსილება, საგადასახადო დავების წარმოშობის დროს გადამხდელების საბანკო ანგარიშებზე. საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, სასამართლოს ნებართვის საფუძველზე გახდა შესაძლებელი. ასევე ესტონური საგადასახადო მოდელი მსოფლიოში ყველაზე უფრო მარტივ რეჟიმად არის მიჩნეული, რომელსაც გააჩნია 21%-იანი განაკვეთი.<sup>127</sup>

ევროკავშირი მიისწრაფვის საგადასახადო სისტემის ჰარმონიზაციისკენ, საგადასახადო საზღვრების გაუქმებისკენ, თანაბარი კონკურენტული პირობების

---

<sup>127</sup> სრულად იხ., ხარაზი ი, საგადასახადო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, მეორე ნაწილი, მეორე გამომუშავებული გამოცემა, თბილისი 2020, 10-14; ასევე იხ. ია ხარაზი, „საქართველოში საგადასახადო ლიბერალიზაციის ესტონური მოდელის საგადასახადო-სამართლებრივი ასპექტები“, „მართლმსაჯულება და კანონი“, #1(53), 2017, 119-132. (მოძიებულია: 29.04.2023).

შექმნისკენ. „მაასტრიხტის ხელშეკრულებით“<sup>128</sup> ევროკავშირმა შეიმუშავა ფისკალური საზღვრების გაუქმებისა და დღგ-ს განაკვეთების შემცირების გეგმა.

საბაჟო გადასახადი სხვადასხვა სახის შეიძლება იყოს. ადვალური ბაჟის გაანგარიშებისას საყურადღებოა სასაქონლო ბაზრის ეკონომიკური მდგომარეობა, რომლის მიხედვითაც დგინდება საქონლის წარმოების ადგილმდებარეობა. საქონელი წარმოებულია იმ ქვეყანაში, სადაც გაიხარჯა დასამზადებელი პროდუქტისა და მასალის გადამუშავების შედეგად მიღებული საქონელის მთლიანი ღირებულების არანაკლებ 51%. მაგ., საქართველოში დამზადებული ალკოჰოლური სასმელი, რომლის შემადგენლობაშიც 51% არის გერმანული ნედლეული ხოლო 49% კი ქართული, საქონლის წარმოების ქვეყნად მიიჩნევა საქართველო, ხოლო სასმელი წარმოშობილია გერმანიაში.

ბაჟი შეიძლება იყოს იმპორტული, რომელსაც ასევე შემოტანილ ბაჟს უწოდებენ. იმპორტული ბაჟი შეიძლება დაწესდეს, როგორც სახელმწიფოს საბაჟო ტერიტორიაზე გადაადგილებულ უცხოური წარმოების საქონელზე, ასევე ერთიან საბაჟო ტერიტორიაზე. საბაჟო ტერიტორია შეიძლება ემთხვეოდეს სახელმწიფო საზღვარს, ან განლაგებული იყოს სახელმწიფოს ტერიტორიის შიგნით. გადასახადი ასევე შეიძლება იყოს ექსპორტის, იგივე გასატანი გადასახადი, რომელიც ვრცელდება ეროვნული წარმოების საქონელზე, რაც ბუნებრივია ზრდის საქონლის ფასს საერთაშორისო ასპარეზზე, ეს კი თავის მხრივ ამცირებს საქონლის კონკურენტუნარიანობას სხვა საქონელთან მიმართებაში, სწორედ ამიტომ ქვეყნების უმრავლესობა უარს ამბობს ექსპორტის დროს ბაჟის დაწესებაზე. ტრანზიტული საბაჟო გადასახადი ვრცელდება იმ საქონელზე, რომელიც გადაადგილდება ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში და ტრანსპორტირების პროცესში იგი გაივლის ერთ ან რამდენიმე სახელმწიფოს ტერიტორიას. ფისკალური საბაჟო გადასახადი ვრცელდება ისეთ საქონელზე, რომელიც

---

<sup>128</sup> ევროკავშირის შექმნის შესახებ 1993 წლის 1 ნოემბრის ხელშეკრულება, ე.წ. “მაასტრიხტის ხელშეკრულება“, ხელმისაწვდომია: <https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%AE%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90> (მოძიებულია: 29.04.2023).

არ იწარმოება კონკრეტულ ტერიტორიაზე. ფისკალური გადასახადის შემოღება განაპირობა ახალმა გამოწვევებმა საერთაშორისო ბაზარზე, რაც მოითხოვს შემოსავლების შეგროვების ტრადიციული მეთოდების შეცვლას. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მსგავსად განვითარებადი ქვეყნები ამცირებენ ტარიფებს, რაც ნაკარნახებია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციებითა და მოთხოვნით. თუმცა განვითარებადი ქვეყნებისთვის თანდათან უფრო რთულდება აუნაზღაურონ ეკონომიკურად მზარდ სახელმწიფოებს გადასახადები, მაშინ როდესაც მათი შიდა და სატარიფო გადასახადები შეუსაბამოდ დაბალია. ფისკალური პოლიტიკა ეკონომიკურ სტაბილურობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს, მისი მიზანია მაქსიმალურად იყოს გამოყენებული ადამიანური რესურსები და ამით ეკონომიკური ზრდა კიდევ უფრო შესამჩნევი გახდეს. 2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისის<sup>129</sup> შემდეგ ფისკალური საბაჟო პოლიტიკის დანერგვა ითვალისწინებს ხარჯების გონივრულ მენეჯმენტს. იმპორტული საქონელი შესაძლოა შემცირებული ფასით იყოს შემოტანილი ქვეყნის საბაჟო ტერიტორიაზე. ასეთი საქონელი იბეგრება ანტიდემპინგური საბაჟო გადასახადით, რადგან ეროვნული წარმოება არ აღმოჩნდეს საფრთხის წინაშე. ანტიდემპინგური კანონმდებლობის არსებობა დამახასიათებელია დასავლური ქვეყნებისთვის, სადაც განვითარებულია ტექნოლოგიები, ხდება პროდუქციის წარმოება და მისი სხვა ქვეყნებში გატანა რეალიზაციის მიზნით. სამწუხაროდ საქართველოში ანტიდემპინგური კანონმდებლობა არ არსებობს, რაც განაპირობა მისმა სოციალურმა მდგომარეობამ. განვითარებად ქვეყნებში რთულია პროდუქტის წარმოება, რადგან ეს დიდ ფინანსურ რესურსებს საჭიროებს, თუმცა ანტიდემპინგური კანონის ამოქმედება მნიშვნელოვანია თითოეული განვითარებადი ქვეყნისთვის, თუნდაც ამან მცირედი დადებითი გავლენა მოახდინოს ადგილობრივი წარმოებაზე. ანტიდემპინგური გადასახადები უზრუნველყოფს ფასების რეგულირებას, სატარიფო შეღავათების დაწესებას, ადგილობრივი წარმოებისთვის ხელის შეწყობას. საქართველოსთვის მსგავსი საკანონმდებლო ცვლილებები

<sup>129</sup> ბაქრაძე გ., “2007-2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისი: მიზეზები და ინტერპრეტაციები“, „ეკონომიკა და საბანკო საქმე“, ტომი#2; 2014 წ; (მოძიებულია: 30.04.2023).

მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ასოცირების ხელშეკრულება სწორედ ანტიდემპინგურ გადასახადებს ანიჭებს დიდი უპირატესობას.

### **3.2 დამატებული ღირებულების გადასახადის არსი და მისი ადგილი ქართულ და ევროპულ საგადასახადო სისტემაში**

დამატებული ღირებულების გადასახადი, საგადასახადო სისტემაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გადასახადის სახეს წარმოადგენს. იგი რეგულირდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის VI კარით და საქართველოს ფინანსთა მინისტრის N 996 ბრძანების „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ კარი III. დღე არის დაბეგვრის მექანიზმი, იგი მსოფლიოს 137 სახელმწიფოში გვხვდება, თუმცა დღე-ს გადასახადი არ ვრცელდება ისეთ განვითარებულ ქვეყნებში, როგორცაა აშშ და იაპონია, სადაც მოქმედებს გადასახადი გაყიდვებიდან (3%-დან 15%-მდე). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოდ გახდომის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს საგადასახადო სისტემაში დღე-ს არსებობა. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისათვის დღე-ს სხვადასხვა განაკვეთებია დაწესებული, რაც გარკვეულ წინააღმდეგობაში მოდის ერთიანი სატარიფო სისტემის არსებობასთან, სწორედ ამიტომ ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის წევრი სახელმწიფოები ცდილობენ მიიღონ ერთიანი საგადასახადო განაკვეთი, რომელიც შექმნის ერთიან ევროპულ ბაზარს<sup>130</sup>. დღეს-დღეობით საქონლის/მომსახურების მიწოდებაზე, ასევე არა ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან საქონლის იმპორტზე, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები აწესებენ დამატებული ღირებულების გადასახადს, რომელიც მინიმუმ 15 %-ს შეადგენს. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები დღე-სთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებენ 2007 წლის 1-ი იანვრის დირექტივით.<sup>131</sup> შემოსავლების თვალსაზრისით

<sup>130</sup> ხარაზი ია, საქართველოს საგადასახადო სამართალი, გამომცემლობა „გეორგია“, თბილისი, 2015, 542. (მომიებულია: 30.04.2023).

<sup>131</sup> იხ., ხარაზი ია, საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, გამომცემლობა „გეორგია“, თბილისი 2020, 233; ასევე, ხარაზი ი; საგადასახადო სამართალი, საერთო- სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი

დღგ-ს სამუალო მაჩვენებელი ბიუჯეტში შეადგენს 14%, თუმცა ეს მაჩვენებელი სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია, მაგ. ნიდერლანდებში დღგ-თი მიღებული შემოსავალი შეადგენს 24%, რაც შეეხება საქართველოს, უნდა ითქვას რომ სახელმწიფო ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების ყველაზე დიდი წყაროს, სწორედ დღგ-საგან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს, იგი 45-55% მერყეობს.

დღგ-ს გადასახადს იხდის საბოლოო მომხმარებელი, რომელიც საბოლოოდ დებულობს საქონელს/მომსახურებას, რაც შეეხება საქონლის მიმწოდებელს მას ეკონომიკური ვალდებულება არ ეკისრება და იგი არ იხდის რაიმე სახის გადასახადს, მთლიანი ტვირთი გადასახადის გადახდის გადადის საბოლოო მომხმარებელზე, რომელსაც არ შეუძლია აანაზღაუროს მისი ხარჯი, რადგან საქონლის საბოლოო მყიდველი თავად არის, აქედან გამომდინარე დღგ-ს „მოხმარების გადასახადსაც“ უწოდებენ.

დღგ-ის სისტემის შექმნა მიზნად ისახავს, ბიზნეს მწარმოებელს წარმოების არც ერთ ეტაპზე არ დააწვეს დამატებითი ღირებულების გადასახადის ტვირთი, ასე შესაძლებლობას აძლევს, რომ მისი პროდუქტი და მისი საგადასახადო ვალდებულება განისაზღვროს დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე. მაშასადამე დამატებული ღირებულების გადასახადის ტვირთს მხოლოდ საბოლოო მომხმარებელი ატარებს<sup>132</sup>. პროფესორი **ბენ ტერა** აღნიშნავს, საბოლოო მომხმარებლის მიერ შეძენილი ზოგიერთი საქონელი მოიხმარება დაუყონებლივ, მაგალითად ერთი ჭიქა რძე ან სენდვიჩი, ხოლო ზოგიერთი საქონელი თავისი მახასიათებლებით იმგვარია, რომ მისი მოხმარების პროცესი განგრძობადია. საბოლოოდ, დამატებული ღირებულების გადასახადის მიზნებისთვის პროდუქტის საბოლოო ბედი ხშირ შემთხვევაში არა

---

გადასახადები, გამომცემლობა „გეორგიკა“, თბილისი, 2017; ასევე, ურიდია გონერ, საგადასახადო კოდექსის კომენტარები, თბილისი, 2011. (მოდირებულია: 30.04.2023).

<sup>132</sup> OECD VAT/GST Guidelines, 6.

რელევანტურია და არავის აინტერესებს რძეს დანიშნულებისამებრ მოიხმარენ თუ გაფუჭდება.. ( Terra B.J.M. & Kajus J. Introduction to European VAT (Recast))<sup>133</sup>

ყველა სახელმწიფოში დღგ-ს გადახდაზე დადგენილია სტანდარტული და დაბალი განაკვეთი, ან სტანდარტული, დაბალი და მაღალი განაკვეთი.<sup>134</sup> რაც შეეხება საქართველოს, აქ მხოლოდ სტანდარტულ განაკვეთს ვხვდებით, თუმცა ასევე გვხვდება დღგ-ს ნულოვანი განაკვეთიც (0%)<sup>135</sup>. ჯანმრთელობისა და განათლების სფეროში მომსახურების გაწევა გათავისუფლებულია დღგ-ს გადასახადის გადახდისგან, ასევე ყველა ის ოპერაცია, რომელიც ეროვნული სიმდიდრის ზრდას არ გამოიწვევს. სამამულო საქონლისთვის უკეთესი პირობების შესაქმნელად საქართველოში ექსპორტი იბეგრება ნულოვანი დაბეგვრის განაკვეთით, ხოლო უცხო ქვეყნიდან იმპორტირებულ საქონელზე კი დადგენილია შესაბამისი დაბეგვრის განაკვეთი. ეს გარემოება თავის მხრივ დადებითად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობაზე და ქმნის მყარ გარანტიებს იმისათვის რომ ეროვნული საქონელი არ მოექცეს საზღვარგარეთის საქონელთან შედარებით არასამართლიან პირობებში. დღგ-ს გადასახადი, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს, გადახდას ექვემდებარება ნებისმიერი შემდეგი ქმედების განხორციელებისას: სამუშაოს შესრულების, საქონლის მიწოდების, თუ მომსახურების გაწევის დროს <sup>136</sup>დღგ-ს ღირებულების გადასახადი, ისევე, როგორც აქციზი, იმპორტის გადასახადი, წარმოადგენს არაპირდაპირ გადასახადს, რომელსაც საქონლის/მომსახურების ფასზე დანამატის სახით იხდის მომხმარებელი<sup>137</sup>. დღგ-ს გადასახადს მრავალსაფეხურიან

---

<sup>133</sup> წყარო: ჩხაიძის გ., სადოქტორო დისერტაცია: „დასაბეგრი ოპერაციები ევროკავშირის დამატებული ღირებულების გადასახადის სამართალში და საქართველოს გამოწვევები“ თსუ, 2020, 25. (მოძიებულია: 30.04.2023).

<sup>134</sup> დაბალი განაკვეთით იბეგრება პირველადი მოხმარების საგნები, ხოლო მაღალი განაკვეთით- ფუფუნების საგნები.

<sup>135</sup> იხ., ხარაზი ია, საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, გამომცემლობა „გეორგიკა“, თბილისი 2020, 234-235, ასევე, ნადარაია, როგავა, რუხაძე, ბოლქვაძე, საგადასახადო კოდექსის კომენტარები, წიგნი II, მ. 156-310, ხელმისაწვდომია: [Tax Code Commentaries II.pdf \(tbsakrebulo.gov.ge\)](https://tbsakrebulo.gov.ge/Tax_Code_Commentaries_II.pdf) (მოძიებულია: 1.05.2023).

<sup>136</sup> ურიდია გონერ, რუხაია ფრიდონ, დღგ გამომცემლობა „ლევა“, თბილისი 2007, 9-10 (მოძიებულია: 2.05.2023).

<sup>137</sup> იხ., საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 8, მე-3 ნაწ, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717> (მოძიებულია: 2.05.2023).



გადასახადსაც უწოდებენ, რომელის გადახდაც სავალდებულოა საქონლის მიწოდების ან მომსახურების გაწევის ყველა სტადიაზე. საგადასახადო კანონმდებლობაში არაერთი ფუნდამენტური ცვლილება შევიდა დამატებული ღირებულების გადასახადის რეგულირებასთან დაკავშირებით. თუმცა ეს არც თუ ისე უჩვეულოა, რადგან საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ ხელშეკრულება მოიცავს მთელი საბაჟო და საგადასახადო სისტემის ჰარმონიზაციის პროცესს, ამის საფუძველზე საქართველო ვალდებულია ეროვნული საგადასახადო კანონმდებლობა დაუახლოვოს 2006 წლის 28 ნოემბრის საბჭოს 2006/112/ EC დირექტივას. კანონპროექტის შემუშავება განაპირობა ქართული საგადასახადო კანონმდებლობაში არსებული დებულებების კონკრეტიზაციის აუცილებლობამ, სხვადასხვა ხარვეზების აღმოფხვრისა და დაზუსტების საჭიროებამ, გადასახადის ადმინისტრირების გამარტივებამ. იმისათვის რომ საქართველომ ჯეროვნად შეასრულოს ასოცირების ხელშეკრულებით, მასზე ნაკისრი ვალდებულება, აუცილებელია საქართველოს საგადასახადო კოდექსში გარკვეული საკანონმდებლო ცვლილებების შეტანა, რომელიც უფრო ზუსტ, ლაკონურ და გასაგებს გახდის, როგორც მთელს საგადასახადო სისტემას, აგრეთვე დამატებული ღირებულების გადასახადის(დღგ) საერთო სისტემას.

აღსანიშნავია, რომ დამატებული ღირებულების გადასახადით იბეგრება არა ბიზნესი, არამედ საბოლოო მომხმარებელი. ამასთან, საქართველოს საგადასახადო კოდექსში აღნიშნული საკითხი მეტად ბუნდოვანია და ვერ სცემს პასუხს ამ საკითხთან დაკავშირებით არსებულ შეკითხვებს. დღეს მოქმედი რედაქციით აღნიშნული საკითხი პასუხგაუცემელი რჩება, რაც კანონის ხარვეზზე მიუთითებს, რადგან ნებისმიერ შემთხვევაში განჭვრეტადობა კანონმდებლობისთვის აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენს, მნიშვნელოვანია კონკრეტული ნორმა იმგვარად იყოს შეთავაზებული, რომ შესაძლებელი იყოს სამომავლო შედეგის დანახვა.

დამატებული ღირებულების გადასახადის მოდელის ანალიზის მიზნით მოვიყვან პრაქტიკულ მაგალითს: პირი, რომელიც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას (საქართველოს

საგადასახადო კოდექსის მე-9 მუხლის შესაბამისად) და ამ საქმიანობის ფარგლებში აწარმოებს აქციზურ საქონელს, რომელიც იბეგრება აქციზით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-7კარი), ასეთი საქონლის მიწოდებამდე (სასყიდლით ან უსასყიდლოდ) ვალდებულია დარეგისტრირდეს დღგ-ს გადამხდელად. შპს „M“ საქართველოს ტერიტორიაზე აწარმოებს ყურძნის სპირტს, რომელიც ითვალისწინებს ყურძნის სპირტის დაყენებას სულ ცოტა 3 წლით მუხის კასრებში. შპს „M“ სხვა ეკონომიკურ საქმიანობას არ ეწევა და არ არის დღგ-ს გადამხდელი<sup>138</sup>, თუმცა იგი ვალდებულია დარეგისტრირდეს დღგ-ს გადამხდელად, წინააღმდეგ შემთხვევაში მას დაეკისრება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 282-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა<sup>139</sup>, კერძოდ დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის გარეშე იგი დაჯარიმდება. პირი, რომელიც საქართველოში ახორციელებს აქციზური საქონლის იმპორტს, ვალდებულია დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციისთვის, აქციზური საქონლის მიწოდებამდე მიმართოს საგადასახადო ორგანოს. რეგისტრაციის ვალდებულება არ წარმოიშობა იმ შემთხვევაში, როდესაც აქციზური საქონლის იმპორტი საქართველოში განთავისუფლებულია დღგ-ს გადასახადისაგან.

ევროკავშირი ჰარმონიზაციის პროცესში მიზნად ისახავს საგადასახადო საზღვრების გაუქმებას, რათა მის წევრ სახელმწიფოებს შორის საერთაშორისო ვაჭრობა განხორციელდეს თანაბარ კონკურენტულ პირობებში. ამისათვის ევროკავშირმა განახორციელა სხვადასხვა ღონისძიებები, ინტეგრაციული პროცესები, საგადასახადო სისტემის სრულყოფაში მოყვანა საერთაშორისო დონეზე, დღგ-სა და აქციზის ჰარმონიზაცია. ევროკავშირის ქვეყნებში ხორციელდება სხვადასხვა ტრანზაქციები, თანამეგობრობის შიდა ოპერაციები, მომსახურება, შესყიდვები. განბაჟების პროცედურის შემდგომ დღგ-ს იხდის ის სახელმწიფო, რომელიც საბოლოოდ იღებს

---

<sup>138</sup> იხ., შემოსავლების სამსახურის მიერ 157-ე მუხლის კომენტარი დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციაზე,

ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1630019?publication=0> (მომიებულია: 3.05.2023).

<sup>139</sup> დღგ-ისათვის გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717?publication=198> (მომიებულია: 4.05.2023).

საქონელს/მომსახურებას. ამისათვის პირი ავსებს SAD დოკუმენტს<sup>140</sup>, სადაც უთითებს ინფორმაციას საქონლის შესახებ, მაგ. ღირებულებას, წონას, დანიშნულებას და ა.შ. დღეს გადასახადი ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში განსხვავდება ერთმანეთისგან<sup>141</sup>. უნგრეთის მთავრობამ დღეს 25%-იანი განაკვეთი გაზარდა 27%-მდე. ეს ცვლილება უნგრეთის მთავრობამ შემოსავლების გაზრდის მიზნით განახორციელა, რაც საგრძნობლად აისახა დღეს შემოსავლების მაჩვენებელზე, კერძოდ 300 მილიონიდან 450 მილიონამდე გაიზარდა შემოსავლები. გერმანიაში საგადასახადო გადანაწილების განსხვავებული მოდელი არსებობს. მდიდარ რეგიონებს შეთავსებული აქვთ დონორის ფუნქცია, რაც გულისხმობს შედარებით უფრო ღარიბი რეგიონებისთვის ფინანსური დახმარების გაწევას, რათა მოხდეს ე.წ „ფინანსური გათანაბრება“. თუმცა დამატებითი ღირებულების გადასახადი საბოლოოდ მომხმარებელმა უნდა გადაიხადოს, რადგან დღეს გადასახადი საქონლის ან მომსახურების საბოლოო ღირებულებაზე აისახება<sup>142</sup>. საფრანგეთის საგადასახადო შემოსავალს ძირითადად საწარმოდან მიღებული შემოსავლები, აქციზები, ტურისტული მოსაკრებლები, დღეს გადასახადი, ბაჟი ნავთობპროდუქტებზე, მიწის გადასახადები, ადგილობრივი გადასახადები და სხვა შეადგენს. დღეს შემოსავალი საფრანგეთში საგადასახადო შემოსავლების 45%-ს შეადგენს<sup>143</sup>, რომელიც 4 სახეობით არის წარმოდგენილი: ნორმალური განაკვეთი, საბოლოო განაკვეთი ფუფუნების საგნებზე, კულტურული დანიშნულების საგნებზე შემცირებული განაკვეთი და პირველადი აუცილებლობის საქონელსა და მომსახურებაზე. იაპონიაში სამეწარმეო საქმიანობისას მკვეთრად განისაზღვრება ყველა ის ელემენტი, რომელიც მწარმოებელს არ აძლევს შესაძლებლობას შეუზღუდავად გამოიყენოს წარმოებისას საწარმოს ფინანსური რესურსი. იაპონიაში, დღეს მსგავსი

---

<sup>140</sup> SAD დოკუმენტი- საბაჟო ადმინისტრაციული დოკუმენტი.

<sup>141</sup> იხ., „დღეს ევროკავშირში“, ხელმისაწვდომია: <http://vatineu.blogspot.com/2013/11/blog-post.html>

<sup>142</sup> იხ., ხარაზი ია, საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, გამომცემლობა „გეორგიკა“, თბილისი, 2020, 402-403. (მოძიებულია: 6.05.2023).

<sup>143</sup> იხ., სამსონიძე ვეფხია, საგადასახადო სისტემა საფრანგეთში, #12(72), 2005. ხელმისაწვდომია: <http://aaf.ge/index.php?menu=1&jurn=0&rubr=0&mas=2128> ; გარდაფხაძე ქ., ხარაზი ი., „საქართველოს საგადასახადო კოდექსის სპეციალური დებულებების სამართლებრივი ასპექტები“, „მართლმსაჯულება და კანონი“, #2(33), 2012, გვ. 93-105. (მოძიებულია: 7.05.2023).

ირიბი სამომხმარებლო გადასახადით იბეგრება ნებისმიერი საქონელი, რომლის რეალიზაციასაც ახდენს პირი, ან ნებისმიერი მომსახურების გაწევა. ამ გადასახადის გადახდა ხორციელდება საქონლის რეალიზების ან მომსახურების გაწევის ნებისმიერ სტადიაზე და იბეგრება დღგ-ს გადასახადით. რაც შეეხება ესპანეთს, დღგ-ს გადამხდელია ნებისმიერი საწარმო, უცხოური კომპანია, მომსახურების გამწვევი პირები ან საქონლის რეალიზატორები. ესპანეთში დღგ-ს სტანდარტული 16%-იანი განაკვეთი ვრცელდება, საქონლის/მომსახურების ექსპორტი ნულოვანი განაკვეთით იბეგრება, კვების პროდუქტები, ტურიზმი, მშენებლობა, ტრანსპორტი-7%-ით, ხოლო პირველადი მოხმარების საქონელი 4%-ით.

ევროპის სახელმწიფოებში დღგ-ს შემოღებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ევროპული საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბებას და გამართულ ფუნქციონირებას. ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის საგადასახადო და საფინანსო კომიტეტის მიერ მიღებულმა რეკომენდაციამ, რომ ევროპის წევრი სახელმწიფოები გადასულიყვნენ დღგ-ზე, დიდი გადატრიალება მოახდინა მთელს ევროპულ საგადასახადო სისტემაში, მიღებულ იქნა ინოვაციური სისტემა, რომელმაც შესაძლებელი გახდა ზუსტად და სწრაფად განხორციელებულიყო საგადასახადო ოპერაციები, სრულყოფილი ტექნიკისა და აწყობილი დოკუმენტ ბრუნვის სისტემის გამოყენებით. დღგ-ს შემოსავლები განსხვავდება სხვა გადასახადებით მიღებული შემოსავლებისგან, შეიძლება ითქვას, რომ საგადასახადო შემოსავლების დიდი წილი სწორედ დღგ-ს გადასახადებიდან შედის სახელმწიფო ბიუჯეტში<sup>144</sup>.

დღგ ევროკავშირში. „ევროკავშირის შექმნის შესახებ 1993 წლის 1 ნოემბრის ხელშეკრულების შესაბამისად, (ე.წ. „მაასტრიხტის ხელშეკრულება“) ევროკავშირში არაპირდაპირი გადასახადების ჰარმონიზაციის ძირითად ამოცანად იქცა თანამეგობრობის შიგნით, ფისკალური საზღვრების გაუქმება და დღგ-ის განაკვეთების შემცირება. 1993 წლის იანვრიდან შემოღებულ იქნა მინიმალური სტანდარტული განაკვეთი დღგ-ის გადახდისა, რომელიც შეადგენს 15%. გარდა ამისა, რიგ ქვეყნებში,

---

<sup>144</sup> იხ., სვანაძე ს; დასახული ნაშრომი, 231. (მოძიებულია: 7.05.2023).

გამოიყენება გადიდებული და შემცირებული განაკვეთები. ევროკავშირის ქვეყნებში დღე თამაშობს მნიშვნელოვან როლს, ვინაიდან ის ხელს უწყობს კავშირის ერთ-ერთი უმთავრესი მიზნის რეალიზებას: კავშირის ფარგლებში საქონლის, მომსახურების, კაპიტალის თავისუფალი გადაადგილებას უზრუნველყოფას. ევროკავშირის ქვეყნებში დღე-თი დასაბეგრი ოპერაციებია: დასაბეგრი პირის მიერ საქონლის მიწოდება კომერციული მიზნებისათვის წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე., მომსახურების მიწოდება., თანამეგობრობის შიდა ოპერაციები. მოვაჭრეებს შორის შესყიდვები, რომლებიც ცხოვრობენ სხვადასხვა წევრ სახელმწიფოებში და ეს ოპერაციები არ განიხილება ექსპორტად ან იმპორტად, თუმცა ის წარმოადგენს ევროკავშირის შიგნით განხორციელებულ ტრანზაქციებს. დღე-ს დაკისრება ხდება მას შემდეგ, როდესაც განბაჟების პროცედურები ჩატარდება, რათა შემდგომ პროდუქცია გამოვიდეს მიმოქცევაში. მაგრამ, როდესაც ერთი წევრი სახელმწიფოდან იმპორტირებული საქონელი განკუთვნილია სხვა სახელმწიფოსათვის , ის შეიძლება განთავისუფლდეს დღე-ისგან . ანუ ამ შემთხვევაში, დღე-ს იხდის ის ქვეყანა, რომლისთვისაცაა საბოლოოდ საქონელი განკუთვნილი. ამასთან, დასაბეგრმა პირებმა უნდა შეავსონ და საბაჟოს წარუდგინონ საბაჟო დოკუმენტი- SAD- (ერთი ადმინისტრაციული დოკუმენტი) ,რომელიც უნდა შეიცავდეს ინფორმაციას საქონლის ღირებულების, ადგილის, ტვირთის მიღების დროის, დანიშნულების, ფასის, წონისა და სხვათა შესახებ<sup>145</sup>.

ევროკავშირის დღეს-დღეობით მოქმედი კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს დღე-ს-თან დაკავშირებულ საკითხებს მიღებულ იქნა 2006 წლის 28 ნოემბრის დირექტივის საფუძველზე. ეს დირექტივა ფოკუსირებულია, წევრი სახელმწიფოების შიდა კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციით, რომელიც მიიღწევა დღე-ს საერთო სტრუქტურის დადგენით. მასში წარმოდგენილია დღე-ს დაკისრების საფუძვლები და განაკვეთების დადგენის წესები. დირექტივა ადგენს ზოგად ჩარჩოს, რომლის შესრულებაც ქვეყნებს შორის უფრო მჭიდრო ურთიერთობებს უზრუნველყოფს.

---

<sup>145</sup>იხ., ხარაზი ი., საგადასახადო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, მეორე ნაწილი, მეორე გამომუშავებული გამოცემა, გამომცემლობა „გეორგია“, თბილისი, 2020, 457-458.

ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში დღე-თი დაბეგვრა 1960 წლიდან დაიწყო, რომელიც წლების განმავლობაში შემოსავლების მიღების მნიშვნელოვან და ძირითად წყაროდ იქცა, 2009 წლისთვის მან 784 მილიარდი ევრო შეადგინა, რაც მშპ-ს 17.3%-ია.

დღე-ს წილი ევროკავშირის ბიუჯეტში შემდეგნაირად გამოიყურება:

-11% დღე-ზე დაფუძნებული რესურსები.,

-მთლიანი ეროვნული შემოსავალი (GNI<sup>146</sup>) 73%. მთლიანი ეროვნული შემოსავალი (GNI) შედგება: პირადი მოხმარების ხარჯებისაგან, საერთო კერძო ინვესტიციით, მთავრობის მოხმარებაზე გაწეული ხარჯების, აქტივების სუფთა შემოსავალი საზღვარგარეთიდან და ექსპორტირებული საქონლისა და მომსახურებისაგან მიღებული შემოსავლებისაგან, რომელიც შედგება ორი კომპონენტისაგან: ექსპორტირებული საქონელი და მომსახურება ასევე ბიზნესის არაპირდაპირი გადასახადები.

-1% სხვა შემოსავლები.

-15% საბაჟო გადასახადები.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო პრაქტიკას თუ გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ დამატებული ღირებულების გადასახადი არის მოხმარების გადასახადი. თუმცა დამატებული ღირებულების გადასახადის შემთხვევაში პრობლემურია ის ფაქტი, რომ უშუალოდ მოხმარების ეტაპზე გადასახადის დარიცხვა პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან მრავალი ტიპის საქონელზე ან მომსახურებაზე მოხმარება განგრძობადი პროცესია<sup>147</sup>. უშუალოდ მოხმარების ფაქტი არ არის გადასახადის დაბეგვრის მომენტი, შესაბამისად საგადასახადო მიზნებისთვის გადასახადის დარიცხვა, მისი გადახდა არ ხდება უშუალოდ მოხმარების ეტაპზე. აუცილებელია, რომ დამატებული ღირებულების გადასახადის შემთხვევაში

---

<sup>146</sup> GNI- Gross National Income

<sup>147</sup> იხ., ჩხაიძე გიორგი, „დასაბეგრი ოპერაციები ევროკავშირის დამატებული ღირებულების გადასახადის სამართალში და საქართველოს გამოწვევები“, დისერტაცია, თსუ, 2020, 28. (მომიებულია: 8.05.2023).

გადასახადის ამოღების მომენტი უნდა იყოს არა უშუალოდ მოხმარების მომენტი, არამედ სხვა წერტილი დროში, რაც გადასახადის ამოღებას ეფექტურს გახდის<sup>148</sup>.

ევროკავშირის დამატებული ღირებულების გადასახადის სისტემა მიზნად ისახავს დაბეგროს საბოლოო მომხმარებლის მიერ გადასახადის გადამხდელისგან მიწოდებული საქონლის გამოყენება ან მომსახურების მიღება. მხოლოდ დასაბეგრი ოპერაციის საბოლოო მომხმარებლის მიერ აღნიშნული უფლების მიღება წარმოშობს დღგ-ს გადასახადის გადახდის ვალდებულებას<sup>149</sup>.

სასამართლო პრაქტიკა: ზედმეტად გადახდილი დღგ-ის თანხის უკან დაბრუნება<sup>150</sup>. დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა. სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები: თბილისის რეგიონალური ცენტრის მიერ შპს <<...>> უარი ეთქვა მის მიერ წარდგენილ გადასახადის გადამხდელის მოთხოვნაში დასმული საკითხების დაკმაყოფილებაზე, მათ შორის ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნებაზე. შპს-მ გაასაჩივრა თბილისის რეგიონალური ცენტრის მითითებული წერილი გაასაჩივრა შემოსავლების სამსახურში. ასევე შემოსავლების სამსახურის მიერ შპს <<...>> უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე. შპს-მ თბილისის რეგიონული ცენტრის და შემოსავლების სამსახურის ბრძანება გაასაჩივრა დავების განხილვის საბჭოში, რომლის საფუძველზეც საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება შეჩერებულიყო დავის განხილვა და შემოსავლების სამსახურს დაევალა წარმოედგინა დასკვნები, რომლითაც დასტურდებოდა შპს-ს მოთხოვნის შესრულებაზე უარის თქმის საფუძველი. შემოსავლების სამსახურმა განმარტა, რომ კომერციული ბანკებისთვის პრობლემური სესხის ამოსაღებად, დავალიანების ინკასაციასთან ერთად აუცილებელია რისკის გარანტიების

---

<sup>148</sup> იხ., Jasmin Kollmann, Taxable Supplies and Their Consideration in European Vat: with selected examples of digital economy, 35. ხელმისაწვდომია: <https://www.torrossa.com/it/resources/an/5319121> (მოძიებულია: 9.05.2023).

<sup>149</sup> Influence of Different Purposes of Value Added Tax and Personal Income Tax on an effective and efficient use of tax incentives. Taking Tax incentives for the arts and culture as an example in Lang; Value added tax and Direct taxation (IBFD 2009), 37. ხელმისაწვდომია: [https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1959993](https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1959993) (მოძიებულია: 8.05.2023).

<sup>150</sup> იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, ზედმეტად გადახდილი დღგ-ს თანხის უკან დაბრუნება, ხელმისაწვდომია: <https://www.supremecourt.ge/> (მოძიებულია: 9.05.2023).



უზრუნველყოფა, კაპიტალის დაკრედიტდება და სხვა. საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა განმარტებები, შეისწავლა საკასაციო საჩივრის მოტივები, გაანალიზა და მივიდა შემდეგ დასკვნამდე: არ დააკმაყოფილოს სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი.

საკასაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება, რომლის მიერაც სწორად იქნა მატერიალური და საპროცესო ნორმები გამოყენებული.

პრაქტიკაში არც თუ ისე იშვიათია საგადასახადო კანონმდებლობის ნორმების არასწორი ინტერპრეტაციები და შესაბამისად არასწორი გადაწყვეტილებების მიღება. გ. ჩხაიძე მის მოსაზრებაში აღნიშნავს, რომ: „იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს საერთო სასამართლოები თავიანთ გადაწყვეტილებებში ნაკლებ ყურადღებას უთმობენ უშუალოდ იმაზე მსჯელობას, თუ რომელი განმარტების მეთოდს იყენებენ ნორმის შეფასებისას, აღნიშნულმა შესაძლებელია წარმოშვას გარკვეული ბუნდოვანებები, შესაბამისად ასევე მნიშვნელოვანია, რომ საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომელიც დაკავშირებული იქნება ახალი დამატებული ღირებულების გადასახადის თავთან, ამგვარადაც იყოს დასაბუთებული, იქიდან გამომდინარე, რომ ამგვარი დასაბუთების შედეგად დადგენილი სასამართლო ხელს შეუწყობს ლოგიკური მოლოდინის განვითარებას, როგორც გადასახადის გადამხდელებისთვის, ასევე საგადასახადო ორგანოებისათვის“<sup>151</sup>.

### 3.3 აქციზით დაბეგვრა და მისი სამართლებრივი თავისებურებანი

ეკონომიკური გადასახადები სახელმწიფოს არსებობისა და ფუნქციონირების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. გადასახადები თავის მხრივ ორ ჯგუფად შეიძლება დავყოთ: პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებად. არაპირდაპირ

---

<sup>151</sup> ჩხაიძე გიორგი, „დასაბეგრი ოპერაციები ევროკავშირის დამატებული ღირებულების გადასახადის სამართალში და საქართველოს გამოწვევები“, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2020, თსუ. ხელმისაწვდომია: [განსახილველად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომები - Georgian Technical University \(gtu.ge\)](http://gtu.ge)

გადასახადებს მიეკუთვნება ის გადასახადები, რომლის შემოღებაც სახელმწიფო მოთხოვნილებების ზრდითა და კაპიტალისტური ურთიერთობების წარმოქმნით არის ნაკარნახები. აქციზი არაპირდაპირი გადასახადია, რომლის საბოლოო გადამხდელია პირი, რომელიც მოიხმარს აქციზურ საქონელს. სახელმწიფო ბიუჯეტში თანხა მწარმოებელს შეაქვს, რომელიც აქციზურ საქონელზე ადებს შესაბამის ფასს, რომლითაც აქციზს აკისრებს საბოლოო მომხმარებელს<sup>152</sup>.

აქციზით დაბეგვრის ობიექტია საქონელი, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც აქციზით იბეგრება მომსახურებაც, მაგ. იაპონიაში აქციზით იბეგრება სასტუმრო მომსახურება. სახელმწიფოები აქციზით დასაბეგრ ობიექტს სხვადასხვა ნიშნების მიხედვით ირჩევენ. მაგ. მავნე საქონელი, ფუფუნების საგნები, ფართო მოხმარების საქონელი და ა.შ. საქართველოში აქციზი წარმოადგენს იმ ერთადერთ გადასახადის სახეს, რომლის განაკვეთის ზრდა მთავრობას შეუძლია რეფერენდუმის ჩატარების გარეშე. აქციზის გადასახადის განაკვეთი სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავება ერთმანეთისგან, გამონაკლისს არც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები წარმოადგენენ. საქართველოში აქციზის დანერგვით საგადასახადო შემოსავლები საგრძნობლად გაიზარდა. თვალსაჩინოებისთვის, 2013 წლიდან აქციზის განაკვეთი გაიზარდა ფილტრიან და უფილტრო სიგარეტებზე, რაც განაპირობა ასოცირების შესახებ ხელშეკრულებაზე საქართველოს მიერ ხელის მოწერამ. შეთანხმების თანახმად ხელმომწერი სახელმწიფოები ვალდებული არიან თავიდან აიცილონ აქციზურ საქონელთან დაკავშირებული ნებისმიერი თაღლითობა თუ კონტრაბანდა, ასევე საქართველო ვალდებულია ეტაპობრივად დაუახლოვდეს თამბაქოს პროდუქციაზე ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში არსებულ აქციზის ტარიფს. სიგარეტზე აქციზური გადასახადის ზრდა ნაკარნახებია ევროკავშირის 2011/64/EU დირექტივით, რომელიც

---

<sup>152</sup> იხ., სვანაძე ს; “აქციზით დაბეგვრის ზოგიერთი თავისებურებანი“, ხელმისაწვდომია: <https://www.nplg.gov.ge/geo/home> (მოძიებულია 10.05.2023)

საქართველოს აკისრებს საერთაშორისო ვალდებულებას სიგარეტის საშუალო ფასი გაზარდოს არანაკლებ 60%-ით<sup>153</sup>.

მოგების გადასახადის „ესტონური მოდელი“<sup>154</sup>, რომელიც საქართველოში 2017 წლიდან დაინერგა მოგებას განსაზღვრავს განაწილებული მოგების, ე.წ დივიდენდების და გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრამდე, საწარმოები მიუხედავად იმისა ჰქონდათ თუ არა ეკონომიკური სარგებელი-მოგება, მათი დივიდენდები მაინც იბეგრებოდა. ეს თავის მხრივ აფერხებდა და აბრკოლებდა წარმოების განვითარებას თუ გაფართოებას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გადახალისებას, მუშა ხელის მოზიდვას. ესტონურმა მოდელმა შემოიტანა საგადასახადო ნოვაცია დაბეგვრაში, რომლის თანახმად პარტნიორი (პარტნიორები) მოგებას „შინ“ არ წაიღებდნენ და ამ თანხის რეინვესტირებას საწარმოში მოახდენდნენ. ამის საფუძველზე საწარმოები ნებისმიერ შემთხვევაში აღარ დაიბეგრებოდნენ, გაუნაწილებელი მოგება კი დივიდენდად აღარ ჩაითვლებოდა. საინტერესოა რამდენად დადებითად იმოქმედა ამ ცვლილებამ საქართველოში, რომლის მთავარ მიზანს წარმოების განვითარება და მუშა ხელის დასაქმება წარმოადგენდა. თუმცა ამ ცვლილებით სახელმწიფო ბიუჯეტს დაახლოებით 85 მილიონი ლარი დააკლდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტში, რაც უნდა შევსებულიყო სხვა რამ ფულადი შენატანებით. სწორედ ამიტომ აქციზის განაკვეთი გაიზარდა ლუდზე, შემდგომ კი ფილტრიან და უფილტრო სიგარეტზე. ამ ცვლილებამ უარყოფითად იმოქმედა ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რადგან დაიწყო უაქციზო სიგარეტის შემოდინება ქვეყანაში. სიგარეტზე აქციზის ზრდისას გასათვალისწინებელია მთელი რიგი ფაქტორები, მათ შორის მეზობელი სახელმწიფოების ეკონომიკური პოლიტიკა მსგავს საკითხთან დაკავშირებით. ესტონეთში „ესტონური მოდელი“ გამართულად ფუნქციონირებს, რაც განპიროვნებულია სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს არსებობით.

---

<sup>153</sup> იხ., თამბაქოზე აქციზური გადასახადი გაიზარდა, 02.02.2017, ხელმისაწვდომია: <https://www.bm.ge/ka/article/tabaqoze-aqcizuri-gadasaxadi-gaizarda/8481> (მოძიებულია: 10.05.2023).

<sup>154</sup> იხ., „ესტონური მოდელის“ ქართული პერსპექტივები, ხელმისაწვდომია: <http://www.eugeorgia.info/ka/article/541/estonuri-modelis-qartuli-perspeqtivebi/> (მოძიებულია: 10.05.2023).

საქართველოში მოგების გადასახადის შემცირებით თითქმის შეუძლებელია უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, რეინვესტირების გაზრდა. ეროვნული ვალუტის არასტაბილური ბუნება და პროტექციონისტული ტენდენციები ნაკლებად მისაღებია უცხოელი ინვესტორებისთვის თუ ადგილობრივი ბიზნესექტორის წარმომადგენლებისთვის, რადგან „ესტონური მოდელის“ წარმატებული ფუნქციონირება დამოკიდებულია იმ გარემო პირობებზე, რომლებიც ისედაც აუცილებელია ეკონომიკური განვითარებისთვის.

მსოფლიოში არსებობს გავრცელებული პრაქტიკა, რომელიც ითვალისწინებს საქონლის კონკრეტულ ნომენკლატურაზე გადასახადების გაუქმებას, რაც ხელს უწყობს იმპორტის განვითარებას. ამასთან დაკავშირებით სახელმწიფოებს შორის იდება ხელშეკრულებები, თავისუფალი ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით, ხოლო განვითარებად ქვეყნებში მოქმედებს პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა, ე.წ. GSP (GSP+)<sup>155</sup>. შეთანხმებები ეხება საქონლის კონკრეტულ ნომენკლატურაზე გარკვეული შეღავათების დაწესებას.

საქართველოში აქციზური გადასახადის უპირობო ზრდა შემდეგი ფაქტორით არის განპიროვნებული: „დაუშვებელია რეფერენდუმის საგანი იყოს გადასახადის პროგრესულობის პრინციპი ან მეთოდოლოგია/საგადასახადო რეჟიმი“<sup>156</sup>. ასევე „საქართველოს ორგანული კანონი ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ კრძალავს ნებისმიერი გადასახადის ზრდას (გარდა აქციზისა) რეფერენდუმის ჩატარების გარეშე. ამ შემთხვევაში ხალხს აქვს პრეროგატივა თავად გადაწყვიტოს ამა თუ იმ გადასახადის გაზრდასთან დაკავშირებული საკითხი. თუმცა სახელმწიფოს გამონაკლისის სახით რჩება შესაძლებლობა შეცვალოს აქციზის გადასახადი, რაც გამოიხატება მის უპირობო ზრდაში, ამით კი დადებითი ზეგავლენა მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. აქციზური საქონელი, რომელიც პირობითად არის ავტომობილი,

<sup>155</sup> GSP სისტემით საქართველო სარგებლობს კანადასთან, აშშ-სთან, შვეიცარიასთან, იაპონიასთან და ნორვეგიასთან. ევროკავშირთან სარგებლობს - EU GSP+ ბენეფიციებით, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ექსპორტის განვითარებას.

<sup>156</sup> იხ., საქართველოს ორგანული კანონი „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ 1-ლი მუხლის მე-5 პუნ. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1405264?publication=3> (მოძიებულია: 11.05.2023).

საწვავი ან სიგარეტი, მომხმარებლისთვის აუცილებელ მოხმარების საგანს წარმოადგენს, რის გამოც აქციზურ საქონელზე გადასახადის გაზრდა არ ამცირებს იმპორტის რაოდენობას და მას მომხმარებელი მაინც იხდის. სახელმწიფო მიიჩნევს, რომ აქციზის გადასახადის ზრდა ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვან პროცესს წარმოადგენს, რასაც უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, ლარის კურსის სტაბილურობა<sup>157</sup>, თუმცა ფაქტია, რომ საწვავზე, ავტომობილებზე და სიგარეტზე აქციზის გადასახადის ზრდამ საგრძნობლად გააძვირა საქართველოში ცხოვრება. მაგ. ფილტიან და უფილტრო სიგარეტზე აქციზის განაკვეთის ზრდის შედეგად, თუთუნის ნედლეულის მოხმარება გაიზარდა, რადგან იგი უფრო დაბალ ბიუჯეტურ პროდუქტს წარმოადგენს, ამის საფუძველზე საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც თუთუნის ნედლეულზე აქციზის გაზრდილი განაკვეთი ამოქმედდა<sup>158</sup>.

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით, საქართველომ იკისრა ვალდებულება, ალკოჰოლისა და ალკოჰოლური სასმელის აქციზური გადასახადის განაკვეთის ჰარმონიზაცია მოეხდინა მსგავსად ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისა. ამასთან დაკავშირებით, ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ საქართველომ ჯეროვნად შეასრულა დირექტივით ნაკისრი ვალდებულება, რაც გამოიხატა საქართველოში ალკოჰოლსა და ალკოჰოლურ სასმელებზე ევროკავშირის დირექტივით განსაზღვრული სანქციის გავრცელებით. 2015 წლიდან გაიზარდა ლუდზე აქციზი, რომლის შედეგადაც 100 ლუდზე აქციზი შეადგენს 18,5 ევროს. ამ მაჩვენებლით საქართველო, არათუ გაუტოლდა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების აქციზის გადასახადის განაკვეთს, არამედ რამდენიმე სახელმწიფოს გადაუსწრო კიდევ, მათ შორის გერმანიასა და ჩეხეთს.

საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებობს სხვადასხვა სახის შემოსავალი, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების წყაროს წარმოადგენს, მათ შორისაა არაპირდაპირი

---

<sup>157</sup> იხ., ნამჩავაძე ბესო, „გადასახადის ზრდის ნამდვილი მიზეზი, 6 იანვარი, 2017, ხელმისაწვდომია: <https://forbes.ge/gadasakhadis-zrdis-namdvi/> (მოძიებულია: 12.05.2023).

<sup>158</sup> იხ., ხარაზი ია, საგადასახადო სამართალი, ნაწილი მეორე, გამომცემლობა „გეორგიკა“, თბილისი 2020, 411.; ასევე, ია ხარაზი, „აქციზის სამართლებრივი რეგლამენტაციის ზოგიერთი საკითხის შესახებ, (შედარებით- სამართლებრივი კვლევა)“, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „დიპლომატია და სამართალი“, #5(6) 2019; გვ. 41-54. (მოძიებულია: 13.05.2023).

გადასახადები (დღგ, აქციზი და სხვ.) სახელმწიფო შემოსავლების სტრუქტურაში აქციზს მნიშვნელოვანი როლი აკისრია და იგი საგადასახადო სისტემას ფინანსური რესურსების დიდ წილს ფლობს. მაგ. საფრანგეთსა და გერმანიაში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის 50% აქციზური გადასახადებიდან შედის, იაპონიაში-16%, დიდ ბრიტანეთში-40%. აქციზური გადასახადის მაღალი ფინანსური დანიშნულება განპიროვნებულია იმ გარემოებით, რომ იგი ვრცელდება ხშირი მოხმარების საგნებზე.

აქციზური გადასახადი იაპონიაში განსხვავდება აშშ-სა და ევროპის სახელმწიფოების აქციზურ გადასახადის მოდელისგან და იგი გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. თუ აშშ-ში ალკოჰოლსა და თამბაქოს ნაწარმზე აქციზური გადასახადის დაწესება მიზნად ისახავს მის მოხმარებაზე კონტროლის დაწესებას, იაპონიაში დამატებითი საგადასახადო დაბეგვრის უმთავრესი მიზანი, მათ შორის აქციზური გადასახადის, შემოსავლების მიღებაა.

გერმანიაში, აქციზით დაბეგვრის ობიექტია ალაოსგან დამზადებული ლუდი და ლუდის შენარევეები უალკოჰოლო სასმელთან. აქციზის გადასახადის განაკვეთი ერთ ჰექტოლიტრზე 1,54 ევროა ყოველ გრადუსზე. მნიშვნელოვანია ალაოს შემცველობა ლუდში, რომელიც განსაზღვრავს გადასახადის რაოდენობას.

ფინეთში აქციზური გადასახადით იბეგრება: შაქარი, ზეთები, სასუქი, ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელები, ელექტროენერგია, თხევადი საწვავი და ა.შ. ფინეთში დამკვიდრებული სახელმწიფო მონოპოლია საქონლის რეალიზაციაზე, როგორცაა თამბაქოს ნაწარმი და ალკოჰოლური სასმელი, ასევე სხვა კატეგორიის საქონელი მაგ. მსუბუქი ავტომობილები განსაზღვრავენ აქციზის გადასახადის სიდიდეს, რაც ფინეთში საკმაოდ მაღალია. ევროპაში ყველაზე დიდი გადასახადით სწორედ ფინეთი გამოირჩევა ალკოჰოლურ სასმელებზე, რომლის შექმნაც მომხმარებელს მხოლოდ სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად მაღაზიებში შეუძლიათ<sup>159</sup>

ბელორუსიაში სააქციზო გადასახადი ვრცელდება მაღალ რენტაბელურ და მონოპოლიურ საქონელზე. აქციზურ გადასახადს იხდის მწარმოებელი, რომელიც არ

---

<sup>159</sup> იხ., ხარაზი ია, საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, თბილისი 2020, გამომცემლობა „გეორგია“, 473. (მოძიებულია: 14.03.2023).



სარგებლობს შეღავათებით. თუ მწარმოებელმა არ გადაიხადა აქციზური გადასახადი მას იხდის გამყიდველი. აქციზური გადასახადი მსგავსად დღგ-სი შედის საქონლის სარეალიზაციო ფასში და იგი 13-დან 30%-მდე მერყეობს.

ლატვიაში აქციზით დაბეგვრის ობიექტია: თამბაქო, ალკოჰოლი, საწვავი, ყავა, კაკაო, შოკოლადი, ოქროსა და ვერცხლის ნაწარმი, მსუბუქი ავტომობილები და სხვ. ესტონეთში აქციზის გადასახადი გადანაწილებულია: ალკოჰოლზე, ავტომობილზე, თამბაქოს ნაწარმზე, დიზელის საწვავზე, ბენზინზე და სხვ.

ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში ავტომობილის იმპორტი არ საჭიროებს განბაჟებას, ხოლო როდესაც პირი ავტომობილს შეიძენს ევროკავშირის ზონის გარეთ, მას უწევს ავტომობილის განბაჟება, რაც მოიცავს დღგ-ს გადასახადისა და საბაჟო მოსაკრებლის გადახდას, რომელიც ავტომობილის ღირებულების მიხედვით გამოიანგარიშება. სწორედ ამიტომ იშვიათია ავტომობილის იმპორტი ევროკავშირის არაწევრი სახელმწიფოებიდან, რადგან ასეთ დროს მისი ღირებულება 30%-ით იმატებს. ავტომობილის მესაკუთრეს ევროკავშირისა და დსთ-ს ქვეყნებში, გადასახადის გადახდა უწევს იმის შესაბამისად თუ რა რაოდენობის ნახშირორჟანგი გამოიყო მისი ავტომობილიდან (გრამი/კილომეტრზე), და რა რაოდენობის საწვავს მოიხმარს იგი (ლიტრი/კილომეტრზე). ავსტრიაში ეს მაჩვენებელი წლიურად საშუალოდ 400 ევროს შეადგენს, რომელიც გადაიხდევინება გამოყოფილი ნახშირორჟანგის შესაბამისად ([გრამი/კმ]-90/5), დანიაში ავტომობილის მესაკუთრე გადასახადს იხდის საწვავის მოხმარების და სახეობის მიხედვით. მაგ. ბენზინზე მომუშავე ავტომობილის შემთხვევაში 78 ევროდან- 2700 ევრომდე, ხოლო დიზელზე მომუშავე ავტომობილზე 32 ევროდან- 4081 ევრომდე.

ევროკავშირის დირექტივები: „ენერგო პროდუქტების დაბეგვრის შესახებ“<sup>160</sup> და „თამბაქოს ნაწარმზე აქციზის გადასახადის სტრუქტურისა და საპროცენტო განაკვეთის

---

<sup>160</sup> The Energy Taxation Directive, 2003/96/EC; 2004/74/EC, ხელმისაწვდომია: <https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S0301421514005138> (მოძიებულია: 15.05.2023).



შესახებ<sup>161</sup> არეგულირებს აქციზის გადასახადს ევროკავშირის 28 წევრ სახელმწიფოში. დირექტივებით რეგულირებული აქციზის გადასახადი ნავთობპროდუქტებსა და აირის სახეობებზე მინიმალური განაკვეთის გადახდით გამოირჩევა. გარდა დირექტივისა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში აქციზის გადასახადის განაკვეთი დგინდება ეროვნული კანონმდებლობით, რაც აძლევს ქვეყნებს თავისუფალი არჩევანის უფლებას, თავად განსაზღვრონ აქციზის გადასახადის ოდენობა, რომელიც უტოლდება ან აღემატება დირექტივით განსაზღვრულ ოდენობას.

### **3.4 იმპორტის გადასახადის სამართლებრივი ბუნება და მისი როლი**

#### **ქართული და უცხოური ეკონომიკის განვითარებაში**

საგადასახადო სისტემა მიუხედავად ბევრი საკანონმდებლო ცვლილებისა, რომელიც მან მისი არსებობის და ფუნქციონირების განმავლობაში განიცადა, დღემდე განსჯის საგანს წარმოადგენს მეცნიერ-სპეციალისტთა თუ მეწარმე-სუბიექტთა შორის. ფაქტია, რომ ყველასთვის მისაღები საგადასახადო სისტემის შექმნა, რომელიც მორგებული იქნება ნებისმიერ მეწარმე სუბიექტზე, თუ მომხმარებელზე, ძალზედ რთულ და ამავდროულად ბუნდოვან პროცესს წარმოადგენს. უნდა ითქვას, რომ დღემდე ეჭვის ქვეშ დგას რამდენად მისაღებია ხალხისთვის ყველა ის საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც დღემდე განიცადა საგადასახადო კოდექსმა, და არის თუ არა ეკონომიკურად მომგებიანი. თუმცა საგადასახადო სისტემის ფუნქცია და დანიშნულება ხალხის კეთილდღეობა, ქვეყანის განვითარება, და ეკონომიკური წინსვლა უნდა იყოს. საგადასახადო კოდექსში არსებული ინოვაციური ნორმები, რომლებიც გვთავაზობენ ახალ, ინოვაციურ სპეციალური დაბეგვრის რეჟიმებს დიდ დაინტერესებას იწვევს მეწარმე-სუბიექტებს თუ მეცნიერ-სპეციალისტებს შორის<sup>162</sup>.

<sup>161</sup> Council Directive 2011/64/EU of 21 June 2011 on the structure and rates of excise duty applied to manufactured tobacco, ხელმისაწვდომია: <https://www.mdpi.com/1660-4601/16/16/2842>

<sup>162</sup> იხ., ხარაზი ია; საქართველოს საგადასახადო სამართალი, პირველი ნაწილი, თბილისი 2015,325; ასევე, ხარაზი ია, საგადასახადო სამართალი, საერთო- სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები, გამომცემლობა „გეორგია“, თბილისი, 2017. (მოძიებულია: 16.05.2023).

იმპორტის გადასახადი წესდება საზღვარგარეთიდან შემოტანილ საქონელზე, რომელიც ღებულობს საქართველოს საქონლის სტატუსს. იმპორტი არის „საქონლის, მომსახურების, სამუშაოს, ინტელექტუალური საქმიანობის შედეგების და მისთანათა საზღვარგარეთიდან შემოტანა რომელიმე ქვეყნის საბაჟო ტერიტორიაზე მათი ქვეყნიდან გატანის ვალდებულების გარეშე“<sup>163</sup>.

იმპორტული საქონელი ის ერთადერთი პროდუქტია, რომელიც დაბეგვრას ექვემდებარება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას. მისი რაოდენობა სჭარბობს ყველა სხვა პროდუქტს, რომელიც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოდის. მას შემდეგ რაც იმპორტული საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოვა და საქართველოს საქონლის სტატუსი მიენიჭება, მასზე გავრცელდება ყველა ის ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებები, როგორც ქართული წარმოების საქონელზე<sup>164</sup>. მაგ. თუ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოვა სომხური წარმოების საქონელი, მას შემდეგ რაც მოექცევა იმპორტის პროცედურაში, იგი დაკარგავს სომხური საქონლის სტატუსს და მიიღებს საქართველოს საქონლის სტატუსს. ამასთანავე ეს საქონელი დაექვემდებარება დაბეგვრას და მასზე გავრცელდება ვაჭრობაში დამცავი ღონისძიებები, აკრძალვები და შეზღუდვები. „თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება“<sup>165</sup> გულისხმობს საქონლის თავისუფლად განკარგვას პირის მიერ, თუმცა, თუ საქონელი მიზნობრივი დანიშნულებით არის შემოტანილი ქვეყანაში, მისი თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებაზე გარკვეული შეზღუდვებით ხორციელდება. მაგ. როდესაც საქართველოში საქონელი ჰუმანიტარული მიზნით იქნა შემოტანილი დაუშვებელია იგი სხვა მიზნით იქნას გამოყენებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქონლის არამიზნობრივად გამოყენება მასზე საგადასახადო სანქციების დაწესებას გამოიწვევს.

---

<sup>163</sup> მოხელის სამაგიდო ლექსიკონი/ გაეროს განვითარების პროგრამა; [შემდგ.: სამსონ ურიდია და სხვ.; რედ.: ვაჟა გურგენიძე]- თბ., 2004- 483 გვ.: ცხრ.; 24სმ.- (საჯარო სამსახურის ბ-კა).- ISBN 99940-0-063-2: [გ.ა.], ხელმისაწვდომია: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=17983>

<sup>164</sup> იხ., ხარაზი ი, საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, თბილისი, 2014, 397.

<sup>165</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს N257 ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ (მომდიებულისა: 17.05.2023).

თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება ვრცელდება იმპორტირებულ და რეიმპორტირებულ<sup>166</sup> საქონელზე.

საბაჟო გადასახადების გამოყენება დღეს დღეობით შედარებით უფრო მარტივ პროცედურას წარმოადგენს, რადგან საგადასახადო კანონმდებლობაში არსებულმა ცვლილებებმა უფრო გასაგები გახადა მთელი საგადასახადო სისტემის ფუნქციონირება, ასევე საგადასახადო სამსახურის მუშაკებისთვის უფრო გამჭირვალე გახდა გადასახადის სახეები. მართალია საბაჟო გადასახადელები ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან იღებს სათავეს, მაშინ, როდესაც მათ მოსაკრებლები ეწოდებოდა, თუმცა საუკუნეების განმავლობაში არსებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა საკმაოდ დიდი როლი ითამაშეს საბაჟო გადასახადების ინსტიტუტის ჩამოყალიბებაში.

იმპორტის გადასახადი ძირითადად ფისკალურ და პროტექციონისტულ ფუნქციას ასრულებს. მართალია იმპორტის გადასახადი ქვეყნისთვის ეკონომიკური შემოსავლის დიდ და ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს, რასაც მისი ფისკალური ფუნქცია ასრულებს, თუმცა იმისათვის, რომ საზღვარგარეთიდან შემოტანილმა საქონელმა არ დაჩრდილოს ადგილობრივი წარმოება მას დამცავი, იგივე პროტექციონისტული ფუნქციაც აკისრია. მისი მთავარი არსი ადგილობრივი წარმოებისა და მწარმოებლების დაცვაა არასასურველი კონკურენციისგან. ვიცით, რომ თავისუფალი ვაჭრობა კრძალავს ყველა იმ ქმედებას, რაც ხელს შეუშლის ვაჭრობის განვითარებას, მეწარმეობის წახალისებას, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, სწორედ ამიტომ ფისკალური და პროტექციონისტული ფუნქციები უნდა განხორციელდეს იმდაგვარად, რომ ოქროს შუალედი იყოს მაქსიმალურად დაცული.

საქართველოში ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც იგი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იქნა აღიარებული მიღებულ იქნა ახალი საბაჟო კოდექსი, რომლის მიხედვითაც ყველა საქონლისთვის ერთნაირი ტარიფები დაწესდა, ეს იყო პირველი ეროვნული

---

<sup>166</sup> რეიმპორტი- საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან ექსპორტის საბაჟო რეჟიმით გატანილი სამამულო საქონლის უკან შემოტანა დადგენილ ვადებში, საქონლის მიმართ ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოუყენებლად.

უნიფიცირებული ტარიფები, რომელიც იმპორტზე ითვალისწინებდა 2%-იან განაკვეთს<sup>167</sup>. ეს ტარიფები არც თუ ისე სახარბიელო აღმოჩნდა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობისთვის, იგი დაუყოვნებლივ საჭიროებდა ცვლილებებსა და დახვეწას, რამაც არც თუ ისე დააყოვნა, 1994 წლიდან მოიხსნა საექსპორტო და ბარტელის ტარიფები. ხოლო იმპორტული საქონელი დაექვემდებარა 12%-იან დაბეგვრის განაკვეთს.

ქვეყნისთვის მნიშვნელოვან სტრატეგიულ ნაბიჯს წარმოადგენდა ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება, რომლებიც დაიცავდნენ სახელმწიფოს დისკრიმინაციისგან, იმპორტირებულ საქონელზე კი დააწესებდნენ თანაბარ გადასახადებს. ტარიფების გათანაბრებას თავისი მიზანი ჰქონდა, ბარიერების დაწევა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის დამყარება ხელს შეუწყობდა მცირე და დიდი მეწარმეობის განვითარებას, მეწარმეებს მისცემდა შესაძლებლობას თავიანთი პროდუქცია საზღვრებს გარეთ გაეტანათ და ამით მათი შემოსავლები გაზრდილიყო. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO), რომელიც ზემოთ ხსენებულ ფუნქციებს ასრულებს, დიდი როლი ითამაშა საბაჟო შეფასების მიმართულებით. ამით კი წახალისდა საერთაშორისო ვაჭრობა, გამარტივდა საბაჟო პროცედურები, ყველას მიეცა იმის შესაძლებლობა გაესაჩივრებინა დაუსაბუთებელი უარი სავაჭრო პროცედურების განხორციელებასთან დაკავშირებით. ცვლილებები შეეხო ქართულ საგადასახადო კოდექსსაც, იმპორტის გადასახადი განისაზღვრა 12%-ი განაკვეთით<sup>168</sup>.

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს წარმომადგენლები, მანამ სანამ ექსპორტზე გაიტანენ საქონელს, ითვალისწინებენ მთელ რიგ ფაქტორებს, მათ შორის ვალუტის გაცვლის კონტროლს/რისკებს, გადასახადებს, ტარიფებს, ინფლაციის საშიშროებას, რომლებიც წარმოიქმნება ბიზნეს წარმოების დროს<sup>169</sup>. კომპანია, რომელიც აწარმოებს პროდუქტს ან მომსახურებას, ბუნებრივია მისი ინტერესია ამ წარმოების ქვეყნის

<sup>167</sup> მათ შორის: ექსპორტი-8%; ბარტერი-20%.

<sup>168</sup> იმპორტის გადასახადის 12%-იანი განაკვეთი სრულად, საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხ., 197, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717?publication=198> (მოძიებულია: 17.05.2023).

<sup>169</sup> იხ., Modern Trends of Customs Administrations Formation: Best European Practices and a Unified Structure, ხელმისაწვდომია: <https://sciendo.com/article/10.2478/nispa-2020-0008> (მოძიებულია: 18.05.2023).

საზღვრებს გარეთ გატანა, თუმცა მანამდე კომპანიებმა უნდა განსაზღვრონ პროდუქტის ან სერვისის პოტენციალი, სანამ ისინი თავიანთ რესურსებს საგარეო ვაჭრობის ბიზნესში მოაქცევენ. პროდუქტის პოტენციალის დასადგენად საჭიროა შემდეგი ფაქტორების გათვალისწინება: შიდა ბაზარზე რამდენად მომგებიანია პროდუქტის წარმოება, რამდენად არის ჩართული ადგილობრივი წარმოება საზღვარგარეთის სავაჭრო გამოფენებში, არის თუ არა დარეგლამებული მისი მონაცემები, რამდენად დიდია მოთხოვნა ამ პროდუქტის მიმართ საერთაშორისო ბაზარზე და ა.შ. თუ პროდუქტი წარმატებულია შიდა ბაზარზე, ალბათობა იმისა, რომ იგი საზღვარგარეთაც წარმატებული იქნება ძალზედ დიდია. არის შემთხვევები, როდესაც იმპორტირებული საქონელი საჭიროებს ადაპტაციას ადგილობრივ საქონელთან მიმართებაში. პროდუქტები, რომლებიც ნაკლებად დახვეწილია, მათზე განვითარებად ქვეყნებში არსებულ ბაზარზე მოთხოვნა თანდათან მცირდება, მიუხედავად იმისა რომ ასეთი საქონელი გაცილებით უფრო იაფი და ადვილად დასამუშავებელია. განვითარებადი ქვეყნები, მათ შორის საქართველო საჭიროებს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ ჯანსაღი მომსახურების გაწევას, რაც ითვალისწინებს კარგი პოტენციალის მქონე პროდუქტის ან სერვისის შეთავაზებას, და მის იმპორტს. ამისათვის საჭიროა განისაზღვროს, რამდენად აკმაყოფილებს პროდუქცია ან მომსახურება განვითარებადი ქვეყნების მოთხოვნებს. საქონლის იმპორტი დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე, მათ შორის: საქონლის ხარისხზე, ფასზე, რაოდენობაზე, შემადგენლობაზე. არ შეიძლება საქონლის იმპორტს საფუძვლად დაედოს მხოლოდ ჭარბი რაოდენობით მისი რეალიზაციის სურვილი, არამედ გათვალისწინებული უნდა იყოს მისი კონკრეტულ ქვეყანაში რეალიზაციის საჭიროება, რამდენად მომგებიანია ამა თუ იმ ქვეყნისთვის კონკრეტული საქონლის მიღება და თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება, რამდენად აკმაყოფილებს იგი საზოგადოების ჯანსაღ მოთხოვნილებებს.

2008 წლის ფინანსურმა კრიზისმა საერთაშორისო ვაჭრობის კოლაფსი გამოიწვია. კრიზისი შეეხო განვითარებად ქვეყნებში იმპორტის განვითარებას, იმპორტული საქონლის რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა, რადგან საზღვარგარეთ არსებულმა

ფირმებმა უპირატესობა შიდა გაყიდვებზე გააკეთეს. ამის შედეგად ფინანსურმა კრიზისმა უფრო მეტად უარყოფითად იმოქმედა საზღვარგარეთიდან საქონლის იმპორტზე, ვიდრე შიდა გაყიდვებზე. ამის ფონზე მსოფლიო ექსპორტის კლება გაცილებით დიდი იყო, ვიდრე მსოფლიო მშპ-ის შემცირება. 2008 წლის პირველ კვარტალსა და 2009 წლის პირველ კვარტალს შორის მშპ-ს რეალური ღირებულება დაეცა 4,6 პროცენტით, ხოლო მსოფლიო ექსპორტი შემცირდა 17 პროცენტით, რაც 761 მილიარდი დოლარის ნომინალურ კლებას შეადგენდა<sup>170</sup>. ფინანსური კრიზისი დამანგრეველი შედეგების მომტანი აღმოჩნდა, როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი ქვეყნებისთვის. სახელმწიფოები თვითგადარჩენის რეჟიმში აგრძელებდნენ არსებობას, რამაც გამოიწვია ექსპორტიორებისთვის საბრუნავი კაპიტალის გაქრობა, ფირმების გაკოტრება, რომლებიც ჩართულები იყვნენ შიდა ტრანზაქციებში. საკრედიტო კრიზისი შეეხო ბანკებში ვაჭრობის დაფინანსებას, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ვეღარ ახერხებდნენ საქონლის ექსპორტსა და შიდა გაყიდვებს. სავაჭრო ოპერაციების 90%-ზე მეტი ბანკების ან სხვა ფინანსური ინსტიტუტების მიერ გაცემული კრედიტებით და დაზღვევით ფუნქციონირებდნენ. გამწვანდა ახალი სესხების, კაპიტალის და ახალი ობლიგაციების გამოშვება. საბოლოოდ დიდი ეკონომიკური ზარალი მიაღწა იმ სახელმწიფოებს, რომლებისთვისაც იმპორტირებული საქონელი სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენდა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში იმპორტირებული საქონელი ექვემდებარება გადასახადის გადახდას ან უბაჟო შესვლას, რომელიც განისაზღვრება, საქონლის კლასიფიკაციით, მოქმედი სატარიფო განრიგით და წარმოშობის ქვეყნით. აქ გამოიყენება ტარიფების დაწესების სამი განსხვავებული მეთოდი. პირველი მეთოდის<sup>171</sup> თანახმად გადასახადი არის იმპორტირებული პროდუქტის ღირებულების პროცენტი,

---

<sup>170</sup> იხ., BELAY SEYOUM EXPORT-IMPORT THEORY, PRACTICES, ANND PROCEDURES, Case 1.2, The Impact of the Financial Crisis on Exports, ხელმისაწვდომია: [https://books.google.ge/books?hl=en&lr=&id=cU5JAgAAQBAJ&oi=fnd&pg=PP1&dq=IMPORT&ots=saBZAD1 dT&sig=8UtIToPx9OHfPDyy5 dlfNsljg&redir\\_esc=y#v=onepage&q&f=false](https://books.google.ge/books?hl=en&lr=&id=cU5JAgAAQBAJ&oi=fnd&pg=PP1&dq=IMPORT&ots=saBZAD1 dT&sig=8UtIToPx9OHfPDyy5 dlfNsljg&redir_esc=y#v=onepage&q&f=false) (მოძიებულია: 19.05.2023).

<sup>171</sup> Ad valorem duty

გადასახადის ეს სახე ყველაზე ხშირად გამოიყენება აშშ-ში. მაგ. ტყავის ფეხსაცმლის იმპორტზე დგინდება 2 %-იანი განაკვეთი. გადასახადი არის ტვირთის ღირებულების პროპორციული და იგი არ უკავშირდება იმპორტის რაოდენობას. მეორე მეთოდი<sup>172</sup> წარმოადგენს გადასახადის განაკვეთს, რომელიც დგინდება ერთეულის ან წონის შესაბამისად, მას სპეციფიურ გადასახადსაც უწოდებენ, რომელიც თანაბრად ვრცელდება დაბალ და ძვირადღირებულ საქონელზე. ერთი და იგივე გადასახადის განაკვეთის გამოყენება ზღუდავს დაბალფასიან საქონელს, რადგან როდესაც იმპორტის ფასი იზრდება, განაკვეთი უცვლელი რჩება და კონკრეტული გადასახადის ეფექტი მცირდება. გადასახადის გადახდის მესამე მეთოდი<sup>173</sup>ერთმანეთში აერთიანებს, პირველ და მეორე მეთოდებს. მაგალითად, ქათმის იმპორტის დროს 2 აშშ დოლარი იქნება გადასახდელი ერთ ფუნტზე, და 4%. ამერიკის შეერთებულ შტატებში იმპორტირებული საქონელი ექვემდებარება გადასახადის გადახდას უპირატესი ქვეყნის განაკვეთის შესაბამისად. ეს პრინციპი გვხვდება GATT-ის პირველ მუხლში, ასევე სხვადასხვა საერთაშორისო ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებში, ამ პრინციპის თანახმად აშშ-ს ტერიტორიაზე იმპორტირებულ საქონელს მიენიჭება უპირატესობა, თუ ეს საქონელი GATT-ს ან WTO-ს ნებისმიერი წევრი ქვეყნიდან არის იმპორტირებული<sup>174</sup>.

საინტერესოა არგენტინის პრაქტიკა საქონლის იმპორტთან დაკავშირებით. მთავრობა მოითხოვს იმპორტის ლიცენზიის წარდგენას, რათა მოახდინოს საქონლის განბაჟება, ამასთანავე წარმოდგენილი უნდა იყოს წარმოშობის სერტიფიკატი და გათვალისწინებული უნდა იყოს სხვა საკონსულო მოთხოვნები. არგენტინამ 2012 წლის ივლისში ნაწილობრივ გააუქმა საერთო საგარეო ტარიფით (CET- Common External Tariff) გათვალისწინებული შეღავათები საქონლის იმპორტზე და დააწესა 14%-იანი განაკვეთი. არგენტინის მთავრობამ 2012 წლის დასაწყისში განაცხადა, რომ იგი გაზრდიდა

---

<sup>172</sup> Specific duty

<sup>173</sup> Compound duty

<sup>174</sup> იბ., BELAY SEYOUM, EXPORT-IMPORT THEORY, PRACTICES, AND PROCEDURES, Import Restrictions in the United States, 246, ხელმისაწვდომია: [https://books.google.ge/books?hl=en&lr=&id=cU5JAgAAQBAI&oi=fnd&pg=PP1&dq=IMPORT&ots=saBZAD1\\_dT&sig=8UtiToPx9OHfPDyy5\\_dIfNsljg&redir\\_esc=y#v=onepage&q&f=false](https://books.google.ge/books?hl=en&lr=&id=cU5JAgAAQBAI&oi=fnd&pg=PP1&dq=IMPORT&ots=saBZAD1_dT&sig=8UtiToPx9OHfPDyy5_dIfNsljg&redir_esc=y#v=onepage&q&f=false) (მოძიებულია: 19.05.2023).



გადასახადებს „მაღალი კლასის“ იმპორტირებულ მანქანებსა და მოტოციკლებზე. არგენტინელი მომხმარებლები ვალდებულები არიან გადაიხადონ დამატებითი 10%-იანი გადასახადი იმპორტირებულ ავტომობილებზე, ასევე არგენტინის მთავრობამ იმპორტიორებს მოსთხოვა მიეღოთ „თავისუფალი მიმოქცევის სერთიფიკატი“ სურსათის ეროვნული ინსტიტუტებისგან კვების პროდუქტების იმპორტზე. იმპორტირებულ საქონელზე სავალდებულო დახდა შემდეგი დოკუმენტაციის წარდგენა: კომერციული ინვოისი (ორიგინალი და სამი ასლი), ზედნადები, დაზღვევა, წარმოშობის სერთიფიკატი, სავაჭრო ინვოისი (ორიგინალი და სამი ასლი), საავიაციო ბილეთები, შეფუთვის სია და ა.შ.

არსებობს რამდენიმე ნიშანი იმისა, რომ ევროკავშირის ხედვა ნამდვილად ითვალისწინებს თანამედროვე მიწოდების ჯაჭვურ ბუნებას, რომელიც კომპლექსურად აერთიანებს საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობისთვის საჭირო ყველა რეგულაციას. მომავლის სტრატეგია, რომელიც პოტენციალის შემდგომი განვითარებისთვის არის საჭირო, უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ ფაქტორებს: სახელმწიფოები, რომლებიც საერთაშორისო ვაჭრობის ძირითად ნაწილს წარმოადგენენ, ორიენტირებული უნდა იყვნენ ზუსტად შეასრულონ საერთაშორისო ვაჭრობაზე მოქმედი რეგულაციები, ისე რომ არ დაივიწყონ თავიანთი ეროვნული კანონმდებლობა და ტრადიციები. საუკეთესო საბაჟო პრაქტიკის მქონე ქვეყნებთან დაკავშირებული კონკურენტული მახასიათებლების იდენტიფიცირება და მათი შესაძლო ჰარმონიზაცია ევროკავშირის პრაქტიკასთან, უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს, რომელიც არც თუ ისე მარტივია შესასრულებლად.

## დასკვნა

ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობების სინთეზი მეტად რთულ და საკამათო საკითხს წარმოადგენს თანამედროვე, განვითარებულ სამყაროში. არსებობს უამრავი სწორად თუ არასწორად კოორდინირებული კანონი და წეს-ჩვეულება, რომლებიც მომდინარეობენ სახელმწიფოებში არსებული სამთავრობო უწყებებიდან. საერთაშორისოდ აღიარებული ნორმებისა და პრინციპების გაზიარება და პრაქტიკაში გამოყენება ერთი შეხედვით მარტივ, თუმცა ამავდროულად რთულ, ზოგიერთი სახელმწიფოსთვის კი შეუძლებელ პროცესს წარმოადგენს. კანონმდებლობა, რომელსაც ხარვეზი აქვს და ვერ ვითარდება საერთაშორისო მოთხოვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად მისი რეპუტაცია საგრძნობლად იკლებს, იწვევს განვითარებული სახელმწიფოების მხრიდან ნდობის დაკარგვას და ეკონომიკურ დესტაბილიზაციას. სახელმწიფოებმა უნდა შეაფასონ თავიანთი ვალდებულებები, რადგან შეძლონ შესაბამისობაში მოიყვანონ თავიანთი ეროვნული კანონმდებლობა ევროკავშირის საერთაშორისო კანონმდებლობასთან.

სახელმწიფოთა სიცოცხლისუნარიანობა და უნარი იმისა, რომ შექმნან კონკურენტული უპირატესობა გლობალურ ბაზარზე, დამოკიდებულია ეროვნული საჯარო ინსტიტუტების ეფექტურ ფუნქციონირებაზე, ეკონომიკურ სტაბილურობაზე. ამასთანავე მხოლოდ ხელსაყრელი მაკროეკონომიკური გარემო არ იძლევა ეროვნული კონკურენტუნარიანობის მაღალ დონეს, თუ ქვეყნები არ შექმნიან მაღალი სტანდარტის მქონე პროდუქტებსა და სერვისებს. ევროპული პრაქტიკა ცხადყოფს, რომ კარგი ინფრასტრუქტურა, საბაჟო გარემოსთან დაკავშირებული პროცესებისა და პროცედურების გაუმჯობესება, მომსახურების დონის ზრდა ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობის განმსაზღვრელი ფაქტორია.

ევროკავშირში საბაჟო პროცედურების მოდერნიზაციის მიმდინარე პროცესი, საკანონმდებლო იმპლემენტაციის ფაზაშია. პროცედურების ფართომაშტაბიანი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა წევრ სახელმწიფოებში, მათი ეფექტური და ერთგვაროვანი გამოყენების შესაძლებლობა, სულაც არ გულისხმობს იგივე პრაქტიკის

დამკვიდრებას განვითარებად ქვეყნებში. ახალი საბაჟო პროცედურების ერთგვაროვანი გამოყენება აუცილებელია ყველა სახელმწიფოსთვის, რომელსაც სურს გახდეს ევროკავშირის დიდი ოჯახის წევრი, რათა შესაძლებელი გახდეს შიდა ბაზრის ერთიანობის უზრუნველყოფა. საერთაშორისო საბაჟო სამართლის ფორმირება რთული პოლიტიკურ-სამართლებრივი პროცესის შედეგია, რომელიც განსაზღვრავს მთელ რიგ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ფაქტორებს. საერთაშორისო საბაჟო სამართალში, ისევე როგორც სხვა ნებისმიერ სამართლებრივ სისტემაში, კანონის შექმნა, როგორც სახელმწიფოებისა და სამართლის სხვა სუბიექტების სპეციფიკური საქმიანობა, ხორციელდება გარკვეული სამართლებრივი პროცედურების ფარგლებში, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის, როგორც ინსტიტუციური ერთეულის დამახასიათებელ ელემენტს.

საგარეო სავაჭრო ურთიერთობები ქვეყნებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ ნედლეული, პროდუქტები, მასალები, ტექნოლოგიები, სერვისები, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზთა გამო მიუწვდომელია შიდა ბაზარზე. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მონაცემებზე დაყრდნობით, საერთაშორისო ვაჭრობის დინამიური განვითარება მსოფლიოში, ერთის მხრივ, ზრდის ქვეყნის ფინანსურ და ეკონომიკურ მდგომარეობას, ქვეყნის კონკურენტუნარიანობას, ამავდროულად მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას, რაც ბუნებრივია საჭიროებს საბაჟო კონტროლისა და საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ოპერატიულ რეჟიმში მომსახურებას. ევროკავშირის საბაჟო სამართლის პრაქტიკა ცხადყოფს, რომ საბაჟო ადმინისტრაციის ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმირება ქვეყნის ხელისუფლების კომპეტენციაში რჩება, თუმცა საბაჟო სისტემამ უნდა უზრუნველყოს ძირითადი საბაჟო ფუნქციების შესრულება. ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების ფორმირება, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა სახელმწიფო საზღვრების მკაფიოდ განსაზღვრით, საერთაშორისო ვაჭრობის მდგომარეობის შესახებ ობიექტური საინფორმაციო ბაზის შექმნა, საზოგადოების კეთილდღეობა, ქვეყანაში მავნე და უხარისხო პროდუქციის შემოსვლის პრევენცია, ეროვნული ბაზრისა და სასაქონლო

მწარმოებლების დაცვა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისას, სახელმწიფო ბიუჯეტის საბაჟო გადასახადებით შევსება, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის გაზრდა, ინვესტიციების მოზიდვა, ეს და სხვა მრავალი ფუნქცია წარმოადგენს საბაჟო ორგანოების ძირითად და პრიორიტეტულ ფუნქციებს, რომლებსაც ისინი პრაქტიკაში ახორციელებენ. მთავარ პრობლემას სხვადასხვა ფუნქციათა პრიორიტიზაცია წარმოადგენს, თუმცა ამგვარი მიდგომები ევროკავშირში დაუშვებელია, რადგან ევროკავშირი ხელს უწყობს ერთიან მიდგომებს ვაჭრობისა და უსაფრთხოების მიმართ. ევროკავშირის საბაჟო კავშირი წარმოადგენს ისეთ გაერთიანებას, სადაც მისი წევრი ქვეყნები მიმართავენ ერთიან სისტემას, ექსპორტის, იმპორტისა და ტრანზიტის მართვისთვის ერთიანი წესების დამკვიდრებით. მოდერნიზებული ევროკავშირის საბაჟო სისტემის განვითარების მთავარი ტენდენციაა ახალი კონცეპტუალური და პრაქტიკული სისტემებისა და ინსტრუმენტების მუდმივი ფორმირება და ამოქმედება, ეროვნული საბაჟო ადმინისტრაციების საქმიანობის შემდგომი უნიფიკაციისთვის, რაც მიზნად ისახავს საბაჟო ადმინისტრაციის ერთიანი ფუნქციონალური სტრუქტურის ჩამოყალიბებას. საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის სინთეზი შესაძლებლობას იძლევა ერთმანეთის მსგავსი მიდგომების დაწესებით უზრუნველყონ „საუკეთესო პრაქტიკის“ დამკვიდრება. მათ შორის უსაფრთხოების კონტროლი, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოების დაცვას, მათი ჯანმრთელობის, კეთილდღეობის და ზოგადი უსაფრთხოების უზრუნველყოფას. სახელმწიფოსთვის მეტად მომგებიანი იქნება თუ სამთავრობო წესების ინტერნალიზებას მოახდენს და მართველობით ფუნქციას საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებთან სრულ შესაბამისობაში განახორციელებს. დღესდღეობით მრავალ განვითარებულ ქვეყანაში მოქმედებს პრინციპი, რომელიც ე.წ. „გამარტივებული პროცედურების“ სახელით არის ცნობილი.

## კვლევის შედეგები

საერთაშორისო ვაჭრობა თავისი მრავალფეროვანი ტენდენციებით, რომელიც ხშირ შემთხვევაში ორაზროვანი და ცვალებადია, მოითხოვს საბაჟო ორგანოების ფუნქციური როლის შესწავლას ყველა ქვეყანაში. საბაჟო სისტემა განსაზღვრავს საერთაშორისო ვაჭრობის სიმარტივეს, საერთაშორისო მიწოდების უსაფრთხოებას და ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას. ამისათვის აუცილებელია, საუკეთესო პრაქტიკის პრინციპზე დაყრდნობით, სახელმწიფოები გაერთიანდნენ და შექმნან ერთიანი საბაჟო სისტემა, რომელიც დანერგავს დინამიურ, საბაჟო ადმინისტრაციების ერთიან კონცეპტუალურ სტრუქტურას. ბევრმა განვითარებულმა სახელმწიფომ შეძლო პროგრესული საბაჟო სისტემის ჩამოყალიბება, თუმცა დღესაც არსებობენ ისეთი ქვეყნები, რომლებიც ცდილობენ განახორციელონ საბაჟო რეფორმები და შეიმუშაონ ერთიანი კონცეპტუალური მიდგომები თავიანთი საბაჟო სისტემის შესაქმნელად. კვლევის მიზანია გავაანალიზოთ საერთაშორისო საბაჟო სისტემების განვითარების მიმდინარე ტენდენციები. იგი მოიცავს ევროკავშირის საბაჟო სამართლის პრაქტიკის ანალიზს, და ეროვნული საბაჟო სისტემის ფორმირებას საუკეთესო პრაქტიკის საფუძველზე. ნაშრომის მიზანია გაანალიზოს ევროკავშირის საბაჟო გარემოს განვითარების მიმდინარე ტენდენციები, შესწავლილ იქნეს საბაჟო ადმინისტრაციების საუკეთესო გამოცდილება ევროკავშირის საბაჟო კავშირში და მათი იმპლემენტაცია მოახდინონ სახელმწიფოებმა. გარდა ამისა, ნაშრომში წარმოდგენილია ევროკავშირის შერჩეული ქვეყნების საბაჟო პოზიციების ანალიზი, რომელიც თვალსაჩინოს ხდის საბაჟო ფუნქციების პრიორიტეტულობას.

ნაშრომი წარმოდგენილია მსჯელობის თეორიული ნაწილი, გაანალიზებულია ყველაზე ეფექტური საბაჟო ადმინისტრაციების საუკეთესო პრაქტიკის ჩამოყალიბების წინამძღვრები, ერთიანი საბაჟო ფუნქციონალური სტრუქტურის შემუშავების უპირატესობები, საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე. გაანალიზებულია საერთაშორისო საბაჟო დამუშავების ოპერაციებისა და დაბეგვრის მექანიზმების უპირატესობანი, მათი შემადგენელი კომპონენტების დეტალური აღწერით.

## რეკომენდაციები

საერთაშორისო საბაჟო სისტემის განვითარების პირობებში, სწორი საბაჟო რეგულირება, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების სახელმწიფო ინსტრუმენტს წარმოადგენს, რომელიც უზრუნველყოფს მცირე და საშუალო ბიზნესის გამართულ ფუნქციონირებას. ხოლო ტექნიკური, ტექნოლოგიური, იურიდიული და ორგანიზაციული ელემენტთა კომპლექსური სისტემა, მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად შეიმუშავებს სახელმწიფო რეგულირების ინოვაციურ მეთოდებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საქონლის ეფექტურ მიწოდებას ერთი სახელმწიფოდან მეორეში. საგარეო ეკონომიკური საქმიანობა, ერთი შეხედვით რუტინულ, თუმცა მუდმივად განახლებულ ინსტიტუტებს აერთიანებს, რომლებიც უზრუნველყოფენ თანამედროვე მიდგომებით ჯანსაღი კონკურენტუნარიანი ბაზარის შექმნას. ერთიანი საბაჟო სისტემის ფუნქციონირებისათვის EEU-ს ზონაში ყალიბდება საბაჟო ოპერაციების განსახორციელებლად ერთიანი მიდგომები, რომლებიც უკავშირდება საქონლის საბაჟო გადაადგილებასთან დაკავშირებულ საბაჟო პროცედურებისა და საბაჟო დაბეგვრის მექანიზმების დანერგვას.

თემის აქტუალობა უკავშირდება საბაჟო კონტროლის თანამედროვე საფუძვლების სამართლებრივი კვლევის აუცილებლობას ევრაზიაში, რომელიც უზრუნველყოფს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების უსაფრთხო გადაადგილებას. ინოვაციური მიდგომების დანერგვით შესაძლებელია საგარეო ვაჭრობის მოცულობისა და საბაჟო კავშირის საზღვრებზე სატვირთო მიმოსვლის ზრდა, რომელიც თანამედროვე მოთხოვნებისა და საერთაშორისო სტანდარტების დაცვით უნდა განხორციელდეს. საგარეო ეკონომიკური საქმიანობა მოიცავს ეკონომიკურ, ორგანიზაციულ და სამართლებრივ ასპექტებს, რომელიც მოითხოვს საბაჟო და სატარიფო ინსტრუმენტების მუდმივ მოდერნიზაციას, სამეწარმეო და სამეცნიერო პოტენციალის გაძლიერებას. სახელმწიფოები ვალდებული არიან საბაჟო კონტროლი, საბაჟო ინსპექტირება და საბაჟო ადმინისტრაციების ფუნქციონირება განახორციელონ მოდერნისტული საერთაშორისო საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

## ბიბლიოგრაფია

### ქართულენოვანი ლიტერატურა:

1. ბ. ნამჩავაძე, „გადასახადის ზრდის ნამდვილი მიზეზი, 2017. ხელმისაწვდომია: [https:// forbes.ge/gadasakhadis-zrdis-namdvi/](https://forbes.ge/gadasakhadis-zrdis-namdvi/)
2. გ. ბაქრაძე, 2007-2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისი: „მიზეზები და ინტერპრეტაციები“, „ეკონომიკა და საბანკო საქმე“, ტომი#2; 2014.
3. გ. ურიდია, მ. არახამია, ფ. რუხაია, საბაჟო რეჟიმები, 2005.
4. გ. ურიდია, ფ. რუხაია, მ. არახამია, საბაჟო გაფორმება TIR და ATA (CPD) კარნეტის პრინციპით, თბილისი, 2004.
5. გ. ჩხაიძე, „დასაბეგრი ოპერაციები ევროკავშირის დამატებული ღირებულების გადასახადის სამართალში და საქართველოს გამოწვევები“, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2020, თსუ. ხელმისაწვდომია: [განსახილველად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომები - Georgian Technical University \(gtu.ge\)](#)
6. გ. ჩხაიძე, „დასაბეგრი ოპერაციები ევროკავშირის დამატებული ღირებულების გადასახადის სამართალში და საქართველოს გამოწვევები“, დისერტაცია, თსუ, 2020.
7. დ. გეფერიძე, ა. ხაზალია, საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი, 2011. ნადარაია, როგავა, რუხაძე, ბოლქვაძე, საგადასახადო კოდექსის კომენტარები, წიგნი II. ხელმისაწვდომია: <http://www.tbsakrebulo.gov.ge/uploads/1/59-65-2020.pdf>
8. „საქართველო- ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ გზამკვლევი (ხშირად დასმული კითხვები), თებერვალი, 2014. ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/>
9. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „დიპლომატია და სამართალი“, #1(7), 2020, გამომცემლობა „უნივერსალი“.
10. ვ. სამსონიძე, საგადასახადო სისტემა საფრანგეთში, #12 2005. ხელმისაწვდომია: <http://aaf.ge/index.php?menu=1&jurn=0&rubr=0&mas=2128>
11. ზ. ამილახვარი, საერთაშორისო ბიზნეს სამართალი, თბილისი 2011.



12. ზ. გაბიზონია, საბანკო სამართალი, თბილისი 2017.
13. ი. ხარაზი, „აქციზის სამართლებრივი რეგლამენტაციის ზოგიერთი საკითხის შესახებ (შედარებით- სამართლებრივი კვლევა)“, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „დიპლომატია და სამართალი“, #5(6) 2019.
14. ი. ხარაზი ია, „გადამუშავების საბაჟო რეჟიმების სამართლებრივი რეგულირება“, დისერტაცია, თსუ, 2006.
15. ი. ხარაზი, კ. კუპატაძე, მ. სანებლიძე, ნ. მატარაძე, „საგადასახადო ადმინისტრირების წესების გამარტივების ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტის შესახებ კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში“.
16. ი. ხარაზი, „გადამუშავების საბაჟო რეჟიმების სამართლებრივი რეგულირება“, მონოგრაფია, 2006.
17. ი. ხარაზი, ნ. უერთაშვილი, თ. გერგედავა, „საბაჟო რეჟიმების კლასიფიკაციის სამართლებრივი ასპექტების თავისებურებათა შესახებ“.
18. ი. ხარაზი, საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, გამომცემლობა „გეორგიკა“, თბილისი 2021.
19. ი. ხარაზი , საბაჟო სამართალი, მეორე ნაწილი, გამომცემლობა „გეორგიკა“, თბილისი,
20. ი. ხარაზი, საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, გამომცემლობა „გეორგიკა“, თბილისი 2014.
21. ი. ხარაზი, საგადასახადო სამართალი, პირველი ნაწილი, გამომცემლობა „გეორგიკა“ თბილისი, 2020.
22. ი. ხარაზი , საგადასახადო სამართალი, საერთო- სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები, გამომცემლობა „გეორგიკა“, თბილისი, 2017.
23. ი. ხარაზი, საერთაშორისო სამართალი, თბილისი, 2013.
24. ი. ხარაზი, „საქართველოში საგადასახადო ლიბერალიზაციის ესტონური მოდელის საგადასახადო- სამართლებრივი ასპექტები“, „მართლმსაჯულება და კანონი“, #1(53), 2017.

25. ი. ხარაზი, „საქართველოს გზა გლობალურ სავაჭრო სივრცეში ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად / საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სამართლებრივი ასპექტები“, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, #2 (77), 2023.
26. ი. ხარაზი, ე. ხარაზი, საბაჟო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, 2022, მეორე ნაწილი.
27. ი. ხარაზი, საერთაშორისო საბაჟო სამართალი, თბილისი 2013; ლექციების კურსი, <https://www.sou.edu.ge/>
28. ნ. პეპანაშვილი, საერთაშორისო ბიზნეს სამართალი, 2017.
29. რ. შენგელია, საფინანსო სამართალი, თბ., 2009.
30. ს. სვანაძე, „აქციზით დაბეგვრის ზოგიერთი თავისებურებანი“, ხელმისაწვდომია: [https:// www.nplg.gov.ge/geo/home](https://www.nplg.gov.ge/geo/home)
31. ს. ფუტყარაძე, „საქართველოს საგადასახადო სისტემა და მისი სრულყოფის პრობლემები“ თანამედროვე ეტაპზე, დისერტაცია, ბათუმი 2012. ხელმისაწვდომია: [https://www.bsu.edu .ge/text files/gefile32931.pdf](https://www.bsu.edu.ge/text_files/gefile32931.pdf)
32. ჯგერენაია, საბაჟო საქმის ტექნოლოგიის საფუძვლები, 2021

### უცხოენოვანი ლიტერატურა:

1. ASIA LIFE SCIENTCES, The Asian International Journal of Life Sciences, International customs law as a means of public and private las specialists training improvement, ხელმისაწვდომია: <http://biblio.umsf.dp.ua/jspui/bitstream/123456789/5102/1/%D0%A1%D1%82%D0%B0%D1%82%D1%82%D1%8F %D0%94%D1%80%D1%83%D0%BABiloziorov%20et %20al ASIA LIFE S.pdf>
2. BELAY SEYOUM EXPORT-IMPORT THEORY, PRACTICES, ANND PROCEDURES, The Impact of the Financial Crisis on Exports, ხელმისაწვდომია: <https://books.google.ge/>

[books?hl=en&lr=&id=cU5JAgAAQBAJ&oi=fnd&pg=PP1&dq=IMPORT&ots=sabZAD1 dT&sig=8UtIToPx9OHfPDyy5 dIfNsljg&redir\\_esc=y#v=onepage&q&f=false](https://books?hl=en&lr=&id=cU5JAgAAQBAJ&oi=fnd&pg=PP1&dq=IMPORT&ots=sabZAD1 dT&sig=8UtIToPx9OHfPDyy5 dIfNsljg&redir_esc=y#v=onepage&q&f=false)

3. Council Directive 2011/64/EU of 21 June 2011 on the structure and rates of excise duty applied to manufactured tobacco, ხელმისაწვდომია: <https://www.mdpi.com/1660-4601/16/16/2842>
4. Customs procedures used in trade, 2023, ხელმისაწვდომია: <https://media.proquest.com/media/hms/PFT/1/eI02R?s=%2FZAw09AUyUSQe9%2FBHZ9yfitg%3D>
5. Customs procedures used in trade, European Union customs procedures, 2, ხელმისაწვდომია: [Customs procedures used in trade - ProQuest](#)
6. DCFTA- ის მოთხოვნები პირველადი წარმოებისათვის, გზამკვლევი, 2018, ხელმისაწვდომია: <https://trade.ec.europa.eu/access-to-markets/en/content/eu-georgia-deep-and-comprehensive-free-trade-area>
7. DEVELOPING TRADE AND TRADE POLICY RELATIONS WITH THE EUROPIAN UNION, 137, ხელმისაწვდომია: <https://mek.oszk.hu/18300/18373/18373.pdf#page=131>
8. ECORYS და CASE- ის კვლევა, ოქტომბერი, 2012 „Trade Sustainability Impact Assessment in support of negotiations of a DCFTA between the EU and Georgia and the Republic of Moldova”
9. Editors Luc De Wulf. Jose B. Sokol, Customs Modernization Handbook, ხელმისაწვდომია: <https://documents1.worldbank.org/curated/en/850061468779087644/pdf/31477.pdf#page=241>
10. Energy Charter Treaty and its Role in International Energy, 24j. Energy Nat. Resources L. 523(2006), ხელმისაწვდომია: <https://heinonline.org/HOL/LandingPage?handle=hein.journals/jenrl24&div=38&id=&page=>
11. Freedom of Transit and Regional Transit Arrangements, UNCTAD Trust Fund for Trade Facilitation Negotiations, ხელმისაწვდომია: [https://unctad.org/system/files/official-document/TN08\\_FreedomofTransit.pdf](https://unctad.org/system/files/official-document/TN08_FreedomofTransit.pdf)
12. General Agreement On Tariffs And Trade. ხელმისაწვდომია: [http:// student .manupatra .com/academic/conventions/conintertradeve/GenAgTaT.pdf](http://student.manupatra.com/academic/conventions/conintertradeve/GenAgTaT.pdf)

13. Georgian International Journal of Science, Possibilities For Mastering The Foreign Trade Potentials In Georgia, ხელმისაწვდომია: <file:///C:/Users/joni/Desktop/saqartvelo%20da%20wto.pdf>
14. Influence of Different Purposes of Value Added Tax and Personal Income Tax on an effective and efficient use of tax incentives. Taking Tax incentives for the arts and culture as an example in Lang; Value added tax and Direct taxation (IBFD 2009), 37, ხელმისაწვდომია: [https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1959993](https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1959993)
15. John M. CENTER LAW, ECONOMICS, AND BUSINESS, THE NUMERUS CLASUS PRINCIPLE, PROPERTY CUSTOMS, AND THE EMERGENCE OF NEW PROPERTY FORMS, HARVARD, 2015, ხელმისაწვდომია: <http://www.law.harvard.edu/programs/olincenter/papers/pdf/Smith865.pdf?fbclid=IwAR2flhyQR9GpEv1MziuIs4U0jK8aDfHtDhOFRKZSwAALEhtNRPJtkeCoF4>
16. MATEC Web of Conferences 375, 01005 (2023) Customs procedures used in trade, customs warehousing, ხელმისაწვდომია: <https://www.proquest.com/openview/d9525949f4d630ed08986815ad904c34/1?pq-origsite=gscholar&cbl=2040549>
17. Modern Trends of Customs Administrations Formation: Best European Practices and a Unified Structure, ხელმისაწვდომია: <https://sciendo.com/article/10.2478/nispa-2020-0008>
18. Journal of Maritime Law & Commerce, October, 2006, Conflicting Laws in “Wet” Multimodal Carriage of Goods: The UNICITRAL Draft Carriage of Goods [Wholly or Partly] [by Sea] ხელმისაწვდომია: <https://heinonline.org/HOL/LandingPage?handle=hein.journals/jmlc37 &div=31&id=&page=>
19. Jasmin Kollmann, Taxable Supplies and Their Consideration in European Vat: with selected examples of digital economy, 35. ხელმისაწვდომია: <https://www.torrossa.com/it/resources/an/5319121>
20. Kyoto Convention, clearance and other customs formalities, chapter 3, ხელმისაწვდომია: <https://www.wcoomd.org/~media/wco/public/global/pdf/topics/wto-atf/dev/rkc-guidelines-ch3.pdf>

21. Popa, Ana Maria, Mihaela Gabriela, Best Practices in Customs Procedures, Economic Journal, 2015, ხელმისაწვდომია: <https://www.econstor.eu/handle/10419/168967>
22. Special And Differential Treatment In The WTO: WHY, WHEN, AND HOW?, Alexander Keck and Patrick Low, ხელმისაწვდომია: [https://books.google.ge/books?hl=en&lr=&id=SlrYA6R-7DEC&oi=fnd&pg=PA147&dq=SPECIAL+AND+differential+treatment&ots=yk4XVvdxuT&sig=OovT5ut SR4vFPhWE DvSoWsK-o&redir\\_esc=y#v=onepage&q=SPECIAL%20AND%20differential%20treatment&f=false](https://books.google.ge/books?hl=en&lr=&id=SlrYA6R-7DEC&oi=fnd&pg=PA147&dq=SPECIAL+AND+differential+treatment&ots=yk4XVvdxuT&sig=OovT5ut SR4vFPhWE DvSoWsK-o&redir_esc=y#v=onepage&q=SPECIAL%20AND%20differential%20treatment&f=false)
23. Trade Facilitation: Technical Regulations and Customs Procedures, ხელმისაწვდომია: [https://d1wqtxts1xzle7.cloudfront.net/46894917/1467-9701.0029120160629-18959-1fi3knp-libre.pdf?1467230763=&response-content-disposition=inline%3B+filename%3DTrade\\_Facilitation\\_Technical\\_Regulations.pdf&Expires=1686051296&Signature=gWuqsMnaMRxd-pX1mCuEEF0A33C0DzN86rG6bsK7VEp6wBEJiwPrLOINZKN4oB~dVq5Peh5dl1CmGgeKbL9MgTyhgeUKA-obA8Ihu3SzuIBA6RTAmLcuc3xMpKK3I99SBmClhfe~rqNuJHdR0-GKzD2cxRcy0F5YXrPsH~wjjSyZx-T2k9x-w5zDc-Ywh~TzFJITuMUwcGlaZD4e52AZH7q~1e1Knu6brk0sS5g0a7E~yZ3zBFS1MVV81JcYXzXRHaFltH2ud6V489L8EWj33RGxzWoeljiSNrSQSUIBXHvRBWI570qewxDZd-8xJsT1nvVXB-5MXW3BzH9j5EQ1TA &Key-Pair-Id=APKAJLOHF5GGSLRBV4ZA](https://d1wqtxts1xzle7.cloudfront.net/46894917/1467-9701.0029120160629-18959-1fi3knp-libre.pdf?1467230763=&response-content-disposition=inline%3B+filename%3DTrade_Facilitation_Technical_Regulations.pdf&Expires=1686051296&Signature=gWuqsMnaMRxd-pX1mCuEEF0A33C0DzN86rG6bsK7VEp6wBEJiwPrLOINZKN4oB~dVq5Peh5dl1CmGgeKbL9MgTyhgeUKA-obA8Ihu3SzuIBA6RTAmLcuc3xMpKK3I99SBmClhfe~rqNuJHdR0-GKzD2cxRcy0F5YXrPsH~wjjSyZx-T2k9x-w5zDc-Ywh~TzFJITuMUwcGlaZD4e52AZH7q~1e1Knu6brk0sS5g0a7E~yZ3zBFS1MVV81JcYXzXRHaFltH2ud6V489L8EWj33RGxzWoeljiSNrSQSUIBXHvRBWI570qewxDZd-8xJsT1nvVXB-5MXW3BzH9j5EQ1TA &Key-Pair-Id=APKAJLOHF5GGSLRBV4ZA)
24. Trends and features of embodied flows associated with international trade based on bibliometric analysis, ხელმისაწვდომია: <https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S0921344918300028>
25. The Energy Taxation Directive, 2003/96/EC; 2004/74/EC, ხელმისაწვდომია: <https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S0301421514005138>
26. The Union Customs Code (UCC), ხელმისაწვდომია: [Union Customs code \(europa.eu\)](https://europa.eu/union-customs-code)
27. The World Trade Organization, Third Edition, Mizuo Matsushita, Thomas J. Scheinbaum, Petros C. Mavroudis, Michael Hahn. ხელმისაწვდომია: [https://books.google.ge/books?hl=en&lr=&id=bralCgAAQBAJ&oi=fnd&pg=PP1&dq=world+trade+organization&ots=xPKZJQLzr8&sig=u-I7LQcZoAvc6n4AAkjqqgn7rJo&redir\\_esc=y#v=onepage&q&f=true](https://books.google.ge/books?hl=en&lr=&id=bralCgAAQBAJ&oi=fnd&pg=PP1&dq=world+trade+organization&ots=xPKZJQLzr8&sig=u-I7LQcZoAvc6n4AAkjqqgn7rJo&redir_esc=y#v=onepage&q&f=true)

28. TIR Handbook, economic commission for Europe, ხელმისაწვდომია: <https://e-services.zatca.gov.sa/themes/custom/customs/files/agreements/TIR/en.pdf>
29. Trade benefits under the EEC generalized system of preferences, ხელმისაწვდომია: <https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S0014292181800062>
30. World Customs Journal, Volume1, Number1, The role of Customs, 31, ხელმისაწვდომია: <https://citeseerx.ist.psu.edu/document?repid=rep1&type=pdf&doi=5ac7bfb88eb9384773a65b0c8e3f83d7bdf3b8c4#page=39>

### სამართლებრივი აქტები:

1. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0>
2. ბაზელის კონვენცია „სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ“, მე-2 პარაგრაფი, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485058?publication=0>
3. “ესტონური მოდელის“ ქართული პერსპექტივები, ხელმისაწვდომია: <http://www.eugeorgia.info/ka/article/541/estonuri-modelis-qartuli-perspeqtivebi/>
4. „ექსპორტის პროცედურის შესახებ“ დანართი N15, საქონლის ექსპორტის პროცედურაში დეკლარირება, ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0>
5. თამბაქოზე აქციზური გადასახადი გაიზარდა, ხელმისაწვდომია: <https://www.bm.ge/ka/article/tambaqoze-aqcizuri-gadasaxadi-gaizarda/8481>
6. ინსტრუქცია „თავისუფალი ზონის პროცედურის შესახებ“, (დანართი N10), ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?Publication=0>

7. ინსტრუქცია „საბაჟო კონტროლის შესახებ“ (დანართი N2) ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0>
8. კოტოს 1973 წლის კონვენცია „საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ“, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4270130?publication=0>
9. „საბაჟო სამართალდარღვევის სახეები და პასუხისმგებლობა“, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4598501?publication=6>
10. საქართველოს კანონი „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“, ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/21994?publication=9>
11. „საქონლის დროებითი შემოტანის შესახებ“ სტამბოლის 1990 წლის 26 ივნისის კონვენცია, ხელმისაწვდომია:
12. „საქონლის დროებითი შემოტანისთვის ATA წიგნაკის შესახებ“ ბრიუსელის 1961 წლის 6 დეკემბრის საბაჟო კონვენცია ( ATA კონვენცია), ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/68194?publication=0>
13. 1947 წლის ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმება, General Agreement On Tariffs And Trade. ხელმისაწვდომია: <http://student.manupatra.com/Academic/Conventions/ConInternTraDeve/GenAgTaT.pdf>
14. ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონი, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/26824?publication=95>
15. “მაასტრიხტის ხელშეკრულება“, ხელმისაწვდომია: <https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%AE%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90>
16. საქართველოს მთავრობის დადგენილება N453 (2019 წლის 16 სექტემბერი), „საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმების, წარმოშობის დამადასტურებელი



- სერთიფიკატის ფორმის, მისი შევსებისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1167052?publication=0>
17. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 5 ივნისის N106 დადგენილება „ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის შესახებ“, ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5158?publication=0>
18. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციასთან შეერთების თაობაზე, 20 ივლისი 2018 წ. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/download/4270130/0/ge/pdf>
19. საქართველოს საბაჟო კოდექსი, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4598501?publication=7>
20. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, ფიზიკური პირის ბარგით ან ხელბარგით გადაადგილებული საქონლის საბაჟო გამშვებ პუნქტში დეკლარირებისას. ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1709684?publication=0>
21. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, „გირავნობის საგნის რეალიზაცია“, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702>
22. საქართველოს 2007 წლის კანონი „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“, ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/21994?publication=9>
23. საქართველოს ფინანსთა მინისტრის #257-ე ბრძანება, „საბაჟო საწყობის პროცედურის შესახებ“, ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf>
24. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს #257-ე ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“, ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf>

25. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „დროებით შემოტანის პროცედურის შესახებ“ (დანართიN11), ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/68194?publication=0>.
26. შემოსავლების სამსახური, „საბაჟო საწყობის პროცედურა“. ხელმისაწვდომია: <https://www.rs.ge/LegalEntityCustomsProcedures?cat=6&tab=1>

Akaki Tsereteli State University

Faculty of Business, Law and Social Sciences

Master's program- Law

Lile Lutidze

Customs processing operations of goods and use of mechanisms of  
taxation of goods according to national and international conventions

The thesis was completed for the academic degree of Master of Laws

Supervisor: Ia Kharaz, Doctor of Law

**Kutaisi**

**2023**